

ორად გაყოფილი უნივერსიტეტი
A2



უმოქმედო რადა და იგნორირებული "რეგიონები"
A3



"თქვენი აფხაზეთი"
A5

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 6 ივლისი, 2006 წელი. №149 (1301) — ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი



C2

## ამბები

### ჯანდაცვის დიდი პროგრამა დაწყებულია

1 ივლისიდან საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ჯანდაცვის ახალი პაკეტი ამოქმედდა, რომელიც დაახლოებით 600 ათასი ადამიანისთვის უფასო სამედიცინო მომსახურებას ითვალისწინებს.

A2

## ამბები

### რელიგიურ ლიდერთა სამიტი დასრულდა

გუშინ მოსკოვში სასტუმრო "პრეზიდენტ-ოტელში" დასრულდა რელიგიურ ლიდერთა მსოფლიო სამიტი, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც მონაწილეობდა.

A2

## პოლიტიკა

### ვაშინგტონის შეხვედრის შეფასებები ცხინვალიდან

A3

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 6/07 | 7/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 31 |
| ბათუმი | 26 | 28 |
| სოხუმი | 27 | 26 |
| ქუთაისი | 28 | 31 |
| გორი | 24 | 27 |
| თელავი | 27 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7721 |
| ევრო | 2.2616 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2644 |
| რუბლი | 0.0660 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| საზოგადოება | A 8 |


# GEORGIA ON MY MIND...

### ფიქრები საქართველოზე ვაშინგტონში

დიმიტრი ავალიანი

*საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტები გუშინ ვაშინგტონში საერთო ფასეულობებზე საუბრობდნენ. მიხეილ სააკაშვილიც და ჯორჯ ბუშიც კმაყოფილები ჩანდნენ, თუმცა ჩრდილოეთ კორეას საკითხმა პრეზიდენტების განცხადებების თემატიკაში გარკვეული კორექტივები შეიტანა. აშშ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხში მხარს დაუჭერს და კვლავაც გაუწევს დახმარებას წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*ამერიკა ყველა მთხოვნელს დაეხმარება, განსაკუთრებით, საქართველოს.*

# მეღვინეებმა ჩინეთის, საბერძნეთისა და თურქეთის ბაზრის ათვისება დაიწყეს

### რაში უნდა დაიხარჯოს 700 ათასი ლარი

B

თინა შავაძე

*მეღვინეობის დარგში არსებული მდგომარეობისა და მოსალოდნელი ვითარების შესახებ "24 საათს" ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესაუბრნენ.*



# დაუვიწყარი ფინალის მოლოდინში

C



## ფხენიანი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს

თეა მაისურაძე

ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდამ საერთაშორისო საზოგადოების პროტესტი გამოიწვია. პენტაგონის მონაცემებით, ოფიციალურმა ფხენიანმა სამშაბათს, გვიან ღამით ექვსი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, აქედან ხუთი - საშუალო და მცირე რადიუსის, ხოლო ერთი კი - დიდი რადიუსის ბალისტიკური რაკეტა "ტეპხოდონი", რომელმაც მარცხი განიცადა და წყნარ ოკეანეში ჩავარდა. მცირე და საშუალო რადიუსის რაკეტები იაპონიის ზღვის სანაპიროებიდან 600 კილომეტრის დაშორებით ჩაეშვა, რამაც ოფიციალური ტოკიოს პროტესტი გამოიწვია. იაპონიის ხელისუფლება ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდის ფაქტს ამ სფეროში დაწესებული მორატორიუმის დარღვევად მიიჩნევს. ოფიციალურმა ტოკიომ საკუთარ პორტებში ჩრდილოკორეული გემების შესვლა აკრძალა.

აშშ-ს საჰარეო დაცვის კომანდორის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდის პროცესზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება, იმის თქმა, რომ ტექნიკური პრობლემების გამო ეს რაკეტები აშშ-სათვის ჯერჯერობით არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს.

ფხენიანის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდის ფაქტს უარყოფითად აფასებს რუსეთიც და მას პროვოკაციას უწოდებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ჩრდილოეთ კორეის ამგვარი ქმედებები საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობას. ამავდროულად, ფხენიანის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდის პროცესი ბირთვული პრობლემის მოგვარების საკითხს კიდევ უფრო დაძაბავს და გაართულებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო ბიუჯეტის კიდევ ერთხელ გაზრდით "იმუქრება"

*ზოგჯერ "გამარჯვებულებსაც ასამართლებენ": მთავრობა თავს იწონებს იმით, რომ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 77 მილიონი ლარით იზრდება. პარლამენტარები ამ ფაქტს მიესალმებიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფინანსთა მინისტრის ლექსო ალექსიშვილის მიმართ შენიშვნები და მოთხოვნები მაინც გააჩნიათ.*

გიორგი ასანიშვილი

**"მკრეხელობაა იმის თქმა, ბიუჯეტი რატომ იზრდებაო. მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაირკვეს, რატომ არ ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ზუსტი პროგნოზირება. საზოგადოებაში არ უნდა გაჩნდეს ეჭვი, თითქოს, მთავრობა თავიდან დაბალ პარამეტრებს იღებს და მერე ბიუჯეტის ზრდით თავს იწონებს,"** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ელდარ კვერნაძე.

მისი საყვედური სულაც არ არის საფუძველმოკლებული: გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ოთხჯერ შეიტანეს ცვლილებები, მიმდინარე წელს კი ეს პროცედურა მეორედ მიმდინარეობს. აღნიშნული გარემოება კანონმდებლებს აფიქრებინებს, რომ მთავრობის მუშაობა წლიური ბიუჯეტის პროექტის პარამეტრების პროგნოზირებაზე, რბილად რომ ითქვას, არაადეკვატურია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხი ორი თვის განმავლობაში მეორედ არ უნდა დამდგარიყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## სანდრო გირგვლიანის პროცესზე დღეს განაჩენს გამოიტანენ

*დაჩქარებული წესითა და განსაკუთრებულ რეჟიმში მიმდინარე სასამართლო პროცესი, რომელზეც "გაერთიანებული ქართული ბანკის" ყოფილი თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის გახმაურებული მკვლელობის საქმე განიხილება, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე დასკვნით ეტაპზე გადავიდა. ხუთ სასამართლო სხდომაზე 40-მდე მოწმის სასწრაფოდ დაკითხვაც მოესწრო და ბრალდების მხარემაც უკვე წაიკითხა საბრალდებო სიტყვა. მოსამართლე გიორგი ჩემიამ ისე მიიყვანა საქმის სასამართლო გამოძიება ბოლომდე და დღეს ისე გამოიტანს განაჩენს, რომ პროცესის მსვლელობისას დაზარალებული მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია. დაცვის მხარემ მოსამართლისა და პროკურორების საქმიდან აცილების საკითხი არაერთხელ დააყენა. თუმცა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე არაობიექტურობაში, ტენდენციურობაში, განსასჯელების ადვოკატობასა და პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაში დადანაშაულებულმა მოსამართლე გიორგი ჩემიამ მაინც განიხილა და, შესაბამისად, დღეს განაჩენსაც ის გამოიტანს. ეჭვი უკვე აღარავის ეპარება, რომ გიორგი ჩემიას მიერ შსს-ს მაღლჩინოსნებისთვის დაწერლ განაჩენში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ნამდვილი მოტივი დასახელებული არ იქნება, ისევე, როგორც არაფერი იქნება ნათქვამი დაკვეთილ მკვლელობაზე.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ისევე, როგორც პროკურორებისთვის, რატომღაც, მოსამართლისთვისაც დაუშვებელი აღმოჩნდა მკვლელობის ღამეს "შარდენ ბარში" მყოფი სუფრის წევრების მობილურ ტელეფონებზე შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ამონაწერის ამოღება, ასევე, განსასჯელების - ალანიას, აფციაურის, ბიბილურისა და ღაჭავას მობილურებზე განხორციელებული ყველა ზარის ამონაწერის გამოქვეყნება. არადა, დაზარალებული მხარის მტკიცებით, სწორედ ამ სატელეფონო ზარების ამონაწერებია სრულიად საკმარისი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. მიუხედავად, იმისა, რომ გუშინ დაცვის მხარე დიდი ხნის განმავლობაში ირწმუნებოდა, აღნიშნული სატელეფონო ზარების შესწავლის გარეშე, სასამართლო გამოძიება სრულყოფილი არ იქნება და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება ვერ დადგინდებაო, მოსამართლემ, სახელმწიფო ბრალმდებლების პოზიციის შესაბამისად, არ დააკმაყოფილა ადვოკატის ეს შუამდგომლობა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ჯანდაცვის დიდი პროგრამა დაწყებულია

თამარ ქადაგიძე

1 ივლისიდან საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ჯანდაცვის ახალი პაკეტი ამოქმედდა, რომელიც დაახლოებით 600 ათასი ადამიანისთვის უფასო სამედიცინო მომსახურებას ითვალისწინებს.

უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამის ამოქმედების თაობაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გუშინ ჯანდაცვის სამინისტროში ისაუბრა და აღნიშნა, რომ **"უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამით სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო ბაზისურ და სპეციალიზირებულ სამედიცინო მომსახურეობას 600 ათასი ადამიანისთვის."** მისი განმარტებით, ეს ის მოქალაქეები არიან, რომლებიც უკვე დარეგისტრირდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში. მათი 20 პროცენტი თბილისსა და სხვა დიდი ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 80 პროცენტი სოფლებისა და პატარა ქალაქების მკვიდრნი არიან.

ახალი პროგრამის ბენეფიციარებს უკვე დაურიგდათ სამედიცინო დახმარების ბარათი, რომელიც მფლობელმა საჭიროებისამებრ პირადობის მოწმობასთან ერთად უნდა წარადგონოს. ამ პროგრამაში მონაწილე მოქალაქეებისთვის გათვალისწინებულია უფასო ამბულატორიული მომსახურება, ქირურგის, გინეკოლოგის, ოფთალმოლოგის, პედიატრის, ნევროპათოლოგის, ენდოკრინოლოგის და კარდიოლოგის უფასო კონსულტაციები, გამოკვლევები, მწვავე, გადაუდებელი შემთხვევების ჰოსპიტალური მკურნალობა, გეგმიური ოპერაციები, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება. პროგრამის მიხედვით, სამედიცინო ბარათის მქონე მოქალაქეს ორ თვეში ერთხელ რეგულარულად მოინახულებს ოჯახის ან უბნის ექიმი. საჭიროების შემთხვევაში, ბარათის მფლობელს შეუძლია თვითონ მიაკითხოს ექიმს. პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი "ღირებულება" 16 550 ათასი ლარია.

სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობის 15 პროცენტს შეძლებული ფენა წარმოადგენს, 35 პროცენტი - მოწყვლადი ანუ არაღარიბი მოსახლეობაა, 50 პროცენტს - ღარიბი, მათ შორის 10 პროცენტს სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა. **"ოფიციალური სტატისტიკით, ევროპის ქვეყნების მოქალაქეები ექიმს წელიწადში ექვსჯერ აკითხავენ, ხოლო საქართველოში ერთი მოსახლის ექიმთან ვიზიტის წლიური მაჩვენებელი ორამდეა შემცირებული. მოსახლეობის უმეტესობა არ მიმართავს პროფესიულ სამედიცინო მომსახურებას, ვინაიდან ეს მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. მთლიანი მოსახლეობის 37 პროცენტი არსებული რისკის მიუხედავად თვითმკურნალობას მიმართავს. იმ მოქალაქეთა 42 პროცენტს, რომელიც მიმართავს ექიმს, არ აქვს საკმარისი თანხა, რომ გადაიხადოს სამედიცინო მომსახურების საფასური და იძულებულია, ფული ნათესავებისგან ან მეგობრებისაგან ისესხოს. ოჯახების არასასურსათო დანახარჯების 75 პროცენტი ჯანდაცვაზე მოდის. სწორედ ამიტომ ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაა,"** - აღნიშნა ჭიპაშვილმა.

გაიზრდება თუ არა პირველ ივლისს ამუშავებული ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციართა სია ჯანდაცვის თავკაცებმა ჯერ არ იციან. თუმცა, ამ სისტემაში რეფორმის განსახორციელებლად 2006-2010 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 350 მილიონი ლარი გამოიყოფა. თანხის 30-35 პროცენტი პირველად ჯანდაცვაზე იქნება მიმართული. სამედიცინო დახმარების პროგრამის განხორციელებას მონიტორინგს კი სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გაუწევს.

მთავრობა აცხადებს, რომ დღეიდან უმწეოთათვის ყველა სახის სამედიცინო მომსახურება უფასოა, თუმცა "პროტეზებსა და პლასტიკურ ოპერაციებს ვერ გავაკეთებთ, ვერც სათვალეს შევუძენთ ვინმეს," - აღნიშნა ვახტანგ სურგულაძემ, რომელმაც არ იცის, კიდევ გაიზრდება, თუ არა დღეს ამუშავებული ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციართა სია. "რა სიაც მომაწოდეს, იმის მიხედვით ვმუშაობ. სახელმწიფო საჭიროდ თუ ჩათვლის გაიზრდება. შეიძლება შემცირდეს კიდეც," - აცხადებს იგი.

# რელიგიურ ლიდერთა სამიტი დასრულდა

გუშინ მოსკოვში სასტუმრო "პრეზიდენტ-ოტელში" დასრულდა რელიგიურ ლიდერთა მსოფლიო სამიტი, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც მონაწილეობდა. სამიტზე მიიღეს მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ რელიგია სამყაროს საფუძველია და ცივილიზაციებს შორის დიალოგისთვისაა საჭირო და არა - კონფლიქტების წყარო. "ჩვენ ვაცხადებთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური თავისუფლება მნიშვნელოვანია. ხალხი და ჯგუფები ძალდატანებისგან თავისუფლები უნდა იყვნენ... საჭიროა, აგრეთვე, რელიგიური და ნაციონალური უმცირესობების უფლებათა გათვალისწინებაც," - ნათქვამია მიმართვაში. რელიგიურმა ლიდერებმა ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ნებისმიერი ფორმა დაგმეს, მათ შორის ასეთი საქციელის რელიგიურობით გამართლებაც. ასევე დაგმეს ფსევდორელიგიური ჯგუფების და მოძრაობების საქმიანობა. "ამასთან რეალურად გამკლავება მხოლოდ განათლებითა და მორალური აღზრდითაა შესაძლებელი," - ნათქვამია განცხადებაში. რელიგიური ლიდერები მიიჩნევენ, რომ უნდა შეწყდეს რელიგიური გრძნობებისა და მორწმუნე ადამიანებისთვის წმინდა ტექსტების, სიმბოლოების, სახელებისა და ადგილების შეურაცხყოფა.მოსკოვის სამიტის მონაწილეთა აზრით, კონფლიქტების მოგვარება საკუთარი მოვალეობების გათვალისწინების გარეშე ვერ მოხერხდება. რელიგიურმა ლიდერებმა ასევე აღნიშნეს, რომ საჭიროა, საერთაშორისო ეკონომიკური წესის მორალისა და სამართლიანობის პრინციპებით ფორმირება. "მხოლოდ მოგების გამო ცხოვრება ღარიბი და ცარიელია," - ნათქვამია მიმართვაში. სამიტის მონაწილეები ყველა ერს მოუწოდებენ, მშვიდ, სამართლიან ცხოვრებას დაუბრუნდნენ.რელიგიური ლიდერები საზოგადოებას ახსენებენ, რომ როდესაც რელიგიური ერთობები პოლიტიკური ინტერესებით იმართებიან, მეტად საშიშია.სამიტის მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ რელიგიათშორისი დიალოგები რეგულარულად გაგრძელდება თანასწორობის და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია რელიგიურ ლიდერთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან უფრო სისტემური პარტნიორობა.

*მედიანიუსი*

# ორად გაყოფილი უნივერსიტეტი

ეკა ჯანაშია



ინტერპრესნიუსი

**"ჩვენ ხვალ მოვალთ და ძალით გამოვიტანთ უნივერსიტეტიდან იმ ნაგავს, რომელიც დღეს ივანე ჯავახიშვილის სავარძელშია ჩაბრძანებული და მივაღწევთ თავისუფლებას,"** - ეს განცხადება გუშინ საღამოს უნივერსიტეტის ბაღში გამართულ საინფორმაციო მიტინგზე ალტერნატიული საბჭოს წევრმა ნესტან კირთაძემ გაკეთა. უნივერსიტეტის ბაღში ამ დროისთვის ასიოდე ადამიანი იყო შეკრებილი. მანამდე კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის დიდ აუდიტორიაში უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი სტუდენტურ თვითმმართელობებს შეხვდა და მათგან სრული მხარდაჭერა მიიღო. უნივერსიტეტის სტუდენტებმა რექტორს აცნობეს, რომ ამბოხებულ პროფესორთა ნაწილი მზად არის, კონკურსებში მიიღოს მონაწილეობა და სთხოვეს ამბოხებულ პროფსორთა ამ ნაწილისთვის გაახანგრძლივოს კონკურსებზე განაცხადების წარდგენის ვადა. გია ხუბუამ აღნიშნა, რომ მზად არის განიხილოს ეს საკითხი. რექტორმა სტუდენტების აქტიურობა დადებითად შეაფასა: **"სტუდენტების აქტიურობა კარგი სიგნალია ყველასთვის, რომ ვიყოთ ერთიანი და სტუდენტებზე ორიენტირებული. გვერდზე უნდა გადავდოთ პოლიტიკური სიმპათია-ანტიპატიები და უნივერსიტეტზე ვიზრუნოთ. ამას იმ ადამიანების გასაგონად ვამბობ, ვინც დღეს კონკურსებს აპროტესტებს".**

უნივესიტეტის ბაღში შეკრებილ მიტინგზე გუშინ პოლიტიკური პარტიები არ ჩანდნენ. ადამიანთა სიმცირისა და ცუდი ამინდის გამო, მცირერიცხოვანი შეკრება მალე დაიშალა. გამომსვლელებმა მხარდამჭერები ბაღში დღეისთვის დაიბარეს და თან ახლობლების წამოყვანა სთხოვეს. თუ ბევრი ხალხი იქნება, პოლიტიკოსებიც მოვლენო, ერთმანეთს მომავალი დღის იმედებს უზიარებდნენ სახლებში მიმავალი მომიტინგეები.

**"ამ წმინდა ადგილიდან დაიწყო ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა, გილოცავთ დღევანდელ გამარჯვებას და იმედი მაქვს, ეს დღე ჩვენი საბოლოო გამარჯვების დასაწყისი იქნება, რომელიც უნივერსიტეტიდან მისთვის მიუღებელი ადამიანების წასვლით დასრულდება,"** - ერთ-ერთი პროფესორის ეს სიტყვები დადასტურებაა იმისა, რომ უნივერსიტეტის ამბოხებულმა ნაწილმა აკადემიურ პროცესზე უარი თქვა და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება.

3 ივლისს თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გაავრცელა განცხადება: **"3 ივლისის ე.წ. დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრები ფიზიკური ძალის გამოყენებით შეიჭრნენ და დაიკავეს რექტორის კაბინეტი. შეურაცხყოფდნენ რექტორს აცხადებდნენ, რომ ხელში აიღეს უნივესიტეტის მართვა. ზოგიერთი მათგანი მოუწოდებდა მხარდამჭერებს უნივერსიტეტის ეზოსა და დერეფანში შემოჭრილიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ კაბინეტიდან რექტორის ფიზიკური ძალით გაძევებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მომხდარ ფაქტზე სათანადო რეაგირებას ითხოვს."**

რეაგირება გუშინ თბილისის პოლიციის სამმართველომ მოახდინა. როგორც ცნობილია, ხულიგნობისა და წესრიგის დარღვევის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ამის გამო გუშინ პოლიციის სამმართველოში ხუთი ადამიანი - გელა დოლიძე, თენგიზ სანაძე, ჯემალ მებონია, გოგი გოგოლაშვილი და ავთანდილ არაბული მოწმის სტატუსით დაკითხეს.

თსუ-ში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად დაწყებული კონკურსის შედეგები 24 ივლისს გახდება ცნობილი. ე. წ. დიდი საბჭოს მოწოდებას, უარი თქვან აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობაზე, არავინ გამოეხმაურა.

უნივერსიტეტი კი ჯერჯერობით ისევ ორ არათანაბარ ნაწილად არის გაყოფილი - დიდი ნაწილი აკადემიური ცხოვრების გაგრძელებას აპირებს, მცირე ნაწილმა პოლიტიკური კარიერა დაიწყო.

# ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო ბიუჯეტის კიდევ ერთხელ გაზრდით "იმუქრება"

პირველი გვერდიდან

ფინანსთა მინისტრი ამ შენიშვნას არ იზიარებს. **"ბიუჯეტის დაგეგმვა ემყარება თანამედროვე, აპრობირებულ მეთოდებს, რომლებიც ცივილიზებულ ქვეყნებში გამოიყენება. მუდმივად იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი, მკაცრდება ადმინისტრირება, რაც დამატებითი შემოსავლების წყაროა და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას განაპირობებს,"** - აღნიშნა ლექსო ალექსიშვილმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, რომელზეც 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 77 მილიონი ლარით ზრდის შემაჯამებელი განხილვა მოეწყო. ფინანსთა მინისტრი დეპუტატებს "გულს უხეთქავს" და აუწყებს, რომ წლის ბოლომდე მთავრობა მინიმუმ კიდევ ერთხელ შევა პარლამენტში საბიუჯეტო ცვლილებების მოთხოვნით.

რაც შეეხება ამჟამინდელ 77-მილიონიან ზრდას, მისი უდიდესი ნაწილი (63 მილიონი ლარი) საბაჟო დეპარტამენტის ხაზით მოდის, დანარჩენი 14 მილიონი კი არასაგადასახადო შემოსავლების ზრდამ განაპირობა.

ლექსო ალექსიშვილი დეპუტატებს განუმარტავს, რომ ზედმეტი შემოსავლები მთავრობის მიერ შემუშავებული პრიორიტეტული სფეროების დაფინასებაზე დაიხარჯება. კერძოდ, თავდაცვის სამინისტროსთვის დამატებით გამოყოფილია 17 მილიონი ლარი, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ტრანსფერისთვის, - 14,5 მილიონი, საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებითვის, - 5,4 მილიონი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის, - 9 მილიონი, ცესკოსთვის, - 2 მილიონი, სარეზერვო ფონდებისთვის, - 11,5 მილიონი ლარი (პრეზიდენტის ფონდი შემცირებულია 10 მილიონი ლარით, მთავრობის ფონდი კი 21,5 მილიონით არის გაზრდილი) და ა.შ.

ასეთი განაწილება ყველა დეპუტატს არ აკმაყოფილებს. მაგალითად, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბეჟან ბუცხრიკიძე მიიჩნევს, რომ რეგიონებისთვის გამოყოფილი 9 მილიონი ლარი ძალიან ცოტაა და ამ მიმართულებით მთავრობამ, სულ ცოტა, 50-60 მილიონი ლარი მაინც უნდა გამოყოს.

**"რეგიონებსაც ხომ სჭირდებათ განვითარება? ისედაც მთელი გადასახადები თბილისში მოდის, რეგიონები კი სუსტდება და იცლება,"** - უკმაყოფილებას არ მალავს თერჯოლის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

ფინანსთა მინისტრი არც ბეჟან ბუცხრიკიძეს ეთანხმება. ლექსო ალექსიშვილი ირწმუნება, რომ რეგიონებში საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის დღეს მაქსიმალური თანხებია გამოყოფილი. **"მეტიც: ეს თანხები იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ მათი მთლიანად ათვისებაც კი ვერ ხერხდება",** - აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

კიდევ ერთი პრეტენზია, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გამოითქვა, ის არის, რომ შარშანდელთან შედარებით, გაზრდილია ინფლაციის მაჩვენებელი. თუმცა, ლექსო ალექსიშვილი ამ შემთხვევაშიც შეუვალია. **"საგანგაშო არაფერია. ვეცდებით, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი კვლავ ერთნიშნა რიცხვის დონეზე შევინარჩუნოთ,"** - ამშვიდებს მთავრობის წევრი დეპუტატებს.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის მიმართ პარლამენტში გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები უახლოეს დღეებში მთავრობას გადაეგზავნება. მათი გათვალისწინების (ან არგათვალისწინების) შემდეგ, კანონპროექტი კვლავ საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნდება და დეპუტატები მას რიგგარეშე სესიაზე განიხილავენ, რომელიც 13 ივლისისთვის არის დანიშნული.

## მოკლედ

### რუსეთი ვმო-ში შესვლისათვის შანტაჟზე მიდის

თუ აშშ-თან რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის თაობაზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდება, რუსეთი ამ ორგანიზაციასთან მიმართებაში ადრე ნაკისრ ყველა ვალდებულებას იხსნის. ამის შესახებ, რუსეთის პრეზიდენტმა საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე განაცხადა.

აშშ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რუსეთის კლუბში გაწევრიანებას ეწინააღმდეგება. აშშ კი რუსეთისაგან საფინანსო ბაზრის მეტ ლიბერალიზაციას მოითხოვს.

რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას 1994 წლიდან ცდილობს. 2006 წლის პირველ ნახევარში მან უკვე მოაწერა ხელი ყველა აუცილებელ დოკუმენტს შვეიცარიასთან, ბრაზილიასთან, ინდოეთთან, არგენტინასა და ავსტრალიასთან. **ინტერპრესნიუსი**

### ირანული გაზი - ალტერნატივა სომხეთისთვის

სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ირანს ეწვია სომხეთში ირანის გაზის იმპორტზე მოსალაპარაკებლად. ორდღიანი ვიზიტის მსვლელობაში ქოჩარიანი შეხვდება ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადს. მოსალოდნელია, გაზზე მოლაპარაკების გარდა, ხელმოწერა დოკუმენტებზე საბაჟო, გზათა მშენებლობის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და გარემოს დაცვის სფეროებში. დაგეგმილია ქოჩარიანის შეხვედრა ირანში სომეხთა სათვისტომოს წარმომადგენლებთანაც. ამ ქვეყანაში 200 000-მდე ეთნიკური სომეხი ცხოვრობს. **რადიო თავისუფლება**

### "თბილისი-სოჭის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენამ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის როლიც უნდა შეასრულოს"

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი არასერიოზულს უწოდებს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისა და პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა განცხადებას, რომ აფხაზური მხარე,

თბილისი-სოხუმი-სოჭის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენასთან დაკავშირებით კონსორციუმში მონაწილეობას არ მიიღებს და ისინი დამოუკიდებლად შეეცდებიან აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენას. მათი თქმით, აფხაზეთის რკინიგზა საქართველოს რკინიგზის ნაწილად არ უნდა განიხილებოდეს.

ვოლსკის თქმით, აფხაზურ მხარეს სარკინიგზო მონაკვეთის აღსადგენად ფინანსური რესურსი არ გააჩნია. "თუმცა, შეიძლება სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენისთვის თანხა რუსეთმა გაიღოს და შემდეგ ეს აფხაზებმა თავისად გაასაღონ, მაგრამ ეს ქმედება ფარულად არ დარჩება და საერთაშორისო საზოგადოება ყველაფერს შეიტყობს," - თქვა ვოლსკიმ.

მისივე განმარტებით, ქართული მხარის პოზიციით, თბილისი-სოჭის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენამ სატრანზიტო ფუნქციებთან ერთად მხარეებს შორის ნდობის აღდგენის როლიც უნდა შეასრულოს.

ამიტომაც საქართველოს ხელისუფლება არ დაუჭერს მხარს აფხაზთა ინიციატივას.

ძსეპარატისტთა ასეთი განცხადებები მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლისკენაა მიმართული და ძალზე სამწუხარო იქნება, თუ რუსეთი ამაში მონაწილეობას მიიღებს" - ამბობს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. **მედიანიუსი**

### გორთან კიდევ ერთი სამხედრო ბაზა აშენდება

შიდა ქართლში, გორთან ახლოს, საქართველოს შეიარაღებული ძალების ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყო. იგი ცხინვალიდან 27 კილომეტრის დაშორებით განთავსდება.

გუშინ ბაზის მშენებლობის დაწყებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი დაესწრნენ.

თავდაცვის მინისტრის თქმით, ახალი სამხედრო ბაზა, რომლის მშენებლობაზე 30 მლნ. ლარი დაიხარჯება, ევროპაში ერთ-ერთი თანამედროვე იქნება. ბაზის მშენებლობა 2007 წლის 26 მაისამდე დამთავრდება.

ბაზაზე განლაგდებიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველი ქვეითთა ბრიგადა და საინჟინრო ბატალიონი. **მედიანიუსი**


# ახალგაზრდა მხატვრების საყურადღებოდ!

მოსკოვის რუსულ-ქართული აკადემიის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი აცხადებს შესარჩევ კონკურსს ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიხსნება ამა წლის აგვისტოს მიწურულში ქ. მოსკოვში, არბატზე, კულტურის ცენტრში "ქართული სახლი".

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერ ახალგაზრდა მხატვარს 35 წლის ასაკამდე.

კონკურსში მონაწილეებმა თავიანთი ნამუშევრების ფოტოსურათები უნდა გამოგზავნონ ქვევით მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

ფერწერული ნამუშევრები მიიღება შესრულებული ტილოზა ერა უმეტეს 120x120 ფორმატისა.

გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად შეირჩევა 10 ახალგაზრდა ავტორი ხუთ-ხუთი ნამუშევრით.

გამოფენა გასტანს 25 დღე. ამ ხნის განმავლობაში საგანგებო ჟიური მნახველთა შთაბეჭდილებების გათვალისწინებით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულ სამ ავტორს.

I ადგილზე გასული ავტორი დაჯილდოვდება შოთა რუსთაველის სახელობის ოქროს მედლით.

II ადგილზე გასული - მედლით.

III ადგილზე გასული - მედლით.

მოსკოვის რუსულ-ქართული აკადემიის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი როინ კონჯარია

საკონტაქტო ტელეფონი: ქ. თბილისი 42-12-07, 42-12-08

ქ. მოსკოვი +7(495) 943-67-77

ელექტრონული ფოსტა: russian-georgian@mail.ru


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# პრესრელიზი

## დაუყოვნებლივი გავრცელებისათვის

**უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგიერთი თანამდებობებისა და სტრუქტურების აღმნიშვნელი ტერმინების არასწორი გამოყენების გამო**

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განცხადება*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების გაშუქებისას პრესა, თსუ-ს თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიწოდებით, ზოგჯერ არასწორად იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა "რექტორი", "სამეცნიერო (ან დიდი) საბჭო", "საბჭოს წევრი", და სხვ. ხსენებული ჯგუფის მიერ ამ ტერმინების გამოყენება ზუსტად იმდენადვეა დასაბუთებული, როგორც სეპარატისეტების მიერ ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა, "სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი", "აფხაზეთის პარლამენტი" და ა.შ.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

1. კანონის მე-17 მუხლის თანახმად, **წარმომადგენლობითი საბჭო** არის უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის არჩევა ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულებიდან - ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

2. კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **აკადემიური საბჭო** არის დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანო, რომლის წევრები აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ. პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

3. კანონის 22-ე მუხლის თანახმად, **რექტორი** არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. რექტორს ირჩევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 და არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 თვით ადრე კანონმდებლობითა და საკუთარი წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და რექტორის პირველი არჩევის დეტალური წესი დადგენილია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის N721 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების დებულებით".

უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში სხვა სახის მართვის ორგანოს თვითნებური არჩევა და დამტკიცება უკანონოა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# GEORGIA ON MY MIND...

პირველი გვერდიდან

როგორც შეხვედრამდე ვარაუდობდნენ, მიხეილ სააკაშვილსა და ჯორჯ ბუშს ენერგეტიკული უსაფრთხოების, კონფლიქტების, საქართველოს ნატო-სთან ურთიერთობისა და "დიდი რვიანის" მომავალ სამიტზე განსახილველ საკითხებზე უნდა ესაუბრათ.

შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ჯორჯ ბუშმა საქართველოში შარშანდელი ვიზიტი გაიხსენა, რომელსაც მან "ფანტასტიური უწოდა. **"ფანტასტიურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მეგობარი ძალიან კარგი მასპინძელი იყო, არამედ იმიტომ, რომ ის არის კაცი, რომელსაც იგივე ფასეულებები აქვს, რაც მე. მას სწამს თავისუფლების საყოველთაობის, მას სწამს, რომ დემოკრატია მშვიდობის დამყარების საუკეთესო გზაა. საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი სწორედ ამ რწმენაზე დაფუძნებით მოქმედებენ,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.



ბუშმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე ესაუბრა. მან შეაქო საქართველოს ხელისუფლება პოლიციის რეფორმისთვის, კორუფციასთან ბრძოლისათვის და ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის. **"ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჩვენ ერთი და იგივე ღირებულებები გვაერთიანებს,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

შეერთებული შტატების პრეზიდენტს დაეთანხმა მიხეილ სააკაშვილიც. **"საქართველო ნამდვილად წინ მიიწევს, მას აქვს კარგი ეკონომიკური ზრდა, დაბალი საგადასახადო განაკვეთები,"** - ასე დაახასიათა საკუთარი ქვეყანა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ჯორჯ ბუშს "დიდი რვიანის" მომავალ სამიტზე განსახილველ საკითხებზეც ესაუბრა, თუმცა ისინი არ დაუკონკრეტებია. **"ჩვენ ვაღიარებთ ერთიან ღირებულებებს, რაც ერთნაირად ძვირფასია როგორც ჩვენთვის, ასევე ამერიკისათვის. და ეს არის, რაც ჩვენს ორ ხალხსა და ქვეყანას აერთიანებს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მან საქართველოს ერაყის სამშვიოდობო ოპერაციაში მონაწილეობაც გაიხსენა. **"თქვენი წარმატება ერაყში იქნება საქართველოს და სხვა ქვეყნების წარმატება,"** - მიმართა მან აშშ-ს პრეზიდენტს. **"ჩვენ პატარა და ლამაზი ქვეყანა ვართ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დაგეხმაროთ. მთავარი ის არის, რომ ჩვენ ვაღიარებთ და ვაღმერთებთ იგივე პრინციპებს, რასაც დასავლეთი,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ჯორჯ ბუშს კი ბრიფინგზე ჩრდილოეთ კორეას მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდასთან დაკავშირებულ ამერიკელ ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხების გაცემა მოუხდა, რისთვისაც აშშ-ს პრეზიდენტმა მათ უსაყვედურა კიდეც და მოუწოდა, საქართველოზე ესაუბრათ. ჩრდილოკორეელებს კი მოლაპარაკებისკენ მოუწოდა. **"ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ კორეას ბირთვული იარაღი ჰქონდეს. ეს გამორიცხულია,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ დემოკრატიისათვის ბრძოლის მსურველი ჩრდილოეთ კორეაშიც მრავლადაა.

ჯორჯ ბუშს შეკითხვა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების თაობაზეც დაუსვეს. **"დარწმუნებული ვარ, ნატო დიდ სარგებელს მიიღებს საქართველოს გაწევრიანებით. და მე ვფიქრობ, საქართველოსთვისაც ეს სასარგებლო იქნება. წინ გზა გვაქვს გასავლელი სამოქმედო გეგმამდე და ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენს პარტნიორებთან ნატო-ში იმისათვის, რომ დავინახოთ, ხომ არ შეიძლება ეს გზა საქართველოსთვის უფრო გავაადვილოთ. საქართველოსაც სამუშაო აქვს და პრეზიდენტს ეს ესმის. მე მწამს ნატო-ს გაფართოების. ვფიქრობ, ეს მთელი მსოფლიოს ინტერესებშია,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

კითხვაზე პასუხისას პრეზიდენტმა ბუშმა გამორიცხა ის, რომ აშშ-მ როდესმე უარი თქვას საქართველოს დემოკრატიისკენ სწრაფვის მხარდაჭერაზე.

**"თავისუფლება უნივერსალური რამეა. დარწმუნებული ვარ, თავისუფლების გავრცელება უმნიშვნელოვანესია მშვიდობისათვის. აქედან გამომდინარე, თავისუფლების თემა დღის წესრიგში ყოველთვის იქნება, ის ჩემს სულშია. მე ვფიქრობ, რომ აშშ-ს ვალდებულებაა, იმუშაოს სხვების დასახმარებლად და მათი თავისუფლების დასაცავად,"** - განაცხადა ბუშმა.

მან აღნიშნა, რომ **"დემოკრატიას დრო სჭირდება და მე ეს მესმის. მე მინდა მუშაობა მათთან, ვინც დახმარებას მთხოვს. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და, როცა სახელმწიფო ითხოვს დახმარებას, ამერიკამ თხოვნას ყოველთვის უნდა მოუსმინის, განსაკუთრებით საქართველოსი"**.

აშშ-ს პრეზიდენტმა საქარველოსადმი მხარდაჭერის მაგალითად "ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამა დაასახელა. მისი თქმით, აშშ უნდა დაეხმაროს საქართველოს, შექმნას პირობები წარმატებისათვის.

**"თქვენი კითხვის პასუხად - დიახ, მე ძალიან ბევრი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, ძალიან ბევრს ვფიქრობ, მაგრამ ჩემი მეგობარი პრეზიდენტი აქ არ იჯდებოდა, საქარველოზე რომ არ ვფიქრობდე,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

## ფხენიანი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს

პირველი გვერდიდან

ოფიციალური მოსკოვი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კორეის ამგვარი ქმედებები ხელს უშლის რეგიონში სტაბილურობასა და თანამშრომლობას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიხაილ კამინინის განცხადებით, მოსკოვი შეეცდება დაადგინოს ჩრდილოეთკორეული რაკეტების ჩამოვარდნის ზუსტი ადგილი.

საერთაშორისო საზოგადოება ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გამოცდის ფაქტს სასტიკად გმობს, ხოლო ოფიციალური ფხენიანი კი დამაჯერებლად აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეას ამგვარი ქმედებების განხორციელების უფლება აქვს.

იაპონიამ და აშშ-მ აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა მოითხოვეს, რომელიც თბილისის დროით გუშინ გვიან ღამით გაიმართა. სხდომის დაწყებამდე რუსეთის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მოსკოვი ამ საკითხის განხილვაში აქტიურ როლს ითამაშებს. გაეროს უშიშროების დახურულ სხდომაზე დაგეგმილია ჩდრილოეთ კორეის ქმედებების საწინააღმდეგო რეზოლუციის მიღება.

საყურადღებოა ისიც, რომ ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ჩრდილოეთ კორეას ბალისტიკური რაკეტების გამოცდით საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევა სურს. ოფიციალური ვაშინგტონი ფხენიანის ქმედებებს გმობს და მას ექვსმხრივი მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდებს. საყურადღებოა, რომ გასულ წელს გაეროს უშიშროების საბჭოსა და ჩრდილოეთ კორეას შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. 2002 წელს ოფიციალურმა ფხენიანმა თანხმობა განაცხადა იაპონიასთან სარაკეტო გამოცდების თაობაზე მორატორუმის გაგრძელების შესახებ, რაც 2004 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების მსგავსი გამოცდა ბოლოს 1998 წელს განხორციელდა.

## გიგა ბოკერია ოპოზიციის განცხადებებს პროვოკაციულს უწოდებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგა ბოკერია პროვოკაციულსა და არასერიოზულს უწოდებს ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებას, რომ საქართველოს ხელისუფლებას ქვეყანა სამოქალაქო ომისკენ მიჰყავს.

ბოკერიას თქმით, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც გარკვეულ ძალებს სურთ, ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანონ, "მაგრამ ვინც ამაზე ოცნებობს, ის ნამდვილად არარეალურ სამყაროში ცხოვრობს, რადგან საქართველო ის აღარ არის, რაც ათი წლის წინ იყო."

ბოკერიას აზრით, ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სამოქალაქო ომზე საუბრობენ, საკუთარ რეიტინგს აყენებენ დარტყმას, რადგან მოსახლეობა არასოდეს დაუჭერს მხარს პროვოკაციული ტონით მოსაუბრე პოლიტიკოსებს. ხელისუფლებას კი მსგავსი განცხადებები არ აღელვებს.

*მედიანიუსი*

## ისრაელის ავიაციამ პალესტინის შსს დაბომბა

ისრაელის ავიაციამ პალესტინის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასა და ღაზას სექტორში "ბოევიკთა" ზოგიერთ ობიექტზე შეტევა მიიტანა.

თვითმხილველთა განცხადებით, ერთმა რაკეტამ გაანადგურა შსს-ს შენობის მესამე და მეოთხე სართულები. დაზიანებულია ასევე სკოლის შენობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ რადიკალური მოძრაობა "ჰამასისა" და საწვრთნელი ბანაკის "იზედინ ალ-ქასამის ბატალიონების" წარმომადგენლები.

წინასწარი ინფორმაციით, აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

*ინტერპრესნიუსი*

# უმოქმედო რადა და იგნორირებული "რეგიონები"

### იანუკოვიჩის მომხრეები "ნარინჯისფერებს" პოლიტიკურ სიყრუეში სდებენ ბრალს

სოფო ბუკია

*მეცხრე დღეა ბლოკირებულია უკრაინის უმაღლესი რადას მუშაობა. "ნარინჯისფერებმა" ვერ შეძლეს იანუკოვიჩთან საერთო ენის გამონახვა და საპარლამენტო კრიზისის დაძლევა. მოლაპარაკებათა პროცესში თავად პრეზიდენტი იუშენკოც ჩაერთო.*



უკრაინის საპარლამენტო ცხოვრებაში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვას თავად პრეზიდენტი იუშენკო ცდილობს, თუმცა ქვეყნის პირველი პირის ავტორიტეტი ამ შემთხვევაში საკმარისი არ აღმოჩნდა.

სამშაბათს უკრაინის პარლამენტის ფრაქციათა ლიდერებმა მთელი დღე პრეზიდენტის სამდივნოში გაატარეს, სადაც ორ ბანაკად დაყოფილი დეპუტატები საერთო ენის გამონახვას პრეზიდენტ იუშენკოს თანდასწრებით შეეცადნენ.

მოლაპარაკებათა ორმა რაუნდმა, ანტრაქტმა, და დამატებითმა დრომ უშედეგოდ ჩაიარა. დეპუტატებმა შენობა ისე დატოვეს, რომ ჟურნალისტებისთვის სათქმელი არაფერი აღმოაჩნდათ, გარდა იმისა, რომ შემდეგი შეხვედრა პარასკევისთვისაა დაგეგმილი.

ჟურნალისტების მოლაპარაკებათა პროცესზე არშეშვება უკრაინული საპარლამენტო კრიზისის მთავარმა "დამნაშავემ" ვიქტორ იანუკოვიჩმა გადაწყვიტა. საქმე სერიოზულადაა და მისგან შოუს გაკეთება საჭირო არ არისო, ბრძანა "რეგიონების პარტიის" ლიდერმა.

ჟურნალისტების დამშვიდებას პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ოლეგ რიბაჩუკი შეეცადა, რომელმაც შეხვედრის დასრულების შემდეგ მასმედიისთვის "სინოპტიკური" კომენტარები გააკეთა. **"საგრძნობლად დათბა... ყინული დაიძრა... ამ წუთებიდან იწყებს მუშაობას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იშრომებს იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება,"** - დააანონსა პოლიტიკური ამინდი რიბაჩუკმა.

როგორც რიბაჩუკის ნაამბობიდან ირკვევა, მთავარ საკითხზე კონსესუსის მიღწევა ვერ მოხერხდა - იანუკოვიჩი კვლავინდებურად უარს აცხადებს, შეწყვიტოს პარლამენტის მუშაობის ბლოკირება. "ნარინჯისფერები" კი ისევ არ ასრულებენ იანუკოვიჩის ნატვრას და არ აპირებენ საპარლამენტო კომიტეტების ხელმძღვანელთა უკვე შერჩეული კანდიდატურების გადახედვას. **"ყველა სხვა საკითხზე შეთანხმება მიღწეულია, მხოლოდ საპარლამენტო კომიტეტების ხელმძღვანელებთან დაკავშირებით ვერ შევთანხმდით,"** - განაცხადა შეხვედრიდან გამოსულმა "ნაშა უკრაინას" წევრმა რომან ზვარიჩმა.

"რეგიონალები" უკრაინის საპარლამენტო "უბედურებაში" ტრადიციულად ტიმოშენკოს და მისივე სახელობის ბლოკს ადანაშაულებენ. **"დღეისათვის სიტუაციას მხოლოდ ერთი ადამიანი ძაბავს - იულია ტიმოშენკო. ჩვენ აღარ გვაქვს პრეტენზიები "ნაშა უკრაინასთან" და სოციალისტურ პარტიასთან, რჩება მხოლოდ ტიმოშენკო, რომელიც ყველაფერს აკეთებს მოლაპარაკებათა პროცესის ჩასაშლელად. ძნელია იულია ვლადიმიროვნას მოქმედების მოტივები გამოიცნო. ვფიქრობ, თუ ასე გაგრძელდა, ტიმოშენკო ყველაფერს დაანგრევს. ლედი იუ-ს არ მოუწევს ხვალ შამპანიურის მირთმევა,"** - აცხადებდა "რეგიონების პარტიის" წევრი, დეპუტატი ტარას ჩორნოვილი.

ტიმოშენკოს გუშინ მართლაც არ მოუწია შამპანიურის გახსნა. გუშინ დილის ცხრა საათისთვის რეგიონების პარტიის დეპუტატებმა კვლავ "აიღეს" რადას შენობა და ერთი კვირის განმავლობაში ოკუპირებული სტრატეგიული პოზიციები უფრო გაამაგრეს - რადას პრეზიდიუმთან, ტრიბუნასთან და სამთავრობო ლოჟაში გუშინ კვლავ გაგრძელდა "რეგიონალთა" ბლოკადა. "რეგიონალთა" მორიგ პიკეტს დეპუტატი რაისა ბოგატირიოვა უძღვებოდა, რომელმაც დანანებით შესჩივლა ჟურნალისტებს, რომ სინათლე გვირაბის ბოლოს არ სჩანს. **"თუმცა, ჩვენ მაინც ვუახლოვდებით პრობლემის მოგვარების მომენტს. რეგიონების პარტია მზადაა, დათმობებზეც წავიდეს, კერძოდ კი, უარი თქვას ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე და საკონსტიტუციო სასამართლოში პარტიული კვოტის გამოყოფაზე,"** - განაცხადა ბოგატირიოვამ.

გუშინ საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ იანუკოვიჩი და მისი პარტიის წევრები იმდენად ნაწყენები არიან "ნარინჯისფერებზე", რომ ჭამაზეც კი უარს აცხადებენ. **"თუ კვირის ბოლომდე კომპრომისი არ იქნა მიღწეული, რეგიონების პარტიის 20 დეპუტატი შიმშილობას გამოაცხადებს,"** - დაიმუქრა "რეგიონალთა" პოლიტსაბჭოს წევრი ევგენი კუშნარიოვი. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი პარტია მოთხოვნებს არ ცვლის და საპარლამენტო კომიტეტების პროპორციული წესით გადანაწილებას ითხოვს. **"რეგიონების პარტიას 10 კომიტეტი უნდა ჩააბარონ,"** - კატეგორიული იყო კუშნარიოვი.

# ვაშინგტონის შეხვედრის შეფასებები ცხინვალიდან

სააკაშვილისა და ბუშის შეხვედრას, როგორც ჩანს, გულგრილად ვერც საქართველოს სეპარატისტული "რესპუბლიკების" ისტებლიშმენტი უყურებს.

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ანუ კოკოითის მთავრობის წარმომადგენლები ბოლო რამდენიმე დღეა ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მსჯელობენ და პროგნოზებს აკეთებენ.

სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ე.წ. პრემიერ-მინისტრი იური მოროზოვი დარწმუნებულია, რომ "დიდი რვიანის" სამიტზე აშშ და რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე აუცილებლად ისაუბრებენ.

მისივე თქმით, ეს საუბარი მეტად "მძიმე და არასასიამოვნო იქნება", მაგრამ მოროზოვი იქვე დასძენს, საუბარი "ჩვენს" სასიკეთოდ დასრულდებაო.

"რამდენადაც ვხედავ, რუსეთი არსებულ პოზიციას არ გადაუხვევს, რუსეთში ქვების შეგროვების ჟამი დადგა, ხოლო რუსეთის პოზიცია დღეს ისეთი ნათელი და მკაფიოა, როგორიც არასდროს ყოფილა," - ამბობს მოროზოვი.

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით აზრი კოკოითის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალან ფლიევმაც გამოთქვა. მისი აზრით, საქართველოს პრეზიდენტი შეხვედრისას კონფლიქტების დარეგულირების საკითხში თავისი ამერიკელი მეგობრების დახმარებას მოითხოვს. "საქართველო კარგად ხედავს, რომ მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მის მიერ შემოღებულმა ეკონომიურ-პოლიტიკურმა სანქციებმა და მუქარის შემცველმა განცხადებებმა შედეგი ვერ გამოიღო და მხარეები დააცილა. ამიტომაც საქართველო დახმარების მოპოვებას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცდილობს", - ამბობს ფლიევი.

*ჯი-ეიჩ-ენი*





ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის გამზ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

მოკლედ

## კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ

სულ უფრო აქტუალური ხდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. სწორედ კორუფციასა და ტრანსნაციონალური დანაშაულის თემას მიეძღვნა კონფერენცია, რომლის ორგანიზატორიც იყო "ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის" კავკასიის რეგიონული ოფისი. კონფერენცია გახსნა "ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის კავკასიის ოფისის" დირექტორმა, ალექსანდრე კუხიანიძემ, რომელმაც ისაუბრა საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებაზე და პრობლემათა გადაჭრის გზებზე. კონფერენციაზე დისკუსია გაიმართა უსახლკარო ბავშვებსა და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კულტურაზე, კორუფციასა და აგრარული ბაზრების მართვაზე, ასევე, საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულ კორუფციაზე. განიხილეს კორუფციის სახეები, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივ ტრანსპორტს და სოფლის მეურნეობას. კონფერენციაზე დისკუსიები გაიმართა უბნის ინსპექტორის ინსტიტუტთან, ასევე - დანაშაულისა და მისი ტრანსნაციონალური კავშირებისა და სიგარეტის კონტრაბანდასთან დაკავშირებით.

**ნუკა გაგუა**

## ახალგაზრდა იურისტები 208-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვენ

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ახალგაზრდა იურისტები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლს ასაჩივრებენ.

საქმე ისაა, რომ, როგორც ახალგაზრდა იურისტები აცხადებენ, ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით, რომელიც არაკონსტიტუციურია, სარგებლობენ და მოქალაქეებს, სასამართლო პროცესზე წესრიგის დარღვევის გამო, ადმინისტრაციულ პატიმრობას უფარდებენ; მაგალითად, 22 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი ჩემიამ ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღის ვადით შეუფარდა მოქალაქე გიორგი მასურაშვილს. ზემოაღნიშნული მუხლით, ოცდაათდღიანი პატიმრობა შეეფარდათ "თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლებსაც.

**"ორივე შემთხვევაში მოსამართლეებმა გიორგი ჩემიამ და ეკა ტყეშელაშვილმა განკარგულების გამოტანისას იხელმძღვანელეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პიროვნების თავისუფლების აღკვეთას დამცველის მონაწილეობის გარეშე. ამ მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მიიღოს ერთპიროვნულად სასამართლო განხილვის გარეშე და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება",** - აცხადებენ ახალგაზრდა იურისტები. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით, "ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს". ამ შემთხვევაში კი, მოსამართლის განკარგულება არ საჩივრდება და პირი სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი უფლებები სასამართლოს მეშვეობით. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დაუშვებელია სასამართლომ განსაჯოს პიროვნება, თუ მას არ აქვს გარანტირებული დაცვის უფლება. სწორედ ამიტომაც, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სარჩელით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. **24 საათი**

## 405 არასამთავრობო ორგანიზაცია და 2 პარტია

იუსტიციის მინისტრს გია ქავთარაძეს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2006 წლის I ნახევარში გაწეული მუშაობის ანგარიში წარუდგინა. დეპარტამენტის უფროსის გია გოგიბერიძის ინფორმაციით, 2006 წლის 6 თვეში რეგისტრირებულია: 405 კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი და მისი ფილიალი (არასამთავრობო ორგანიზაცია); 42 ფონდი და ფონდის ფილიალი; უცხო ქვეყნის არასამეწარმეო იურიდიული პირის ექვსი ფილიალი. ამასთან, დარეგისტრირდა ორი ახალი პოლიტიკური პარტია, ხოლო სამი პარტიის სარეგისტრაციო დოკუმენტებში ცვლილებები შევიდა. ამ პერიოდში რეგისტრირებულია ათი მაკონტროლებელი ორგანო. დეპარტამენტმა სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისი იურიდიული პირების რეესტრში შეიტანა. იურიდიული პირების სარეგისტრაციო მოსაკრებელის სახით, ბიუჯეტში გადახდილია 24 ათას ლარზე მეტი. ამავე დეპარტამენტის მიერ 2006 წლის I ნახევრის განმავლობაში შესწავლილია, ნებართვისა და ლიცენზიის გაცემის მოთხოვნით, წარდგენილი 38 განცხადება. სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის სახით, ბიუჯეტში გადახდილია 431 ათას ლარზე მეტი. დეპარტამენტი მუშაობს სამოქალაქო კოდექსის ცვლილებებზე, რომელიც არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივებას ითვალისწინებს. **24 საათი**


**კონკურსი საახალწლო პროგრამის სცენარზე**

საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს კონკურსს საახალწლო მუსიკალურ-გასართობი პროგრამის სცენარზე.

პროგრამის სცენარი უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ გადაცემებს და გათვალისწინებული უნდა იყოს ტელევიზიის 50 წლის იუბილე, რომელიც წელს, 30 დეკემბერს აღინიშნება. საახალწლო პროგრამა უნდა მოიცავდეს იუმორისტულ და მუსიკალურ ნომრებს და ასევე ორიგინალურ ნომერს. პროგრამის ხანგრძლივობა 4 საათი.

კონკურსში გამარჯვებულის ჰონორარი შეადგენს 3000 ლარს.

კონკურსში წარმოდგენილი სინოფსისების საფუძველზე კომისია გამოავლენს საახალწლო მუსიკალურ-გასართობი პროგრამის საუკეთესო სცენარის ავტორს.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოგზავნონ პროგრამის სინოფისისი 2006 წლის 25 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"
კოსტავას გამზ. 68
თბილისი, 0171
dzigrashvili@gpb.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომრებზე:
21 33 67 ან 33 35 59 - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.



**საქართველოს პარლამენტის აპარატი საკონკურსო წესით შეისყიდის სარეცხ და საწმენდ საშუალებებს**

საქონლის მოწოდება უნდა მოხდეს ოპერატიულად შემსყიდველის მისამართზე, სასურველია უნაღდო ანგარიშსწორებისა და კონსიგნაციის წესით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები),
2. წინადადება.

ჩამოთვლილი დოკუმენტაცია (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) მოწოდებული უნდა იქნეს 2006 წლის 13 ივლისის 15.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

დეტალური სიისთვის და დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 92-12-64.



**FRANCK PROVOST**
**Paris**

**ფრანგული თმის სალონი-ს ფილიალი საქართველოში**

**აცხადებს კონკურსს პროფესიონალი ხელოსნების მიღებაზე**
**მოთხოვნები:**

**-არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე სტილისტები, 20დან-40 წლამდე**
**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით**
**ტელ.: (995 77) 99 55 22**
**(995 99) 26 77 97**
**(995 99) 14 30 06**
**გამოხმაურების საბოლოო ვადაა: 20 ივლისი**


# სანდრო გირგვლიანის პროცესზე დღეს განაჩენს გამოიტანენ



*ოლეგ მელნიკოვი, დაზარალებულის ახალი ჩვენებით, ოქროყანის სასაფლაოზე იმყოფებოდა.*

პირველი გვერდიდან

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა ბრალდების მხარის მიერ საქმეზე დართული ნივთმტკიცებების გამოთხოვა და მათი დამატებით შეწავლა, ასევე, წინასწარი გამოძიების დროს მოწმეთა ჩვენებების და ამოცნობის პროცედურების ვიდეომასალების შესწავლაც მოითხოვა. თუმცა, ამაზეც კატეგორიული უარი მიიღო.

რაც ყველაზე მთავარია, პროკურორებისა და მოსამართლისთვის არაფრისმთქმელი აღმოჩნდა დაზარალებული ლევან ბუხაიძის გუშინდელი, ხელახალი ჩვენება და სკანდალური განცხადება.

**"პროცესის დაწყების დღიდან ვაკვირდები და ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ განსასჯელის სკამზე მჯდომი ბიბილური იმ ღამეს ოქროყანაში არ მინახავს. ასევე, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ, ისევ ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, ხმით, მოძრაობით და სასამართლო პროცესის ჩანაწერების ხელახლა ნახვით, მე აღვიდგინე ოქროყანაში მყოფი მეოთხე ადამიანი. დარწმუნებული ვარ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მეოთხე იყო ოლეგ მელნიკოვი. საერთოდ, ის, რაც ამ პროცესზე ხდება, განსასჯელების ჩვენებებით დაწყებული და სხვადასხვა პროცედურით დასრულებული, დაწერილი სცენარია",** - ასეთი გახლდათ ლევან ბუხაიძის გუშინდელი ჩვენება.

სხვათა შორის, დაზარალებული ლევან ბუხაიძე აქამდე მართლაც აცხადებდა, რომ დაზუსტებით არ შეეძლო იმის თქმა, რომ ამოიცნო ბიბილური, ისევე, როგორც დაზუსტებით ვერ ამბობდა, იყო თუ არა იმ ღამეს ოლეგ მელნიკოვი ოქროყანაში. თუმცა, მელნიკოვის მონაწილეობას ოქროყანის ინციდენტში ბუხაიძე თავიდანვე არ გამორიცხავდა.

დაზარალებული ლევან ბუხაიძე გუშინ პროკურატურის მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზეც ალაპარაკდა. გუშინ ისიც გახდა ცნობილი, რომ ბრალდებულების დაკავების დღესვე გამოძიებამ ლევან ბუხაიძეს ადვოკატზე უარი ათქმევინა. **"ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის, ადვოკატი რისთვისღა გჭირდებაო,"** - უთქვამთ პროკურატურაში ბუხაიძისთვის, რის შემდეგაც მასთან საგამოძიებო მოქმედებები ადვოკატის გარეშე ტარდებოდა. ადვოკატის გარეშე ჩაატარებინეს მას ამოცნობის პროცედურაც, მათ შორის ოლეგ მელნიკოვის ამოცნობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ლევან ბუხაიძის გუშინდელი განცხადების შემდეგ საქმის სასამართლო მსვლელობას სხვა მიმართულება უნდა მისცემოდა, რადგან, როგორც დაზარალებული მხარის ინტერესების დამცველები და იურისტები აცხადებენ, დაზარალებულის ჩვენება უკვე საკმარისი საფუძველია მელნიკოვის დაპატიმრებისთვის,

პროკურორებმა, დაზარალებულის ჩვენება რატომღაც არ გაიზიარეს. არადა, წესით, პირიქით უნდა მომხდარიყო - კანონით, დაზარალებული და ბრალდება ერთი მხარეა, ანუ, პროკურატურა დაზარალებულის ინტერესების დამცველია.

**"ის ფაქტი, რომ განსასჯელები - გია ალანია, ლაჭავა, აფციაური და ბიბილური თავიანთ ჩვენებებში ადასტურებენ, რომ სწორედ მათ განახორციელეს ბუხაიძისა და გირგვლიანის მიმართ ცემის ფაქტი, ადასტურებს, რომ სწორედ ბიბილური მონაწილეობდა იმ ჩხუბში და არა მელნიკოვი. უტყუარადაა დადასტურებული, რომ დანაშაული ჩაიდინეს გია ალანიამ, ლაჭავამ, აფციაურმა და ბიბილურმა",** - ასეთია სახელმწიფო ბრალმდებლების პოზიცია, რომლებმაც გუშინვე სასწრაფოდ საბრალდებო სიტყვაც წაიკითხეს. პროკურორმა გია ალანიასთვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენი სამი განსასჯელისთვის - ლაჭავასთვის, ბიბილურისა და აფციაურისთვის კი 8-8-წლიანი პატიმრობა მოითხოვა. საბრალდებო სიტყვის თანახმად, გია ალანია, ლაჭავა, აფციაური და ბიბილური ბრალდებულნი არიან ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში, რომელმაც ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. ასევე, ისინი ბრალდებულები არიან ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ჯგუფურად და სხვისი ნივთის განადგურებაში. რაც შეეხება გია ალანიას, მას კიდევ ერთი ბრალდება აქვს წაყენებული - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

სხვათა შორის, ბუხაიძის განცხადების შემდეგ მოსამართლე, თითქმის, ყოველ ათ წუთში სასამართლო პროცესზე შესვენებას აცხადებდა. **"დაზარალებულის ჩვენებამ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო პროკურატურა, ასევე - მოსამართლე. როგორც ჩანს, მას სათათბიროში გასვლა მითითებების მისაღებად სჭირდება. მთელ სასამართლო პროცესს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვიდეოკამერით იღებს, რაც სასამართლო პროცესზე კონტროლის განხორციელებას ნიშნავს",** - ასე შეაფასეს ლევან ბუხაიძის ჩვენების შემდეგ სასამართლო დარბაზში განვითარებული მოვლენები დაზარალებულების ახლობლებმა, სასამართლო პროცესზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო მონიტორინგს აწარმოებენ და რომლებსაც, სასამართლოს მისამართით ხმამაღლა გამოთქმული პრეტენზიების გამო, მოსამართლე გიორგი ჩემიამ გუშინ, ადგილზე მიღებული გადაწყვეტილებებით, 100-ლარიანი, 200-ლარიანი, 300-ლარიანი, 400-ლარიანი და 500-ლარიანი ჯარიმებიც ჩამოურიგა. სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესის მონიტორინგში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისევე, როგორც გირგვლიანის ოჯახის წევრები, ლევან ბუხაიძეზე ახალი ფორმით ზეწოლას არ გამორიცხავენ. სხვათა შორის, გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა გუშინ სასამართლოს წინაშე ლევან ბუხაიძისთვის ხელახალი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა, თუმცა, ეს შუამდგომლობაც დაუკმაყოფილებელი დარჩა.

გუშინდელ პროცესზე დაიკითხა მოწმე, რომლითაც გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა. გარდაცვლილი სანდრო გირგვლიანის მეგობარი ზაალ ქურციკიშვილი დაცვის მხარის მოთხოვნით დაკითხეს.

ზაალ ქუციკიშვილის ჩვენების მიხედვით, ის მკვლელობის ღამეს სანდრო გირგვლიანს "შარდენ ბარში" შემთხვევით შეხვდა. მოწმემ დაადასტურა, რომ მეზობელ სუფრასთან, სადაც მისთვის უცნობი რამდენიმე მამაკაცი და სამი ქალბატონი იჯდა, სანდრო გირგვლიანს ფარული ინციდენტი მოუხდა. **"მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა. ამიტომ, როდესაც სანდრო იმ სუფრას მოშორდა, მე მივედი იმ მაგიდასთან, სადაც სანდროს ნაცნობი გოგონა იჯდა, უცნობ მამაკაცს ზურგზე ხელი დავარტყი და ვუთხარი, თუ ჩემმა მეგობარმა გაწყენინა, ბოდიშს გიხდით- მეთქი",** - განუცხადა სასამართლოს ქურციკიშვილმა.

გუშინვე სასამართლომ დაკითხა კიდევ ერთი მოწმე, ლევან ბუხაიძის მეგობარი, თორნიკე ჩიკვაიძე, რომელიც მკვლელობის ღამეს ბარში იყო და გირგვლიანმა ლევან ბუხაიძემ სწორედ იმ ღამეს გააცნო. თორნიკე ჩიკვაიძემ არ დაადასტურა გია ალანიას მიერ მიცემული ჩვენება, რომელშიც აცხადებს, რომ მას და გირგვლიანს შორის პირველი, მცირე შელაპარაკება სწორედ ბარის შესასვლელთან მოხდა. როგორც მოწმემ განაცხადა, ბუხაიძე და გირგვლიანი ბარიდან გასვლისას მან კარამდე მიაცილა და იქ არანაირი ინციდენტი არ შეუნიშნავს.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ სანდრო გირგვლიანის საქმის სასამართლო გამოძიება უკვე დასრულებულია, კვლავ უამრავი, საქმისთვის არსებითი კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი. სრულად დააკმაყოფილებს თუ არა პროკურატურის მოთხოვნას მოსამართლე გიორგი ჩემია, დღეს გახდება ცნობილი.

### პროკურატურა ბრალდებულთა დაცვას ახორციელებს

მალხაზ ჯანგირაშვილი, რომელიც არაერთი გახმაურებული საქმის ადვოკატი გახლავთ, აცხადებს, რომ სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვისას პროკურატურამ ტრადიციას უღალატა და განსასჯელთა დამცველობა იტვირთა.

"პროცესზე, შესაძლოა, გამოიკვეთოს ახალი გარემოება - ძიებისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზეც მართლმსაჯულებამ პასუხი აუცილებლად უნდა გასცეს. ასეთი რამ მოხდა სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესზე, როცა დაზარალებულმა ბუხაიძემ ჩვენება მისცა და დაასახელა დანაშაულში მონაწილე პირთა გვარები; ანუ გამოიკვეთა ძალზე მნიშვნელოვანი ახალი გარემოება, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს განსასჯელთა ბრალდების დამძიმებაც. პროკურატურა დაინტერესებული უნდა იყოს, დაადგინოს რეალობა და დანაშაულში მონაწილე ყველა პირი მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. თუმცა, სამწუხაროდ, სანდრო გირგვლიანის პროცესზე პირიქით ხდება - პროკურატურა, რომელიც, ტრადიციულად, ბრალდებულებს "ურტყამს" და ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დაამძიმოს ბრალდება, ამჯერად ღალატობს თავის პრაქტიკას და ბრალდებულების "დაცვის კარში" დგას. რეალურად, ხელს აფარებენ იმ ადამიანებს, რომელთაც უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს.

დღეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ამ დღეებში კიდევ ახალი ცვლილება თუ არ შეიტანეს (ასეთი ცვლილებები კონკრეტული საქმეებიდან გამომდინარე მუდმივად შეაქვთ), წერია, რომ დამატებით ძიებაში მოსამართლე საქმეს წარმართავს იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი შუამდგომლობს ბრალდებულისთვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას. ამიტომაც, ბუხაიძის განცხადებას სამართლებრივი შეფასება აუცილებლად უნდა მიეცეს და ეს პროკურატურამ უნდა მოითხოვოს.

თუ ხსენებულ კანონს არ გამოიყენებს პროკურატურა, და ამ შემთხვევაში, ხარვეზიანი კანონი მათ ამის უფლებას აძლევთ, თანაც, ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, პროკურატურას რეალობის დასადგენად საქმე დამატებით ძიებაში დაებრუნებინოს, არსებობს სხვა ბერკეტიც - ანალოგიის პრინციპის გამოყენება.

არის კიდევ ერთი გზა - წესით, ბუხაიძის საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადების საფუძველზე, პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა აღძრას საქმე, რადგანაც დაზარალებული კონკრეტულ, უმძიმეს დანაშაულზე მიუთითებს", - აცხადებს მალხაზ ჯანგირაშვილი.

### მართლმსაჯულების ცინიზმი

"რესპუბლიკური" პარტიის ლიდერი, იურისტი თინათინ ხიდაშელი საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ღონღაძის საქმეს და ამ საქმეში მონაწილე თანამდებობის პირების ბედს ახსენებს.

"ის, რაც გირგვლიანის მკვლელობის სასამართლო პროცესზე ხდება, ცინიზმია. გუშინდელ სხდომაზე ლევან ბუხაიძის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ მოსმართლეს სასამართლო გამოძიება უნდა გაეგრძელებინა და მოეთხოვა ოლეგ მელნიკოვის თავიდან დაკითხვა, რის შემდეგაც უნდა დაეპირისპირებინა მელნიკოვი და ბუხაიძე. ამის გაკეთება აუცილებელი იყო იმისთვის მაინც, რომ გიორგი ჩემიას ობიექტური სასამართლოს სპექტაკლი გაეთამაშებინა და მერე ეთქვა, ახალი ვერაფერი დავადგინეთო. მაგრამ მოხდა პირიქით, როდესაც ბუხაიძემ შუამდგომლობა დააყენა მოსამართლემ სასამართლო გამოძიება მაშინვე დაასრულა. ამის შემდეგ უკვე პროკურატურაზე იყო ჯერი, კანონმდებლობით მათ შეეძლოთ ან ცალკე მოეთხოვათ საქმის აღძვრა ან მთლიანად საქმე დაებრუნებინა წინასწარ გამოძიებაში, რაც არ გააკეთეს.

გირგვლიანი პროცესთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია. "ზვიადისტების" და "მხედრიონელების" პროცესებზეც კი მოსამართლეები ფორმალურად ცდილობდნენ, დაკისრებული მოვალეობა შეესრულებინათ, დღეს კი, სასამართლოს ცირკის სახე მისცეს. სასამართლომ თითქმის ორ კვირაში ამოწურა გირგვლიანის საქმის განხილვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უნდა დროზე მოიცილოს ეს პროცესი. ჰგონია, რომ ხალხს ყველაფერი დაავიწყდება. მაგრამ სააკაშვილს ვპირდები, რომ გირგვლიანი მისთვის ღონღაძის საქმე გახდება," - აცხადებს თინათინ ხიდაშელი.

### თბილისის პროკურატურა ლევან ბუხაიძის ახალ ჩვენებას შეისწავლის

ლევან ბუხაიძის ჩვენებას ოპერატიულად გამოეხმაურა თბილისის პროკურორი. **"თბილისის პროკურატურა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში მთავარი მოწმის ლევან ბუხაიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას შეისწავლის",** - განაცხადა თბილისის პროკურორმა გიორგი ლვინიაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე.

ლვინიაშვილმა გაკვირვება გამოთქვა ბუხაიძის შეცვლილ ჩვენებასთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, ბუხაიძე გამოძიების პროცესში უარყოფდა ოლეგ მელნიკოვის ოქროყანის სასაფლაოზე ყოფნას და ვერ ამოიცნო ის.

**"მას უფლება ჰქონდა, მიეცა ჩვენება. ჩვენ მიერ გარანტირებული იყო მისი უსაფრთხოების დაცვა, თუმცა ის უარყოფდა მელნიკოვის მონაწილეობას და აცხადებდა, რომ მისი ჩვენება სიმართლეს შეესაბამება",** - განაცხადა ლვინიაშვილმა.






# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# მძიმე შეხვედრა ქართველებსა და აფხაზებს შორის

*24-27 ივნისს სტამბოლში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა თემაზე: "საქართველოსა და აფხაზეთის პერსპექტივები შავი ზღვის ინტეგრაციის კონტექსტში", ხოლო უკვე 29 ივნისს თბილისში, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ოფისში, ჩატარდა შეხვედრა სტამბოლის სემინარის ქართველ მონაწილეებთან. შეხვედრას უძღვებოდა სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის დირექტორი, ბატონი ვალტერ კაუფმანი.*

ლელა მარგიანი

**ვალტერ კაუფმანი:** "ორიოდე დღის წინათ სტამბოლში ჩატარებული საერთაშორისო შეხვედრა ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში გაიმართა ქართულ-აფხაზური ორმხრივი შეხვედრა, ხოლო მეორე ნაწილის განმავლობაში დიალოგში აქტიურად მონაწილეობდნენ ევროკავშირის, თურქეთისა და რუსეთის წარმომადგენლები. განსაკუთრებით საყურადღებო იყო სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლის ყოფნა სემინარზე.

სტამბოლის კონფერენცია ჩატარდა პოლა გარბის (კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართულ-აფხაზური შეხვედრების ორგანიზატორი) ცნობილი შეხვედრების ფარგლებში. ქართულმა საზოგადოებამ იცის, რომ ეს შეხვედრები ტარდება 1997 წლიდან კალიფორნიის უნივერსიტეტის "სამოქალაქო ინიციატივების ცენტრის" მიერ. ეს შეხვედრები ძალიან საჭიროა და გამჭვირვალე. თანაც, განსხვავებით შლაინინგის შეხვედრებისაგან, სადაც გულახდილი, კრეატიული საუბრები მიმდინარეობს "ჩაკეტილ კარებში", და შემდეგ პრესაში მათ შესახებ მხოლოდ ზოგადი სახის, მცირე ინფორმაცია ვრცელდება.

პოლა გარბის მიერ ორგანიზებული შეხვედრების შემდეგ კი პირიქით ხდება. ყოველთვის ქვეყნდება წიგნები მათ შესახებ. შეხვედრებს ეძღვნება წიგნების სერია - "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ".

ჩვენმა ფონდმა ერთი კვირის წინ გამოსცა სერიების მე-12 ტომი, რომელშიც დაბეჭდილია მოსკოვში ჩატარებული შარშანდელი შეხვედრის ანგარიში. ამ შეხვედრაზე საუბარი იყო რუსული ფაქტორის შესახებ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. მოსკოვის შეხვედრა ბიოლის ფონდისთვის იყო მეორე, ხოლო სტამბოლში შეხვედრა - მესამე. ჩვენ შევუერთდით ამ პროცესს სწორედ იმ მიზეზით, რომ გაგვეფართოებინა მონაწილეთა ფორმატი. სწორედ ჩვენ დავამატეთ შეხვედრებში რუსული მხარე. ამჯერად კი უფრო გავაფართოვეთ ფორმატი შავი ზღვის აუზის მიმართულებით.

დღევანდელი ჩვენი შეხვედრა მიზნად სწორედ საჯაროობას ისახავს და ამ შეხვედრის მოწყობაზე ჯერ კიდევ სტამბოლში შევთანხმდით. ეს შეხვედრები გაიმართება როგორც თბილისში, ასევე სოხუმში, სადაც პოლა მსგავსი შეხვედრის ჩასატარებლად უახლოეს დღეებში მიემგზავრება.

ჩემი აზრით, სტამბოლის სემინარი ძალიან ინტენსიური და საინტერესო იყო. ჩვენ ოთხი დღის მანძილზე ვმუშაობდით. თავდაპირველად, ორმხრივ ფორუმში მონაწილეობდა 18, შემდეგ საერთაშორისო ფორუმში - 32. შეხვედრის ყველა მონაწილისთვის საუბრის თემები და შეხვედრის დროს გამოთქმული მოსაზრებები მნიშვნელოვანი იყო. კონფერენციის დარბაზი არავის არ მიუტოვებია. სემინარის დროს გაიმართა აქტიური კამათი. ეს არ იყო ადვილი შეხვედრა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ექსპერტები შემოგვიერთდნენ. ამაზე თავად ორგანიზატორი პოლა გარბი გვიამბობს".

**პოლა გარბი:** "მოკლედ ვეტყვი ყველა მონაწილეს მადლობას, რადგან ისინი, ჩვეულებისამებრ, ძალიან სერიოზულად მიუდგნენ სამუშაოს. მნიშვნელოვანი იყო, რომ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით მოხერხდა საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა შეხვედრაში. მათ საინტერესო ინფორმაციები მოგვაწოდეს.

საუბრები ორივე მხრიდან იყო გულახდილი. მე ვიცი, რომ ხანდახან ეს "გულახდილობა" უფრო მტკივნეულია ორივე მხარისათვის, მაგრამ ამავე დროს ნათელი იყო, რომ ამ ემოციური გამოსვლების მიუხედავად, მაინც ჩანდა დიალოგის, ურთიერთობის გაგრძელების სურვილი.

ამაში ხელს გვიწყობდა ფეხბურთის მატჩებიც. მას, ვინც ჩვენს შეხვედრებში ადრეც მონაწილეობდა, კარგად მოეხსენება, რომ ამ შეხვედრებზე ძალიან მნიშვნელოვანია "არაფორმალური ნაწილი" - საღამოს ურთიერთობები, საფეხბურთო ემოციები (კარგად მახსოვს, არცთუ სასიამოვნო საუბრების შემდეგ როგორ წავიდნენ შეხვედრის მონაწილეები ერთად ფეხბურთის საყურებლად და ყველანი, ქართველები, აფხაზები, რუსები ერთად უყურებდნენ ფეხბურთს, თუმცა სხვადასხვა გუნდებს გულშემატკივრობდნენ). ამაზე მეტს ამჯერად არაფერს ვიტყვი".

ქალბატონი პოლას შემდეგ სტამბოლის შეხვედრის შესახებ საკუთარი მოსაზრებები და "ცხელ-ცხელი შთაბეჭდილებები" გაგვიზიარეს სემინარის მონაწილეებმა.

**თინა ხიდაშელი:** "როგორც პოლამ აღნიშნა, "მრგვალი მაგიდის" გარშემო ატმოსფერო არცთუ მეგობრული იყო, ხოლო "მრგვალი მაგიდის" მიღმა ურთიერთობები და საუბრები იყო ნორმალური. მე ამას ასე ავხსნიდი: 1997 წლიდან ბევრ შეხვედრაში მიმიღია მონაწილეობა და როგორც იქ, სტამბოლში აღვნიშნე და ახლაც ვიმეორებ, ამ შეხვედრაზე რაღაც სულ სხვაგვარი განწყობა მქონდა. აქ "რაღაც" სხვაგვარად იყო. მე მგონი, ეს იყო რუსი ექსპერტების მონაწილეობის გამო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის "მრგვალი მაგიდის" გარშემო გამართული დიალოგი არ იყო ისეთი გულახდილი, როგორც წინა შეხვედრის დროს. ეს იყო ჩემთვის ყველაზე მეტად გულსატკენი მომენტი. იგრძნობოდა, რომ აფხაზები, და ზოგჯერ ქართველებიც, უფრო მეტად "თავდაცვით" პოზიციაზე იდგნენ, თითქოს ვიღაცისთვის რაღაცის დამტკიცებას ცდილობდნენ, იმის მაგივრად, რომ შეხვედრაზე დასმული საკითხები რეალურად განგვეხილა.

აფხაზების მხრიდან ყოველი საუბარი თავდებოდა მხოლოდ ერთი მოთხოვნით, რომ ჩვენ გვეცნო მათი დამოუკიდებლობა. ჩვენ კი მათ მხოლოდ იმას ვუმტკიცებდით, რომ არც ერთი პოლიტიკური ძალა საქართველოში ამას არასდროს აღიარებს. ამიტომ, თუ მხოლოდ ამ საკითხზე ვისაუბრებთ, მაშინ ჩვენ შორის სალაპარაკოც არაფერია.

წინა შეხვედრებზე ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ მათი მთავარი მოთხოვნა დამოუკიდებლობაა; მათ კი იცოდნენ, რომ ჩვენ ამას არასდროს ვაღიარებთ, და ეს იყო ფაქტი ორივე მხრისათვის. ამიტომ, ჩვენ ამ საკითხებზე არ ვსაუბრობდით. ვიწყებდით სხვა საკითხების განხილვას და ეს განხილვა უფრო პროდუქტიული იყო, რადგან ყოველთვის უფრო კონკრეტულ საკითხებზე ვსაუბრობდით.

კარგად მახსოვს, ერთ-ერთ შეხვედრაზე ენგურჰესზე იყო საუბარი - თუ როგორ შეუძლია ამ პროექტს, ხელი შეუწყოს ქართულ-აფხაზურ დიალოგს. ასეთი რამ ამ შეხვედრაზე არ მომხდარა. ყველაზე პესიმისტური ჩემთვის ის იყო, რომ მე კვლავ მოვისმინე მათი მხრიდან სიტყვა "სიძულვილი", რომელიც უკანასკნელად მათგან 1997 წელს გავიგონე. ამის შემდეგ პირადად მე სხვა არც ერთ შეხვედრაზე სიტყვა "სიძულვილი" აღარ გამიგონია. და ცხრა წლის შემდეგ პირველად ამ შეხვედრაზე კვლავ გაიჟღერა აფხაზური მხრიდან ამ სიტყვამ, "რომ ქართულ საზოგადოებაში არის დიდი სიძულვილი მათ მიმართ", ისევე, როგორც აფხაზეთში ქართველების მიმართ. ჩვენ ვუმტკიცებდით მათ, რომ ეს ასე არაა.

შეხვედრის ყველა მონაწილე აღიარებდა, რომ მსგავსი შეხვედრები მაინც საჭიროა. იმიტომ, რომ თუნდაც ადამიანურ დონეზე არ უნდა შევწყვიტოთ ურთიერთობა. ამ შეხვედრების "წყალობით" მე არ ვკარგავ რეალობის შეგრძნებას. ეს შეხვედრები მაძლევს შანსს, რომ ვიცხოვრო რეალობაში და არა ილუზიებში; როგორც ეს მოხდა 2004 წელს, როცა "გვიმტკიცებდნენ", რომ ცხინვალში ქართულ დროშებს კერავენ და ისე გველიან... და ჩვენც წავედი.

ამავე დროს, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ ადრეა, "ყველას" გავუღოთ ორმხრივი შეხვედრების კარები. ამ შეხვედრაზე ყველანი - ჩვენ, აფხაზები, რუსები, ევროკავშირის წარმომადგენლები - ყველანი ვსაუბრობდით ყველა საკითხზე და კონტექსტები იყო უფრო ზოგად-პოლიტიკური, ვიდრე კონკრეტული. უნდა იყოს კონკრეტული შეხვედრები მიმართულებების მიხედვით, მაგალითად, მასწავლებელთა, ეკონომისტების, გარემოს დაცვის სპეციალისტების და ა.შ. შეხვედრები. მსგავსი შეხვედრები უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანი იქნება და მეტად წაადგება ნდობის აღდგენას. ამ შეხვედრების მონაწილეები, შეიძლება, გახდნენ თავისებური ელჩები თავიანთ საზოგადოებებში, მათ შეუძლიათ მეგობრული ტონალობის გადატანა საკუთარი საზოგადოებებში და ეს ჩვენი შეხვედრების ყველაზე დიდი მიღწევა იქნებოდა. ისინი გაუწევდნენ ლობირებას ჩვენს შორის ჯერ კიდევ არსებულ სულიერ კავშირებს".



შეხვედრა ბიოლის ფონდში: პოლა გარბი, ვალტერ კაუფმანი, თინა ხიდაშელი და პაატა ზაქარეიშვილი.

**პაატა დავითაია:** "ეს შეხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან 2002 წლის შემდეგ მე პირველად მომეცა შესაძლებლობა, აფხაზებს პირისპირ შევხვედროდი. მე ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ აფხაზური მხარე კონსტრუქციულ რაკურსში ქართველებთან სასაუბროდ ჯერ მზად არ არის.

ამიტომ პირველივე დღეს ვთქვი რამდენიმე წინადადება და შემდეგ მთელი შეხვედრის მანძილზე ხმა აღარ ამომიღია. ეს იმიტომ მოხდა, რომ ყველამ იცის ჩემი პოზიცია სეპარატიზმისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ აფხაზეთში. ჩემი მხრიდან ამ ჟესტის გაკეთება ძალიან ძნელი იყო. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, ჩვენ ვაფასებთ აფხაზების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ მათაც უნდა სცენ პატივი ჩვენს სწრაფვას - აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ამიტომ შევთავაზე აფხაზებს, მოდით, პოლიტიკური საკითხები გვერდზე გადავდოთ და ვეძებოთ შეხების წერტილები, რომ არ იყოს ომი. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, რომლებმაც დაანახეს მათ, რომ მომავალი დიალოგის, ინტეგრაციის გარეშე საუბარი არაფერზე არ შეიძლება.

მიმაჩნია, ასეთი შეხვედრები აუცილებელია, რათა აფხაზურმა მხარემ დაინახოს, არავითარ მათ დამოუკიდებლობაზე არ შეიძლება იყოს საუბარი.

ვფიქრობ, ჩვენმა სახელმწიფომ გარკვეული დროით უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი აფხაზებთან მოლაპარაკებებში. ისინი თავად უნდა მიხვდნენ, რომ საჭიროა მოლაპარაკება გარკვეულ საკითხებში.

ამავე დროს, მიმაჩნია, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, ყველა პოლიტიკური ძალა უნდა საუბრობდეს აფხაზეთში ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე და მხოლოდ ამ ფონზე უნდა წარიმართოს მოლაპარაკებები. დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ საზოგადოებას არა აქვს სიძულვილის გრძნობა აფხაზების მიმართ. მეც კი, ვისაც იმ ომში ოჯახის წევრები დამეღუპა, არ მძულს აფხაზები.

დიდი მადლობა ბიოლის ფონდს, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ასეთ შეხვედრებს, რათა მოლაპარაკებებში არსებული სიცარიელე შეივსოს".

**დავით დარჩიაშვილი:** "მოკლედ გეტყვით საკუთარ შთაბეჭდილებებს. შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. საინტერესო იყო იმის მოსმენა, თუ რას ფიქრობდნენ მისი მონაწილეები შავიზღვისპირეთის პერსპექტივებზე, რას ფიქრობდა თურქეთის მხარე და სხვა გამომსვლელები.

განსაკუთრებით საინტერესოა ბატონ სემნების (პიტერ სემნები, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში) პოზიცია. ჩემი აზრით, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ევროპელი დიპლომატი თავის აზრს ასე გულახდილად გამოთქვამს და ვფიქრობ, ამ ადამიანთან სერიოზული მუშაობა ქართველი პოლიტიკოსებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგი არის ევროკავშირის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და ძალიან განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან, რომელიც თავისი სამუშაოთი საერთოდ არ ინტერესდებოდა.

ამ შეხვედრის უარყოფითი მხარე ის არის, რომ შეხვედრის ცალკეული ნაწილების ერთ მთლიანობაში მოყვანა არ მოხერხდა. შავიზღვისპირეთის კოოპერაციის პერსპექტივები ქართულ-აფხაზური დიალოგის მიღმა დარჩა. სამწუხაროდ, დიალოგი არ შედგა. ამავე დროს, ვფიქრობ, რომ საჭიროა სწორედ პოლიტიკურ დონეზე დიალოგის ინტენსივობის მომატება, ხოლო ასეთი კონფერენციების დროს კარგად უნდა დავფიქრდეთ, ავიღოთ "ტაიმ-აუტი" და ვკითხოთ აფხაზურ მხარეს, თუ რაზე სურთ მათ საუბარი და ღირს თუ არა საერთოდ საუბარი, ვინაიდან ისე, როგორც ზოგიერი მათგანი საუბრობდა იქ, ხოლო სხვები მათ მდუმარედ ეთანხმებოდნენ - ასეთ რაკურსში საუბარს აზრი საერთოდ არა აქვს.

იმიტომ, რომ როდესაც მათ შალვამ (შალვა ფიჩხაძე, არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველო ნატოში" ხელმძღვანელი) ჰკითხა, რად გინდათ თავისუფლებაო, მათ ეს შეკითხვა შეურაცხყოფად მიიღეს. ამიტომ ეს არაა ნორმალური დიალოგი. ამავე დროს, ჩვენ თანახმა ვართ, გვქონდეს მათთან დიალოგი, რადგან ადამიანური ურთიერთობების გარეშე მსგავსი პრობლემები არ გვარდება. მაგრამ მე არ დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ იცოდნენ, თუ რაზე სურთ ჩვენთან საუბარი. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ისინი "ჩვენს მიღმა" - არა ჩვენთვის, საუბრობდნენ. უბრალოდ, მათ უნდოდათ, საკუთარი აზრები მიეტანათ ევროპელებამდე. მაგრამ, ამავე დროს, ეს რომ მათი პირველი შეხვედრა ყოფილიყო ევროპელებთან, მათი ასეთი პოზიცია სრულიად გასაგები იქნებოდა. მაგრამ ეს ხომ ასე არაა. ამიტომ, ვფიქრობ, მართლაც საჭიროა "ტაიმ-აუტის" აღება, რომ "ჩვენც" და "ისინიც" დავფიქრდეთ.

მე პატივს ვცემ ადამიანურ ფაქტორს - ფეხბურთის ერთად ყურებას, მაგრამ მსგავსი კონფლიქტები ასე არ გადაიჭრება".

**შალვა ფიჩხაძე:** "მრავალი წლის მანძილზე აფხაზებს ვხვდები როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ დონეზე. მათთან შეხვედრების მეოთხე-მეხუთე წელს უკვე ნათლად გამოიკვეთა ჩემთვის იმ საკითხების წრე, რომელზე საუბარიც მათთან ადვილად შემეძლო.

ამ შეხვედრაზე კი, სამწუხაროდ, ეს წრე "დავიწროვდა" და თან, მნიშვნელოვნად, რადგან ძალიან ცოტა საკითხი იყო, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობდით. შეხვედრებზე მუდამ იგრძნობოდა შინაგანი დაძაბულობა როგორც ქართველ, ასევე აფხაზ მონაწილეებში. ეს დაძაბულობა იყო იმის გამო, რომ ერთმანეთისთვის "რამე" ზედმეტი არ ეთქვათ. ამიტომ ამ შეხვედრაზე გულახდილობა ნაკლებად იყო.

ამავე დროს, შიში, რომელიც მუდამ თან სდევთ აფხაზებს, აქაც იგრძნობოდა. მათ არ ასვენებთ კითხვები: "რატომ უნდათ ჩვენთან საუბარი შავიზღვისპირეთთან ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტში?" - "იმიტომ, რომ საქართველოს ჩვენი განადგურება უნდა"; "რატომ ჩამოვიდა აქ ევროკავშირის წარმომადგენელი და საუბარი მიდის მომავალში რეგიონის ევროკავშირში ინტეგრაციაზე?" - "იმიტომ, რომ საქართველოს ჩვენი განადგურება უნდა"; " რატომ წავიდა პრეზიდენტი სააკაშვილი პუტინთან შეხვედრაზე?" - "იმიტომ, რომ საქართველოს ჩვენი განადგურება უნდა"; ანუ საქართველოს ყოველი ქმედება აღიქმება დიდი შიშით. ჩვენ განუწყვეტლივ უნდა "ვუმტკიცოთ" მათ, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია, "გაჩერდეს", არ განვითარდეს და არაფერი აკეთოს მხოლოდ ერთი მიზეზით - ჩვენს აფხაზ კოლეგებს მიაჩნიათ, რომ "საქართველოს მათი განადგურება უნდა".

ეტყობა, ეს მათ მუდამ უნდა ავუხსნათ, თუ დაახლოება გვინდა. ხოლო თუ ისინი კვლავ გააგრძელებენ უნდობლობას და ჩვენს შორის მუდამ იქნება შიშის გრძნობა, ასეთ ურთიერთობაზე "ნდობის ხიდის" აღდგენა, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება".

**პაატა ზაქარეიშვილი**: "მე აქ ჩამოთვლილ ყველა თვალსაზრისს, პრაქტიკულად, ვეთანხმები. მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი მხარის - ქართველების თვალსაზრისს გამოვხატავთ. მე მაინტერესებს, საიდან გვაქვს ჩვენ ეს მოლოდინები აფხაზების მიმართ, რატომ ველით მათგან იმას, რასაც ველით, საიდან გვაქვს იმის მოლოდინი, რომ აფხაზები სწორედ ისე მოიქცევიან, როგორც გვინდა და, თუ ეს ასე არ მოხდება, მაშინ "მივუხუროთ" კარები და "ტაიმ-აუტი" ავიღოთ მანამდე, სანამ ისინი სხვაგვარად არ მოიქცევიან.

იქნებ, ამავე დროს, დავსვათ კითხვა: როგორ ვიქცევით ჩვენ? რა გააკეთა საქართველომ იმისთვის, რომ აფხაზები სხვაგვარად მოიქცნენ?

სამი-ოთხი თვის წინათ მქონდა გაზეთში პუბლიკაცია თემაზე: "ფრთხილად, კარები იხურება!" უკვე მაშინ იგრძნობოდა, რომ აფხაზები უკან მიდიან. იყო მომენტი, როდესაც მათ წინ გადმოდგეს ნაბიჯები, "გააღეს კარები", ფაქტი იყო, რომ აფხაზები რაღაცას ელოდნენ საქართველოსგან და საქართველო ამ მხრივ არაფერს აკეთებს.

მე ვარ ერთ-ერთი ქართველი, ვისაც ყოველთვის მაქვს ურთიერთობა აფხაზებთან და მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის ეს შეხვედრა იყო ყველაზე მძიმე, არაკონსტრუქციული, მაგრამ, ამავე დროს, ჩემთვის ეს ბუნებრივი მოვლენა იყო. მე დიდი ხანია ველოდები აფხაზებისგან ამგვარ ქცევას, როდესაც აფხაზები იტყვიან: "თქვენთან საუბარი შეუძლებელია". დღეს ჩვენ აქ ვამბობთ, რომ აფხაზებთან დიალოგი შეუძლებელია. ჩემი აზრით, თუკი მსგავსი შეხვედრა აფხაზეთში მოეწყობა, ჩვენს შესახებ აფხაზები იმავეს იტყვიან. თუ ჩვენ ჩვენში არ გავერკვევით, ძალიან ძნელი იქნება, მათ მოვთხოვოთ რამე.

უკვე რამდენი ხანია, ქართული ოფიციალური პირები აფხაზებთან კონტაქტზე არ მიდიან. ეს მრავალჯერ იყო. არც სტამბოლის შეხვედრას დასწრებია ოფიციალური ქართული მხრიდან ვინმე. ისინი მიდიან ნიუ-იორკში, ბრიუსელში და სხვაგან - ყველგან, მაგრამ არა აფხაზებთან პირდაპირ შეხვედრაზე.

ყველაზე მთავარი მიზეზი კი იმისა, თუ რატომ იქცევიან ასე აფხაზები, სწორედ ჩვენდამი იმედგაცრუებაა. ისინი "რაღაცას" ელოდნენ ჩვენგან შევარდნაძის შემდეგ. ჩვენც ველოდით - ქართულ საზოგადოებასაც ჰქონდა ასეთი მოლოდინი, მაგრამ რადიკალური ცვლილებები არ განხორციელდა. ჩვენ ეს მომენტი უნდა გავითვალისწინოთ.

ამ შეხვედრაზე იყო ერთი შემთხვევა, როდესაც აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები. მე მომეჩვენა, რომ აფხაზებს გაუჩნდათ შანსი უცხოელებისთვის საკუთარი პოზიციის დამტკიცებისა (თუმცა ამაში მათ გადააჭარბეს). ისინი საერთაშორისო ექსპერტებთან მხოლოდ დამოუკიდებლობაზე საუბრობდნენ, სხვა არაფერზე.

მნიშვნელოვანია კოსოვოს ფაქტორიც: რუსეთმა ძალიან მოხერხებულად მოახვია თავს აფხაზეთს მითი კოსოვოს შესახებ. ამ მითმა შეიძლება იარსებოს ორი-სამი წელი, მეტი ვერა.

თუ გავიხსენებთ, 1997 წელს იყო "მძიმე" შეხვედრები, მერე თანდათან ნდობის აღდგენა დაიწყო. ახლა ისინი, ასე ვთქვათ, გადადიან სხვა ფორმატში: "ქართულ-აფხაზურ-რუსული" შეხვედრებიდან გადავდივართ "ქართულ-აფხაზურ-საერთაშორისო" ფორმატზე.

ამიტომ, რაც უფრო ხშირად შევხვდებით მათ, მით უფრო კარგი იქნება. ასეთი შეხვედრები სჯობს, ვიდრე საერთოდ არ შევხვდეთ ერთმანეთს. ჩვენ არ უნდა მივცეთ საშუალება აფხაზებს, დაგვივიწყონ. ამიტომ საჭიროა ხშირი შეხვედრები".

თვალსაზრისი

# ყალბი შეხედულებები და აფხაზეთის კონფლიქტი

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცნობილი გახდა ფაქტი, რომ საქართველოში 50 000-ზე მეტი ადამიანი სუკ-თან თანამშრომლობდა. სამწუხაროდ, საზოგადოებაში დღემდე არ გამხდარა სერიოზული განსჯის საგანი ის, თუ რას აკეთებდა ეს ხალხი და რა იყო მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულება.*

კოტე გვასალია
მიუნხენიდან

ცხადია, სუკ-ის თანამშრომელთა საქმიაობა სსრკ-ს არსებობის პირველ ნახევარში მოქმედი მათივე კოლეგებისაგან ძირეულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, იმ რესპუბლიკაში, სადაც 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შემდეგ კომუნისტებს ცოტა გულშემატკივარი თუ დარჩათ, ხოლო 70-80 იანი წლებიდან კერძო საუბრებში საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის ქება სასაცილოდ ჟღერდა. მეტიც, ამ დროიდან ბევრ ქართულ ოჯახში იშვიათად სრულდებოდა სუფრა ისე, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მომავლის სადღეგრძელო არ შესმულიყო. ამიტომ, მას მერე, რაც სახელმწიფოთი და სისტემით უკმაყოფილოთა გამოვლენამ საქართველოში აზრი დაკარგა, ხოლო ერთი მუჭა დისიდენტების გაკონტროლება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, სუკ-ისა და მისი აგენტურის მთავარ ამოცანად ჩვენში ყალბი შეხედულებების დამკვიდრება იქცა. მათი გეგმით საქართველო უნდა დამსგავსებოდა უზარმაზარ სიცილის ოთახს, სადაც სარკეებიდან ნებისმიერი რეალობა დამახინჯებული სახით წარმოჩნდებოდა.

ათეულ ათასობით ჯაშუშის გამოყენება, ძირითადად, საჭირო იყო სწორედ მცდარი პოზიციის დასამკვიდრებლად. თუ როგორ ფუნქციონირებდა მექანიზმი, ნათლად ჩანს აფხაზეთის მაგალითზე. როგორც კი საუბარი აფხაზეთზე ჩამოვარდებოდა, კრემლის პოლიტიკის გამტარებელს მგზნებარე ხმით უნდა ეთქვა უამრავი ჩვენგანისათვის ასე ნაცნობი ტექსტი: "აფხაზეთის პრობლემა იქნება მანამ, სანამ საბჭოთა კავშირი იარსებებს. როცა რუსები საქართველოდან წაეთრევიან, აფხაზებიც ჭკუაზე მოვლენ. თუ არა და, ისე გავასახლებთ, როგორც ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიის მთებიდან".

მახე ძალზე მარტივად იყო დაგებული. თითქოს, ის, ვინც საბჭოთა კავშირის დანგრევაზე საუბრობდა, ოფიციოზის აზრის გამომხატველი არ უნდა ყოფილიყო. თანაც, "წვრილფეხობასთან" ერთად სუკ-ის მიერ ისეთ გამოჩენილ მოღვაწეთა გადაბირებაც ხდებოდა, რომელთა აზრსაც საზოგადოება პატივს სცემდა. ასე ხდებოდა ნელ-ნელა ქართველის დარწმუნება, რომ ნამდვილი აფხაზი ქართველია, რომ ის, ვინც აფხაზობს და თავს ქართველად არ მიიჩნევს, არ შეიძლება, აფხაზეთის კანონიერ მკვიდრად ჩაითვალოს; რომ აფხაზეთი მათი სამშობლო არ არის... და რომ ყველაზე კარგი გამოსავალი ცხოვრების დინების პასიურად მიყოლაა იმ დღის მოლოდინში, როცა რუსი გუდა-ნაბადს აიკრავს და კავკასიას დატოვებსო.

მართალია, ეს ვერაგული აზრი ყველა ქართველისთვის არ იყო მისაღები, მაგრამ მათი რიცხვი, ვინც ეს იდეა აიტაცა, საკმარისი აღმოჩნდა, რომ 80 000 ადამიანს გაჩენოდა დიდი შიში 4 მილიონამდე ქართველის პირისპირ დარჩენისა და სიძულვილი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მიმართ.

აფხაზეთის წართმევის გეგმა იოლი განსახორციელებელი არ იყო.

თუმცა თანამედროვე რეალობაში ისტორიულ სამართლიანობას მეორეხარისხოვანი როლი აკისრია და იგი დიდი მანიპულაციების საშუალებას იძლევა, ვერანაირი ლოგიკით ვერ მოხერხდება იმის დასაბუთება, რომ აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს ნაწილი არ იყო. იმის მიუხედავად, რამდენი ანტიისტორიული ნაშრომიც არ უნდა ექვეყნებინათ რუსებს და აფხაზებს.

თუ 20-ე საუკუნეს განვიხილავთ, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ცნო ერთა ლიგამ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდშიც იგი ავტონომიის სტატუსით საქართველოს სსრ-ს ნაწილი იყო, ხოლო იმპერიის დაშლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა არსებულ საზღვრებში ცნო, შესაბამისად, გაერომაც.

თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებიდან გამომდინარე, ავტონომიური ერთეულის მოსახლეობის 17 პროცენტისთვის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად არც სამართლებრივი მექანიზმი არსებობდა. ერთადერთი გზა ამ ავანტიურის განსახორციელებლად იყო ომი. მხოლოდ ეთნიკური წმენდის შემდეგ შეეძლოთ აფხაზებს ოფიციალურად დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ომისთვის ნიადაგი მრავალმხრივ იქნა მომზადებული. ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის, როგორ აღვივებდნენ აფხაზებში ჩვენს მიმართ სიძულვილს. რაც მთავარია, მოხდა ორივე მხარის დარწმუნება, რომ ურუსეთოდ ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაარსებობა გამორიცხულია. კერძოდ, ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ აფხაზი უსათუოდ საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აფხაზები კი დაარწმუნეს იმაში, რომ დამოუკიდებელ საქართველოში მათ დეპორტაცია ელოდათ. ახლა აუცილებელი იყო მსოფლიოს დასანახად ომის წამომწყებისა და აგრესორის როლში ქართველების გამოყვანა. მე აღარ ჩავუღრმავდები არც ომის წინა პერიოდის ფაქტებს, არც არძინბას გახმაურებულ ფრაზას - "თუ ქართველები არ გვესვრიან, ჩვენ ვაიძულებთ ამას". მინდა, მხოლოდ ომის დასაწყისში აფხაზეთის ტელევიზიით ჩვენი სარდლობის განცხადებაზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თუ აფხაზები გონს არ მოეგებოდნენ, ქართველები მსხვერპლად გავიღებდით 100 000 კაცს და, სამაგიეროდ, აფხაზს არ დავტოვებდით ბუნებაში. ეს მიმართვა იყო მრავალწლიანი დაპირისპირების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრული. ამის შემდეგ რიგით აფხაზს აღარ ეპარებოდა ეჭვი, რომ საქმე მის ყოფნა-არყოფნას ეხებოდა, ხოლო მაშინდელ აფხაზურ პოლიტიკურ ელიტას - იმაში, რომ ყველაფერი მართლაც მათი რუსი პარტნიორების მიერ გაანგარიშებული გეგმით მიმდინარეობდა.

მრავალჯერ აღინიშნა, რომ აფხაზეთის ომის დროს ქართველებში ერთიანობა არ იყო, რაც გამარჯვებას შეუძლებელს ხდიდა. განა ახლა რეალურია აფხაზეთის დაბრუნება, თუკი აფხაზებთან დამოკიდებულებაში საერთო პოზიციას არ შევიმუშავებთ? შეიძლება, საზოგადოების ერთი ნაწილი უმტკიცებდეს აფხაზებს, რომ ქართული სახელმწიფო როგორც აფხაზური ენისა და კულტურის, ისე მთელი მათი ეთნოსის დაცვის გარანტი იქნება, მეორე ნაწილს კი აბსოლუტურად საპირისპირო პოზიცია გააჩნდეს?! არადა, თუნდაც ინტერნეტით მრავალ სადისკუსიო ფორუმზე შეხვდებით აფხაზთან მოკამათე ქართველს, რომლის რადიკალიზმი სრულიად ნეიტრალურ ადამიანსაც კი საქართველოს საწინააღმდეგოდ განაწყობს.

მე აფხაზეთის დაბრუნების საკითხს ოპტიმისტურად ვუყურებ, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, მისი განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მთელმა ერმა გააცნობიეროს, თუ რა გზებით მოახერხა რუსეთმა, რომ თავად ქართველებმა, ზოგმა ნებით და ზოგმა უნებლიეთ, მტრის წისქვილზე ვასხით წყალი.

**P. S. ლატვიის დამოუკიდებლობის პირველ წლებში რიგაში მომიწია ცხოვრება და შესაძლებლობა მომეცა, ამ მღელვარე პერიოდის უშუალო მომსწრე გავმხდარიყავი. გავიცანი სრულიად სხვადასხვა სოციალური ფენის და პროფესიის ადამიანი. მთელ მოსახლეობაში (ეთნიკურ ლატვიელებში) ქვეყნისათვის გადამწყვეტ არც ერთ საკვანძო საკითხში არ არსებობდა განსხვავებული აზრი, ე.წ. აზრთა პლურალიზმი. იქ ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ სრული ერთსულოვნება სუფევდა.**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

**ქალაქ თბილისის მერი**

ბრძანება № 38
4 ივლისი 2006 წ.

**ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-3 მუხლის "პ" ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის "ნ" ქვეპუნქტის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქალაქ თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 18 იანვრის N3 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გიორგი უგულავა**

**დამტკიცებულია**
**ქალაქ თბილისის მერის**
**2006 წლის ---- --------------**
**N --- ბრძანებით**

**ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის**

**დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ქალაქ თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური (შემდგომში სამსახური) არის ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურაში შემავალი ერთეული, რომელიც შექმნილია "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების საფუძველზე.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოთა (თანამდებობის პირთა) სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.
3. სამსახურს აქვს შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში ქალაქ თბილისის ხაზინაში, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისთვის ნებადართული სხვა ოფიციალური ატრიბუტიკა.
4. სამსახურის დაფინანსების წყაროა ქალაქ თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტი.
5. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ.N28.

**მუხლი 2. სამსახურის ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენცია**

1. სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმარება და რეალიზაცია;

ბ) საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე ოპერატიული ხელმძღვანელობა;

გ) ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელება იმ ორგანიზაცია - დაწესებულებებში, რომლებიც წარმოადგენენ ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებს;

დ) ხანძრების აღკვეთისა და მათი ჩაქრობის ხარისხის ამაღლების მიზნით მომხდარი ხანძრების ანალიზის საფუძველზე ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება;

ე) ხანძრების პროფილაქტიკის ორგანიზება და განხორციელება, მათი ჩაქრობა და დაკისრებული საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება;

ვ) დაქვემდებარებულ დანაყოფებში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებისა და განხორციელების წესის შესრულების, ტაქტიკური და პროფესიული მომზადების ხარისხის კონტროლი;

ზ) სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ორგანიზება ავარიებით, კატასტროფებითა და სტიქიური უბედურებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და შედეგების ლიკვიდაციის მიზნით;

თ) სამაშველო ღონისძიებების განხორციელება ადამიანების სიცოცხლის დაცვის მიზნით მდინარეებზე, ტბებზე, წყალსაცავებზე;

ი) წყალქვეშა ტექნიკური და სხვა საძიებო (სამყვინთაო) სამუშაოების ჩატარება;

კ) უწყებების, წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, აგრეთვე მოსახლეობის ინფორმირება საგანგებო სიტუაციებში ქცევისა და მოქმედების აუცილებელი წესების თაობაზე;

ლ) საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება და ამ მიზნით აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სათანადო ძალებითაAდა საშუალებებით უზრუნველყოფა;

2. სამსახურს, თავისი ამოცანებისა და ფუნქციების შეუფერხებლად რეალიზაციის მიზნით, უფლება აქვს:

ა) წარადგინოს წინადადებები აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებში სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე;

ბ) განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულების კონტროლი;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლისა და დარღვევების აღკვეთის მიზნით, განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების სახანძრო-ტექნიკური გამოკვლევა და შემოწმება;

დ) მონაწილეობა მიიღოს მშენებლობა დამთავრებული (რეკონსტრუირებული) ობიექტების მიმღები კომისიის მუშაობაში;

ე) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან დასაბუთებული გადახვევის ან ასეთი მოთხოვნების არ არსებობის შემთხვევაში განიხილოს და შეათანხმოს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტის მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, რეკონსტრუქციის, გაფართოვების, ტექნიკური გადაიარაღებისა და ქალაქთმშენებლობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

ვ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან დასაბუთებული გადახვევის ან ასეთი მოთხოვნების არ არსებობის შემთხვევაში განიხილოს და შეითანხმოს მშენებლობისა და ტექნიკური გადაიარაღების საპროექტო დოკუმენტაცია;

ზ) გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობები ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად;

თ) მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტის ექსპლუატაცია, თუ გამოავლენს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებს ან მათ შეუსრულებლობას, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ანდა ემუქრება ადამიანთა უსაფრთხოებას;

ი) კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის;

კ) ნებისმიერი ორგანოსა და პირისაგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია, განმარტებები და ცნობები იმ საქმეებთან და მასალებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება საგანგებო სიტუაციებსა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხებს;

ლ) დედაქალაქის ბიუჯეტის შედგენისას, შეიმუშაოს სამსახურისა და დაქვემდებარებული დანაყოფების ხარჯთა ნუსხა და წარდგინოს ქალაქის მთავრობაში;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებს სამოქალაქო თავდაცვის საკითხებში;

ნ) კოორდინაცია გაუწიოს საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს, განახორციელოს მათზე ზედამხედველობა, განსაზღვროს საჭირო ძალები და საშუალებები;

ო) მონაწილეობა მიიღოს საგანგებო სიტუაციების შედეგად წარმოქმნილი მატერიალური ზარალის განსაზღვრაში, ქალაქ თბილისის მასშტაბით;

პ) შეიმუშავოს და ქალაქ თბილისის მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს სამსახურის ემბლემა, მოსამსახურეთა პირადობის დამადასტურბელი მოწმობების ნიმუშები და საერთო სტანდარტის სამუშაო ფორმის (უნიფორმა) ესკიზები;

ჟ) თავის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან შეთანხმებით;

რ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის რეკომენდაციებით, საზღვარგარეთ მიავლინოს სპეციალისტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესაძენად, კონფერენციებსა და სხვა შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად;

ს) განახორციელოს მოქმედი კანონდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

**მუხლი 3. სამსახურის მართვა, ხელმძღვანელობის ორგანიზება და ხელმძღვანელთა კომპეტენცია**

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სამსახურის უფროსი:

ა) უშუალოდ ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის საქმიანობის სფეროსათვის და კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) მოქმედებს სამსახურის სახელით, წარმოადგენს სამსახურს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობში და ანიჭებს წარმომადგენლობას;

დ) განსაზღვრავს სამსახურის უფროსის მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ფუნქციებსა და კომპეტენციებს;

ე) ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს;

ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას და პასუხისმგებელია მის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

თ) ზედამხედველობას უწევს მოადგილეების, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების უფროსებისა და სამსახურის მოსამსახურეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას;

ი) დადგენილი წესით შეაქვს წინადადებები ქალაქ თბილისის მერთან, პრემიერთან, ქალაქ თბილისის მთავრობასა და საკრებულოში მათდამი დაქვემდებარებულ საკითხებზე, მათ მიერ საჭირო გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების მიღების მიზნით;

კ) ქალაქ თბილისის მერს, პრემიერს, საკრებულოსა და მთავრობას წარუდგენს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს;

ლ) შეაქვს დასაბუთებული წინადადებები ქალაქ თბილისის მთავრობაში სამსახურის წლიური ხარჯების საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში წარადგენს დამატებითი ხარჯების პროექტს;

მ) უზრუნველყოფს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა-განვითარებას;

ნ) საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის მიზნით განახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას;

ო) უფლებამოსილია სამსახურის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, საქართველოს მასშტაბით;

პ) დადგენილი წესით მართავს სამსახურის ქონებას, ხელს აწერს სამსახურის ფინანსურ დოკუმენტაციას;

ჟ) ზრუნავს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ახორციელებს მათ მატერიალურ სტიმულირებას დადგენილი წესით;

რ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

3. სამსახურის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომელთა თანამდებობებზე დანიშვნა და თანამდებობებიდან გათავისუფლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სამსახურის უფროსის დავალებით, ერთ-ერთი მოადგილე ცვლის სამსახურის უფროსს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას უფროსის არყოფნისას.

5. სამსახურის უფროსის თითოეული მოადგილე:

ა) ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ სფეროს;

ბ) ახორციელებს ცალკეულ უფლებამოსილებებს;

გ) დაქვემდებარებულ საკითხებზე ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას.

6. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსებს, მათ მოადგილეებს და სამსახურის სხვა მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

**მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა**

1. სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

ა) საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება;

ბ) კადრების, ტექნიკის ექსპლუატაციის და პირადი შემადგენლობის მომზადების განყოფილება;

გ) ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილება;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების განყოფილება;

ე) ოპერატიული კავშირგაბმულობის განყოფილება;

ვ) სახანძრო-სამაშველო ოპერატიული განყოფილება (შტაბი);

ზ) მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ოთხი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით;

თ) ისანი-სამგორის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ოთხი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით;

ი) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით;

კ) ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ორი ხანძარსაწინააღმდეგო, ერთი სამაშველო, ერთი კავშირგაბმულობის, ერთი სამედიცინო და ერთი საინფორმაციო-ანალიტიკური ნაწილით;

ლ) გლდანი-ნაძალადევის რაიონული განყოფილება, მასში შემავალი ერთი ხანძარსაწინააღმდეგო და ერთი სამაშველო ნაწილით.

2. საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება.

3. კადრების, ტექნიკის ექსპლუატაციის და პირადი შემადგელობის მომზადების განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია საკადრო საქმიანობის წარმართვა, ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზება, ტექნიკის აღრიცხვა და მიზნობრივად ექსპლუატაციის კონტროლი.

4. ზედამხედველობის ორგანიზაციის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია ხანძარსაწინააღმდეგო და სამოქალაქო თავდაცვის ზედამხედველობის განხორციელება, შემთხვევებისა და მათი შედეგების აღრიცხვა, საზოგადოების ინფორმირების ორგანიზება საგანგებო სიტუაციების წესებთან დაკავშირებით.

5. სამოქალაქო უსაფრთხოების განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკის, მათი სალიკვიდაციო ღონისძიებების, სამოქალაქო თავდაცვის გეგმების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება, ქალაქ თბილისის მასშტაბით.

6. ოპერატიული კავშირგაბმულობის განყოფილების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია შემოსული ინფორმაციის დამუშავება, ოპერატიული კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა.

7. სახანძრო-სამაშველო ოპერატიული განყოფილების (შტაბის) ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო და სახანძრო-სამაშველო სამუშაოების წარმოების ორგანიზება.

8. რაიონული განყოფილებების ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია საგანგებო სიტუაციების პროფილაქტიკა, ხანძრების ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების წარმოება.

9. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების შემადგენლობაში შემავალი ერთეულები და მათი რაოდენობა განისაზღვრება ქალაქ თბილისის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 5. სამსახურის ქონება**

სამსახურის მთელი ქონება წარმოადგენს ქალაქ თბილსის ადგილობრივ საკუთრებას. მის მფლობელობაში და სარგებლბაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე საფინანსო რესურსები აისახება სამსახურის დამოუკიდებელ ბალანსზე.

**მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი**

1. დებულებაში ხარვეზების არსებობისას ან იმ საკითხების დარეგულირებისას, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობითა და სათანადო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმები.

2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

# საინფორმაციო ცნობა

**ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე**

| № 1 | მიწის ნაკვეთის მისამართი | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივობა) | მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | მოშენების ფართობი კვ.მ. | სართულიანობა | საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი) | კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | ისანი-სამგორის რაიონი,ლილოს დასახლება I მ/რ,№14კორპ. ა№107-ე სკოლას შორის | აუქციონი | საკუთრება | | 300 კვ.მ | | | | 10 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 5 დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 2 | ისანი-სამგორის რაიონი, აწყურის ქ.№45-ის მიმდებარედ. | აუქციონი | საკუთრება | | 1759 კვ.მ | | | | 60 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 10 ( ბიჯი- დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 3 | ვაკე-საბურთალოს რაიონი,ბერიტაშვილი ს\ქ.№101-ის მოპირდაპირედ. | აუქციონი | საკუთრება | | 640 კვ.მ | | | | 35 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 5 ( ბიჯი- დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 4 | ვაკე-საბურთალოს რაიონი ქავთარაძის ქ.№19-ის მიმდებარედ. | აუქციონი | საკუთრება | | 220 კვ.მ | | | | 200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 20 ( ბიჯი- დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 5 | ისანი-სამგორის რაიონი, კაიროს ქუჩის მიმდე ბარედ. | აუქციონი | საკუთრება | | 45 0 კვ.მ | | | | 20 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 5 ( ბიჯი- დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 6. | გლდანი-ნაძალადევის რაიონი,არალეთის ქუჩის მიმდებარედ. | აუქციონი | საკუთრება | | 227 კვ.მ | | | | 20 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 5 ( ბიჯი- დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
| 7. | გლდანი-ნაძალადევის რაიონი,ვეკუას ქუჩა №1-ის მიმდებარედ. | აუქციონი | საკუთრება | | 70 კვ.მ | | | | 180 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 20 ( ბიჯი- დოლარის ექვივალენტი ლარებში) |

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

აუქციოში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 07.07.2006 წლის 11 საათიდან 07.08.2006 წლის 17 საათამდე. აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 93 45 73, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21.

**5 ივლისის გაზეთ "24 საათში" დაბეჭდილ შპს "თბილქალაქგანათების" ელექტრომასალების შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილია ცვლილება. კერძოდ, II პოზიცია (ლოტი) უნდა იკითხებოდეს ასე:**

II პოზიცია (ლოტი) - თვითმზიდი იზოლირებული სადენის აქსესუარები 50 (ორმოცდაათი) კილომეტრი სადენისათვის.
ჰერმეტული გამხვრეტი მომჭერი 16-95 - 1,5-10 - 4000 ცალი
გამხვრეტი მომჭერი 10-95 - 10-95 - 800 ცალი
შემაერთებელი წნეხით მომჭერი 8-25 - 200 ცალი
შუა საკიდი მომჭერი 2-4X(6-25) (15 გრად.) - 1600 ცალი
შუა საკიდი მომჭერი 2-4X(6-25) (60 გრად.) - 300 ცალი
ანკერული მომჭერი 4X(16-25) - 500 ცალი
ანკერული მომჭერი 2X(16-25) - 600 ცალი
დანარჩენი როგორც ტექსტშია.

**ხოლო ფოლადის მილების შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში I ლოტი უნდა იკითხებოდეს: ფოლადის მილი დიამეტრი 114 მმ; ალუმინის ფხვნილი 500 კგ. დანარჩენი როგორც ტექსტშია.**

# განცხადება

**შუახევისა და ხულოს რაიონის რეაბილიტირებულ ამბულატორიებში სამუშაოდ ვიწვევთ სერტიფიცირებულ ექიმ-სპეციალისტებს (თერაპევტი, პედიატრი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი, ზოგადი პროფილის ექიმი-პედიატრი) შემდგომში მათი ოჯახის ექიმად გადამზადების პერსპექტივით.**

**დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მისამართზე:**

**ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ.N6, მე-5 სართული, ოთახი N28, ტელ.3-13-82.**

# განცხადება

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელის" მიერ 2006 წლის 19 მაისს N109 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ არახაზობრივი სამონტაჟო კომპლექსის შესყიდვაზე გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა ხელშეკრულებები:

1. შპს"ინდენტთან" ხელშეკრულება N82-4 ლოტ-2-ზე და ლოტ-3-ზე;
2. შპს "ვიდეოსკოპთან" ხელშეკრულება N82-1 ლოტ5-ზე;
3. შპს "ჯესკო ჯგუფთან" ხელშეკრულება N82-2 ლოტ-1-ზე;
4. შპს "ჯეოლენდთან" ხელშეკრულება N80-1 ლოტ-4-ზე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, (ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24, საიდენტიფიკაციო კოდი 201955296, ა/ა 145530800, სს საქართველოს ბანკი, ცენტრალური ფილიალი ა/ა 145530800, კოდი 220101502). აცხადებს, ორეტაპიან ტენდერს **ქ. თბილისის არქივებში არსებული ისტორიული დოკუმენტაციის მოძიებისა და ციფრული დამუშავებისთვის** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. დაფინანსების წყაროა - ქ. თბილისის ბიუჯეტი.
2. მიწოდების სასურველი ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 დეკემბრამდე.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 ივლისის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;
დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ:
ბ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
გ) ინფორმაცია სუბკონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდა.
6. ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება;
7. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი სატენდერო წინადადება ზოგადი მონაცემებით, ღირებულების გარეშე.
8. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.
9. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.
10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.** სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, შერჩევიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.
11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ბ. გელდიაშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელ: 96-91-26 და **ა. ჩხეიძე** - სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელ: 96-91-25 მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია.**

# განცხადება

## სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე

**მარჯანიშვილის ქ. N16ა. თბილისი, 0102 ტ:911192**

| ლოტი | დასახელება | დახასიათება | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება; სავალი ნაწილების შეკეთება; ზეთის და ფილტრების შეცვლა; სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები; ავტომანქანის დიაგნოსტიკა; საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება; ძრავის კაპიტალური შეკეთება. | სგსე-ის დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ. ქუთაისში | 15.08.06-31.12.06 |
| 2 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |
| 3 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება; სავალი ნაწილების შეკეთება; ზეთის და ფილტრების შეცვლა; სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები; ავტომანქანის დიაგნოსტიკა; საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება; ძრავის კაპიტალური შეკეთება. | სგსე-ის დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ. ქუთაისი | 15.08.06-31.12.06 |
| 4 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |
| 5 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება; სავალი ნაწილების შეკეთება; ზეთის და ფილტრების შეცვლა; სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები; საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება; ძრავის კაპიტალური შეკეთება. | სგსე-ის დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ.სენაკში | 15.08.06-31.12.06 |
| 6 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |
| 7 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება; სავალი ნაწილების შეკეთება; ზეთის და ფილტრების შეცვლა; სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები; საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება; ძრავის კაპიტალური შეკეთება. | სგსე-ის შიდა ქართლის ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ. გორში | 15.08.06-31.12.06 |
| 8 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |
| 9 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება; სავალი ნაწილების შეკეთება; ზეთის და ფილტრების შეცვლა; სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები; საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება; ძრავის კაპიტალური შეკეთება. | სგსე-ის ქვემო ქართლის ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ. რუსთავში | 15.08.06-31.12.06 |
| 10 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |
| 11 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება; სავალი ნაწილების შეკეთება; ზეთის და ფილტრების შეცვლა; სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები; საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება; ძრავის კაპიტალური შეკეთება. | სგსე-ის სამცხე ჯავახეთის ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ. ახალციხეში | 15.08.06-31.12.06 |
| 12 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |
| 13 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება სავალი ნაწილების შეკეთება ზეთის და ფილტრების შეცვლა სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება ძრავის კაპიტალური შეკეთება | სგსე-ის მცხეთა-მთიანეთის ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ. მცხეთაში | 15.08.06-31.12.06 |
| 14 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |
| 15 | მსუბუქი ავტომანქანების ავტოტექმომსახურება | ელექტრონაწილების შეკეთება სავალი ნაწილების შეკეთება ზეთის და ფილტრების შეცვლა სათუნუქე და სამღებრო სამუშაოები საბურავების ვულკანიზაცია, ბალანსირება, დისკების აღდგენა გასწორება ძრავის კაპიტალური შეკეთება | სგსე-ის მცხეთა მთიანეთის ფილიალი.ს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ქ. დუშეთში | 15.08.06-31.12.06 |
| 16 | სატვირთო მანქანების ავტოტექმომსახურება | | | |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **2006 წლის 15 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული მომსახურების მოცულობისა და გასაწევი მომსახურების ჩამონათვალის გრაფიკის შესაბამისად ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 25 ივნისიდან** 27 **ივნისის 1500 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 30 აგვისტოს ჩათვლით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
5. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი ფიზიკური პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3 ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
4. ცნობა ბანკიდან ანგარიშის თაობაზე;
5. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მარჯანიშვილის ქ. N16ა, მეორე სართული. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე**: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905, სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარი.** პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 27 ივლისამდე.

დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) **ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. E-mail : giwi.khvedaguridze@uedc.ge**

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

## სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს საერთაშორისო ტენდერს *საწვავის* შესყიდვაზე

**რეკვიზიტები - მარჯანიშვილის N16ა., 0102 თბილისი**
შესყიდვის ობიექტებია:

| ლოტი | შესყიდვის ობიექტი | განზომილების ერთეული | რაოდენობა ან მოცულობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1ბენზინის საწვავი რეგულარი | ლიტრი | 2125 | საჩხერე, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურში | ყოველთვიურად მოხდეს ტალონების გადაცემა ხელშეკრულების ამოქმედებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, თვის დასაწყისში 1დან 3 რიცხვამდე ხოლო საწვავის მიწოდება უნდა მოხდეს ტალონის წარმოდგენისთანავე.. |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2006 წლის 15 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 25 ივლისის 10:00 საათიდან 27 ივლისიის 16:00 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 30 აგვისტოს ჩათვლით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
5. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი ფიზიკური პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულიებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
4. ცნობა ბანკიდან ანგარიშის თაობაზე;
5. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მარჯანიშვილის ქ. N16ა, მეორე სართული. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე**: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905, სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარი.** პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 27 ივლისამდე.

დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) **ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. E-mail : giwi.khvedaguridze@uedc.ge**

**სატენდერო კომისია**

ფოსტა

# არა, ბატონებო, აღარ ბნელა!

რონ ინაფიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტზე გასამართი კონკურსის გამო, ნალოლიავები "ინტელიგენტის" სოციალური სტატუსის დაკარგვით შეშინებულ პროფესორთა ერთი ჯგუფი, დაჟინებით ცდილობს საზოგადოების დარწმუნებას უმაღლესი განათლების რეფორმის "ანტიეროვნულობაში." იგივე საკითხი მიმზიდველ თემად მოსჩვენებია საკუთარი რეიტინგის სიმცირით გაწვალებულ რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას, რომელნიც "ეროვნული ღირსებისა" და "თეთრი ტაძრის" გადარჩენის სადარაჯოზე დამდგარან. ერთნიცა და მეორენიც, ქართველ სოროსად წოდებული გიგი თევზაძის ტერმინი რომ ვიხმაროთ, ერთ უმსჯელობას შეუპყრია: მათ ქართველი ხალხი ბეცი ჰგონიათ. ისინი მონდომებით ცდილობენ დაემსგავსონ თვით ჯემალ გოგიტიძეს, რომელიც 2003 წელს ბათუმში ქუჩაში გამოსულ ხალხს გაურკვეველ საწოლ ოთახში შეჭრა დააბრალა. არა, ბატონებო, აღარ ბნელა!

არადა რეფორმას საკრიტიკო ნამდვილად ბევრი აქვს. უპირველესი კრიტიკა მის მცირეოდენ დაგვიანებასა და არასაკმარის რადიკალურობაშია. გრძელვადიან პერსპექტივაში, უმაღლესი განათლების და საერთოდ განათლების რეფორმა მიმდინარე რეფორმათაგან უდაოდ ყველაზე მნიშვნელოვანია და მისი მიმდინარეობის პროცესში რაიმე ჩავარდნა, ანაც კომპრომისი, დაუშვებელია.

ხელისუფლების უმთავრესი შეცდომა განათლების სფეროში დანაშაულის დასჯის პრეცედენტის არშექმნაა. უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის რონ მეტრეველის ან მისი ამფსონების დასჯა, ამ კომუნისტური გაგების და, შესაბამისად, მშიშარა "პროფესორებს" სამუდამოდ დაუკარგავდა მსგავსი ავანტიურის წამოწყების სურვილს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რონ მეტრეველის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის მიყენებული ზიანი აღემატება ყველას - ლევან მამალაძის, აკაკი ჩხაიძისა თუ დავით მირცხულავას მიერ მოპარულ ფულს და ქვემოთ ავხსნი, თუ რატომ.

■ ■ ■

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში კორუფცია--ნაცნობობა, პლაგიატიზმი და, რაღა თქმა უნდა, მექრთამეობა ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან მკვიდრდება (უფროს თაობას ეს კარგად ახსოვს). თუმცა ამ ფენომენმა, განსაკუთრებით კი მექრთამეობამ, განათლების ხარისხის დაცემასთან ერთად, ყოველგვარ შესაძლებელ ზღვარს სწორედ 90-იან წლებში, საქართველოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ გადააბიჯა. გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყნის უმთავრესი უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღმოჩნდა. სისტემის საკვანძო პოსტებზე დაინიშნენ "ცეხავიკური" ცნობიერების და პარტიული ინტრიგების მდიდარი გამოცდილების მქონდე "აპარატჩიკები," თსუ-ს აწ უკვე ყოფილი რექტორის რონ მეტრეველის თამადობით. შევარდნაძეს ე.წ. ბობოლა რექტორებთან ერთადერთი პირობა ჰქონდა: უმაღლესი განათლების სისტემიდან ანუ ახალგაზრდობიდან ყოველგვარი შესაძლო პოლიტიკური საფრთხის გამორიცხვა. თავის მხრივ, კორუფციასა და ათასგვარ უბედურებაში უკვე გამობრძმედილ რექტორებსაც (შესაბამისი დეკანებისა და ამფსონების არმიის თანხლებით), სრულიად კონკრეტული მოტივაცია ამოძრავებდათ - რაც შეიძლება მეტი ფული და, შეძლებისდაგვარად, "ინგტელიგენტის" მანტიის შენარჩუნება.

90-იან წლებში ადმინისტრაციამ და პირადად ბატონმა მეტრეველმა, თსუ ფულის საჭრელ დიდ "ცეხად" და საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ინსტიტუციად გადააქციეს. დასამალი არაა, რომ ამ დროს ქვეყანაში კორუფცია ყველა სფეროში ყვაოდა - სამართალდამცავი ორგანოები ორგანიზებული დანაშაულის კლანებს დამსგავსებოდნენ, საბაჟო და საგადასახადო ორგანოების მმართველები კი, ქვეყნის ბიუჯეტის გაჩანაგების ხარჯზე, ასტრონომიულ მოგებებს ნახულობდნენ. და მაინც, საქართველოს "ლამის არშემდგარ" სახელმწიფოდ ჩამყალიბებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ უმაღლესი განათლების სისტემის მიწასთან გასწორებას მიუძღვის.

ის, რომ რონ მეტრეველის რექტორობისას თსუ (და შესაბამისად შევარდნაძის პრეზიდენტობისას მთელი სისტემა), როგორც უმაღლესი განათლების დაწესებულება, პრაქტიკულად გარდაიცვალა, ქართული საზოგადოებისათვის ეჭვს არ იწვევს. ამდენად, "ცოდნის ტაძრის" ვაიდამცველეების მხრიდან კორუფციის არსებობის უარყოფა უბრალოდ ღიმილისმომგვრელია. პრაქტიკულად, ნებისმიერ გამვლელს შეუძლია ამა თუ იმ პრესტიჟულ ფაკულტეტზე მოწყობის სანაცვლოდ თსუ-ში წარსულში მოთხოვნილი ქრთამის რაოდენობის დასახელება. ქრთამის გადამხდელები ხვდებოდნენ განთქმულ "რექტორის სიაში", რის შემდეგაც მათ გამოცდებზე, ხშირ შემთხვევაში, ღიად და დაუფარავად ეხმარებოდნენ. ექსპერტთა შეფასებით, ყოველწლიურად მისაღებ გამოცდებზე აღებული ქრთამის ჯამური რაოდენობა 20 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა.

ძნელია იმის დაჯერება, რომ დღეს უნივერსიტეტის ნამუსის დამცველთა შორის არავინ იყო დაკავებული კერძო რეპეტიტორობით და მისაღები კომისიის წევრობის შეთავსებით. ძალიან ხშირ შემთხვევაში ეს მანკიერი მოვლენა, ისევე, როგორც მთლიანად მისაღები გამოცდების სისტემა, აფიქსირებდა სოციალურ უთანასწორობას. კერძო რეპეტიტორების მომსახურებით, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, საგამოცდო კომისიის წევრები იყვნენ, როგორც წესი უფრო მეტად შეძლებული ოჯახის შვილები სარგებლობდნენ. შედეგად, არაელიტური ფენების წარმომადგენლებს უმაღლესი განათლების მიღების ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდათ.

რა თქმა უნდა, არსებობდა ახალგაზრდების გარკვეული რაოდენობა, რომელიც უნივერსიტეტში პროტექციის და მექრთამეობის გვერდის ავლით ხვდებოდა. თუმცა, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ასეთი შემთხვევები უფრო გამონაკლისს წარმოადგენდა, ვიდრე წესს. ექსპერტთა შეფასებით, ასეთი სტუდენტების რაოდენობა, მეტ-ნაკლებად პრესტიჟულ ფაკულტეტებზეც კი, 15-20 პროცენტს არ აღემატებოდა რასაც უნივერსიტეტის ბაღში, ყოველგვარი წიგნისა თუ რვეულის გარეშე, საათობით "მობირჟავე" ახალგაზრდობის მთელი არმიის მიერ შთანთქმული მზესუმზირის აურაცხელი რაოდენობა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ტოტალური დაუსაქმებლობაც (დასაქმებულთა მხოლოდ 3-4 პროცენტი) მეტყველებს.

ჩვენი სასიქადულო ლექტორების უმრავლესობა, რომლებიც სტუდენტის მიერ საგნისა და მით უმეტეს ლექტორის არჩევის უფლებას ლამის მასონთა შეთქმულებად ნათლავდნენ, მიჩვეული იყო განუსაზღვრელი რაოდენობის სტუდენტთათვის (რომელთაგან ერთს ან ორს თუ იცნობდა) ლექციის (უკაცრავად, მონოლოგის) მკაცრი სახით კითხვას. ზაფხულში კი მოახლოვდებოდა მისაღები გამოცდების, ასე ვთქვათ, მსუყე პერიოდი.

2000 წლის შემდეგ მდგომარეობა ნამდვილ აფსურდის თეატრს დაემსგავსა. ერთხელ შევესწარი დისერტაციის დაცვას: ყოვლად აბდა-უბდა ნაშრომში დისერტანტი ამტკიცებდა, რომ მე-18 საუკუნის მოღვაწე იოანე ამილახვარი თავის "ბრძენი ალმოსავლეთისაში" "ეწინააღმდეგებოდა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას მსოფლიოში." მაღალპატივცემული დამსწრე საზოგადოება იმდენად იყო აღფრთოვანებული მოახლოებული "დესერტაციის" სურნელითა და გარდუვალობით, რომ ამ და კიდევ ათას სხვა ნაბოდვარზე, რომელიც ამ დისერტაციაში იყო, ერთმანეთს ეცილებოდა იმის მტკიცებაში, რომ განსახილველი "ნაშრომი" იყო "ახალი სიტყვა პოლიტიკურ მეცნიერებაში." ესეც თქვენი უმაღლესი სტანდარტები და მსოფლიო კლასი. "პროფესორებს" დაუღალავად და უსირცხვილოდ მოჰყავთ ქართველი ახალგაზრდების წარმატებების მაგალითები დასავლეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მოდით, ახლა ამ ახალგაზრდებს ვკითხოთ, როგორ უმადლიან "დედა უნივერსიტეტს"?

რაც დრო გადიოდა წუმპე სულ უფრო შმორდებოდა. ამას თან დაერთო მრავალი მართლაც ღირსეული ლექტორის იძულება, დაეტოვებინათ უნივერსიტეტი. და ბოლოს, კორუფციის ჭაობს აგვირგვინებდა არსებული ბიუჯეტის ყოველგვარ ზღვარს გადასული ფლანგვა. საზოგადოებას ჯერაც ახსოვს "60 წუთის" რამდენიმე გადაცემა, რომლებმაც ნათლად წარმოაჩინეს რონ მეტრეველის ქონების სიდიდე და თსუ-ს ადმინისტრაციის მაღალჩინოსნების (მაგალითად, ყოფილი მთავარი ბუღალტერი ბადრი შოშიტაიშვილი და კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი პალადი ჯინჯოლავა) მიერ ფინანსური მაქინაციებისა და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის უტყუარი მტკიცებულებები.

დღეს, როცა "პროფესორები" უკვე რექტორის კაბინეტის ძალით დაკავებას ცდილობენ, საზოგადოებას ბუნებრივი კითხვა უჩნდება: სად იყვნენ ჩვენი "სასიქადულო მამულიშვილები" და "უნივერსიტეტის სინდისის დამცველები", როცა ყველაფერი ეს ხდებოდა? სად იყვნენ ისინი, როცა კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია? სად იყვნენ ისინი, როცა ბევრი მათი კოლეგა გადაწერილ დისერტაციებს იცავდა და სტუდენტებს პლაგიატიზმისა და სიჩლუნგის საფუძვლებში პრაქტიკულებს უტარებდა? სად იყვნენ ისინი, როცა იგივე ალექსანდრე რონდელსა და არაერთ ღირსეულ მეცნიერს უნივერსიტეტი დაატოვებინეს? სად იყვნენ ისინი, როცა სტუდენტურ თვითმმართველობას, რომელმაც თსუ-ში კორუფციაზე ხმა ამოიღო, ადმინისტრაციამ რეპრესიები დაუპირისპირა; როცა სტუდენტებს იარაღით დასდევდნენ სტუდკავშირის წევრები? სად იყო მათი ზნეობა, როცა "კარგ ტიპად" ცნობილი ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი სტუდენტ გოგონებთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა? როცა იგივე ქურდული მენტალიტეტით გამორჩეული და თავად კანონიერი ქურდის ნათესავი დეკანი, თვითმმართველობის არჩევნების წინ, სტუდენტებს ლამის საქმეებს ურჩევდა? სად იყვნენ კობა ნარჩემაშვილის საამაყო თაობის გამომზრდელი "პროფესორ-მასწავლებლები", როცა რონ მეტრეველმა 2003 წელს ფეხქვეშ გათელა უნივერსიტეტის წესდება და სრულიად უკანონდ, მესამედ "დაჯდა ტახტსა ზედა" და როცა იმავე დღეს უნივერსიტეტის შენობაში არ შეუშვეს და სცემეს სტუდენტებს? ნუთუ ერთ მათგანს მაინც არ ეყო მცირეოდენი გამბედაობა და ზნეობა, რომ ამ ამაზრზენი ადამიანისათვის ხმა მაინც არ მიეცა "დიდი საბჭოს" სხდომაზე და მისთვის გუნდრუკი არ ეკმია?

ამიტომაც, რეფორმის ასპექტებს რომ ერთი წუთით თავი დავანებოთ (ამ სფეროშიც მათი არგუმენტები ყველანაირ დამაჯერებლობას მოკლებულია), ჩვენს "პროფესორებთან" დამოკიდებულება ცალსახაა: ეს ხალხი ძალიან შორს დგას ზნეობრივი და აკადემიური ეთიკის ფუნდამენტური ფასეულობებისგან. ამიტომაც მე არავის ვურჩევდი მათ აუდიტორიაში მოხვედრას.

## სს "საქჰიდროენერგომშენის" კუთვნილი თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის შესახებ

სს "საქჰიდროენერგომშენი" აცხადებს კონკურსს კუთვნილი თავისუფალი ფართის გაცემის თაობაზე.

საიჯარო ფართი მდებარეობს ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N50.

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა შეადგენს პირველ სართულზე 8-12 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

განცხადება მიიღება 2006 წლის 6 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით (18.00 საათამდე).

კონკურსში მონაწილეობისათვის დადგენილი "ბეს" სიდიდე შეადგენს 100 ლარს.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 21 ივლისს 12 საათზე.

განცხადება მიიღება: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული,

სს "საქჰიდროენერგომშენი"-ს ადმინისტრაცია.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ

სს "საქჰიდროენერგომშენის" ადმინისტრაციას.

საკონტაქტო ტელეფონები:

25-09-59, 25-30-35, 899-620382

## ქ. თბილისის მერიის შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის საწარმოს შპს "თბილისის მეტროპოლიტენი" მიერ ჩატარებულ ღია ტენდერებში შესაბამისი სატენდერო კომისიების გადაწყვეტილების თანახმად, დადებულ იქნა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. სიგნალისაზიისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობების მოდერნიზაციისა და შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე - შპს "ნაპერწკალი";

2. ელექტრო ძრავების შეკეთებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე - სს "ეშსქ თბილისის ფილიალი".

**შპს "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს მიერ 1 ივლისის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში შეცდომით არის მითითებული საიდენტიფიკაციო კოდი. უნდა იყოს 203825851.**

## საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) და აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF) აცხადებენ აშშ-საქართველოს ორმხრივ საგრანტო საკონკურსო პროგრამას (BGP-3)

**პროგრამის მიზნებია:**

- ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის საინოვაციო-გამოყენებით კვლევებს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ყველა დარგში, რომლებიც მიმართულია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სოციალურ - ეკონომიკური პრობლების გადასაწყვეტად;
- ხელი შეუწყოს აშშ - საქართველოს შორის მდგრადი სამეცნიერო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას;
- შეამციროს საქართველოს მეცნიერთა ემიგრაცია;
- ხელი შეუწყოს ადრე თავდაცვის სფეროში მოღვაწე მეცნიერთა დასაქმებას სამოქალაქო კვლევებში.

პროგრამა კონკურსის საფუძველზე დააფინანსებს საქართველოსა და აშშ სამეცნიერო ჯგუფების ერთობლივ კვლევებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა სფეროში. საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადები უნდა მოიცავდნენ პრობლემის განსაზღვრას (მაგალითად, ენერგეტიკაში, გარემოს დაცვაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში და ა.შ.) და მისი გადაწყვეტისათვის საჭირო სამეცნიერო კვლევებს.

პროექტის ხანგრძლივობაა 18-24 თვე.

თითოეული გრანტის ოდენობაა $45,000აშშ დოლარი.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 15 სექტემბერი.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია მოთავსებულია სსგფ-ს ვებ-გვერდზე www.grdf.ge

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ:

საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ)
მისამართი: ქ. თბილისი, 0186, მინდელის ქ. N7, მე-3 სართული.
ტელეფონი: 32 01 68; ფაქსი: 21 02 28
ელ-ფოსტა: **info@grdf.ge; helen@grdf.ge**
**საკონტაქტო პირი: ელენე გიორგაძე**

**გვინდა ავიყვანოთ სამუშაოდ 27 წლიდან 55 წლამდე ასაკის ქალი, რომელმაც იცის სხვადასხვა კერძის მომზადება. დარეკეთ 12-დან 17 საათამდე. ტელ.: 31 20 70. იკითხეთ ლია ან სალომე.**


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**

**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06
893 65 38 39


## შეტყობინება სამუშაოთა შეთავაზების თაობაზე

კახეთის რეგიონში 20 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცია

ადგილმდებარეობა - კახეთი, საქართველო

კონტრაქტის დეტალები

კონტრაქტის აღწერილობა

კახეთის რეგიონში 21 შენობის (ამბულატორიის) მშენებლობა-რეაბილიტაცია. ერთი შენობის საშუალო ფართობი 150 კვ/მ-მდე.

ლოტების ნომრები და დასახელება

ლოტი 1: სამი შენობის აღდგენა ს. ლაფანეურში, ს. სანიორეში (თელავის რაიონი), ს. საბუეში (ყვარლის რაიონი). ერთი შენობის აგება ს. შილდაში (ყვარლის რაიონი).

ლოტი 2: ორი შენობის აღდგენა ს. ზემო ხოდაშენში, ს. ჯოყოლოში (ახმეტის რაიონი).

ლოტი 3: ორი შენობის აღდგენა ს. ულიანოვკაში (ლაგოდეხის რაიონი) და ს. ბალღოჯიანში (ყვარლის რაიონი). ორი ახალი შენობის აგება ს. აფენში (ლაგოდეხის რაიონი) და ს. მთისძირში (ყვარლის რაიონი).

ლოტი 4: სამი შენობის აღდგენა ს. ერისიმედში (სიღნაღის რაიონი), ს. ფიროსმანში, ს. სამთაწყაროში, ს. საბათლოში (დედოფლისწყაროს რაიონი).

ლოტი 5: ხუთი შენობის აღდგენა ს. ჩალაუბანში, ს. არაშენდაში, ს. კარდენახში (გურჯაანის რაიონი), ს. ქვემო ბოდბეში (სიღნაღის რაიონი), ს. გომბორში (საგარეჯოს რაიონი).

მონაწილეობის პირობები

საინფორმაციო შეხვედრა

საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება (სამშაბათს 18.07.2006 წ., 14.00) თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს უნივერსიტეტის ქუჩა №1.

სატენდერო წინადადებების მოქმედების ვადა

სატენდერო წინადადებები ძალაში უნდა იყოს მათი წარდგენის ბოლო ვადიდან 45 დღის განმავლობაში.

შესრულების ვადა

მშენებლობისათვის 5 თვე, აღდგენისათვის 3 თვე.

შერჩევის კრიტერიუმი

კრიტერიუმები, რომელიც ჩამოყალიბებულია "ტენდერის მონაწილეთა ინსტრუქციის" მე-4 ნაწილში.

კონტრაქტის შეთავაზების კრიტერიუმი

ტექნიკური გამოცდილება, პროექტის შესრულების ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობა, შემოთავაზებული ფასი.

ტენდერში მონაწილეობა

როგორ მივიღოთ სატენდერო დოკუმენტების პაკეტი

სატენდერო დოკუმენტების პაკეტის ფასია 50 (ორმოცდაათი) ლარი და იგი ხელმისაწვდომია 6.07.2006 (ხუთშაბათი) MERLIN საქართველოს თბილისის ოფისში. თბილისი 0179, თარხნიშვილის ქუჩა №21, I სართული, ბ. 1. ასევე თელავის ოფისში, აბაქარ მაგომედოვის ქუჩა №6. სატენდერო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნას სტანდარტული ფორმის გამოყენებით, რომელიც ჩართულია დოკუმენტთა პაკეტში, რომლის ფორმა და შევსების წესი მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა

26.07.2006 წ. ოთხშაბათს, 12 საათამდე.

MERLIN-ის თელავის ოფისში, აბაქარ მაგომედოვის ქუჩა №6-ში.

ვადის გასვლის შემდეგ მიღებული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

ტენდერის გახსნა

26.07.2006 ოთხშაბათი, 14 საათი.

თელავის გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს უნივერსიტეტის ქუჩა №1.

პროცედურის ენა

მიმოწერისა და კონტაქტისათვის გამოიყენება ქართული ენა.

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Audi BMW-ს დაუპირისპირდება

კომპანია Audi ახალ, სუბკომპაქტურ სერიულ ავტომობილებს გამოუშვებს. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ახალი ავტომობილი კონკურენციას BMW-ს Mini-მოდელს გაუწევს. Auto Motor und Sport-ის ინფორმაციით, კომპანია Audi-ს წარმომადგენლები ახალი ავტომობილების წარმოების დაწყების შესახებ მოლაპარაკებებს უახლოეს მომავალში დაიწყებენ. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები ამ ავტომობილის შექმნაზე თანხმობას მიიღებენ, მაშინ Audi მშენებლობისთვის კომპანია Volkswagen-ის უკვე აპრობირებულ კომპაქტურ იმ პლატფორმას გამოიყენებს, რომელიც Seat Ibiza-ს მოდელშია გამოყენებული.

კომპანია Audi-მ ავტომობილს სახელწოდებაც კი შეურჩია. მას Audi A1-ს დაარქმევენ. ბენზინისა და დიზელის ორმხრივ ძრავებს კომპანია VW Golf 5-ისგან აიღებს. კომპანიის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ახალი ავტომობილი BMV Mini Cooper-ს მართლაც რომ ღირსეულ კონკურენციას გაუწევს. წინასწარ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, Audi A1 დაახლოებით 16-18 ათასი ევრო ეღირება. კომპანიაში ვარაუდობენ, რომ ახალი "ხეჩბეკის" პრეზენტაცია 2009 წელს შედგება, ავტომობილების სერიული წარმოება კი 2010 წლისთვის დაიწყება.

### კომპანია Enron-ის დამაარსებელს ციხე აღარ ემუქრება

კომპანია Enron-ის დამაარსებელი კენეტ ლეი მოლაპარაკების მოლოდინში გარდაიცვალა. ცოტა ხნის წინ, ნაფიცმა მსაჯულებმა კენეტ ლეი და კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ჯეფრი სკილინგი ყველაზე გახმაურებულ კორპორატიულ სკანდალში დაადანაშაულეს. გარიგებამ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი სკანდალის სახელით შევიდა, კომპანია Enron-ი გაკოტრებამდე მიიყვანა. საინფორმაციო სააგენტოების ნაწილი იუწყება, რომ კენეტ ლეი ინფარქტმა იმსხვერპლა. ზოგი კი აცხადებს, რომ კომპანიის შეფის სიკვდილის მიზეზი ჯერ ცნობილი არ არის. ნაფიცმა მსაჯულებმა კომპანია Enron-ის ტოპ-მენეჯერს განაჩენი 2006 წლის 25 მაისს გამოუტანეს. კენეტ ლეის ადვოკატსა და სამართლოს შორის შუამდგომლობა 11 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, ისე კი ლეის 45 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. ორივე ბრალდებული სასამართლომ 10 მილიონი დოლარის გადახდის შემდეგ, შემოდგომამდე თავდებით გაათავისუფლა. კენეტ ლეი 64 წლის იყო. ის კომპანია Enron-ს 1986 წლიდან 2002 წლამდე ხელმძღვანელობდა. მისი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ კომპანიის აქციების ფასი 90 დოლარიდან 30 ცენტამდე დაეცა. სასამართლომ კენეტ ლეი ფასიანი ქაღალდებით მანიპულირებაში დაადანაშაულა. 2002 წლის დასაწყისში Enron-ის კრახს კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ჯონ კლიფორდ ბაქსტერი შეეწირა. მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. 2001 წლამდე Enron-ი ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე მსხვილ ენერგეტიკულ კომპანიად ითვლებოდა. 2001 წლის დეკემბერში მენეჯერების მიერ განხორციელებული ფინანსური მაქინაციების წყალობით კორპორაცია გაკოტრებამდე მივიდა.



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3200 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9801 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4825 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7720 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8271 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1612 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3045 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3087 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2708 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4518 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3408 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1506 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1548 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2720 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1935 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2361 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,4045 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5948 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,2218 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5632 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3343 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2846 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5672 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5953 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0660 |
| 1 | სინგაპურული დოლარიSGD | 1,1213 | |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4236 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5399 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4465 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5383 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8142 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1285 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1498 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4413 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2469 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4483 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0801 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2215 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2281 |




# მეღვინეებმა ჩინეთის, საბერძნეთისა და თურქეთის ბაზრის ათვისება დაიწყეს

რაში უნდა დაიხარჯოს 700 ათასი ლარი

თინა შავაძე

*მეღვინეობის დარგში არსებული მდგომარეობისა და მოსალოდნელი ვითარების შესახებ "24 საათს" ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესაუბრნენ.*

**შპს "თელავის მარანის" დირექტორი პაატა ცისკარიშვილი:**
**ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ რუსეთში მიღებული გადაწყვეტილება უსამართლო იყო და ქართული ღვინო ნამდვილად ხარისხიანია.**

**ს.ს "თბილღვინოს" პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი:**
**მთავრობა მეწარმეებთან კონსულტაციებს გაივლის და ურთიერთსასარგებლო ფორმატზე შევთანხმდებით. მაგრამ ეს საკითხი მაინც მთავრობის გადასაწყვეტია.**



B2

# BP-ს 10 წლისთავი საქართველოში

ბრიტანელი ინვესტორები აქ კიდევ 50 წელი დარჩებიან

მარიამ ჯაჭვაძე

*იმ დროს, როცა პრემიერ-მინისტრი ბაქოში, "შაჰ-დენიზიდან" საქართველოს წილი ბუნებრივი აირის გაზრდის თაობაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, გაზსადენის ძირითადი მშენებელი კომპანიის "ბრითიშ პეტროლიუმის" ახალი გენერალური დირექტორი ამ საკითხზე ჟურნალისტებთან კომენტარს აკეთებდა.*

**ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტის მონაწილე ქვეყნებს შორის გაფორმებული თავდაპირველი კონტრაქტის თანახმად, საქართველო წელიწადში გატარებული ბუნებრივი აირის 5 პროცენტს უფასოდ მიიღებს. ამავე ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ დამატებით 5 პროცენტს საქართველო შეღავათიან ფასად - 1000 კუბურ მეტრს 55 აშშ დოლარად მიიღებს. საწყის ეტაპზე ანუ 2007-2008 წლებში საქართველოს ამ მილსადენიდან წელიწადში სულ 200-250 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიღება შეუძლია, ხოლო 2011 წლიდან კი - 800 მილიონი კუბური მეტრის.**

B4

# ფრანგული ბიზნესის "რვაფეხა"

გაუნათლებელი პინოს დიდი ფული და ხელოვნება

**ის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ვაზის ზვრებს "შატო ლატურს", "მარინის" თეატრს და საფეხბურთო კლუბ "რენს" პატრონობს, თავისუფალ დროს კი მისი კუთვნილი ოთხი უძველესი ციხე-კოშკიდან ერთ-ერთში ატარებს.**

გოჩა ქიმუცაძე

*7 მილიარდი დოლარის კაპიტალის მფლობელი ფრანსუა პინო მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. ამ გაუნათლებელმა და საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში გამდიდრებულმა კაცმა ხომ სიკვდილისაგან თვით საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი იხსნა და სახელი ბიზნესის წარმოების სასტიკი მეთოდებით და ხელოვნებისადმი უსაზღვრო სიყვარულით გაითქვა.*

- **საიდუმლოდ გამდიდრებული**
- **შირაკის მხსნელი**
- **მტრული შთანთქმები**
- **ფუფუნების სამყაროს მასპინძელი**
- **ვაზის, ფეხბურთის და ხელოვნების მოყვარული**



B3

## იტალიელი ბიზნესმენები ზეითუნის ზეთის წარმოებით დაინტერესდნენ

იტალიის ბარის პროვინციის ბიზნესმენები საქართველოში ზეითუნის ზეთის წარმოებით დაინტერესდნენ. საქართველოში სამდღიანი ვიზიტით მყოფი მეწარმეები დღეს კახეთში გაემგზავრნენ, სადაც ზეთის მწარმოებელ ქარხნებს და ზეთისხილის ნარგავებს დაათვალიერებენ.

იტალიელი ბიზნესმენები სოფლის მეურნეობის მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილს შეხვდნენ. როგორც საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა მინისტრთან საუბრისას აღნიშნეს, დაინტერესებულნი არიან საქართველოში ზეითუნის ზეთის წარმოებით და მზადყოფნას გამოთქვამენ, ამ დარგში ინვესტიციები განახორციელონ. **ინტერპრესნიუსი**

## რუსთავში მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებს თურქული ფირმა ააშენებს

ქალაქ რუსთავში თანამედროვე ტიპის მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებს თურქული ფირმა "ტან ინსატ ტაშუდ სანუი" ააშენებს. რუსთავის მერიაში შექმნილმა სატენდერო კომისიამ სამი კომპანიიდან არჩევანი სწორედ თურქულ ფირმაზე შეაჩერა.

ორი 14-სართულიანი კორპუსი, სატენდერო პირობების თანახმად, 2 წელიწადში, ჟიული შარტავას გამზირზე გამოყოფილ 3 000 კვადრატულ მეტრ ფართზე აშენდება.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის, რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ნადაშვილის განცხადებით, კომისიამ შენობის ვიზუალურ მხარეს მიაქცია ყურადღება. ამასთანავე, თურქული ფირმის მიერ მიწის ნაკვეთში შეთავაზებული ფასიც საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა.

"თურქები მშენებლობაში 4 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციის ჩადებას აპირებენ. საცხოვრებელი კორპუსი 104 ბინაზეა გათვლილი, პირველ სართულზე მაღაზიები განთავსდება, აღიმართება ორი ე.წ. "ტყუპი შენობა". კომისიის უახლოეს სხდომაზე გავიტანთ არანაკლებ პრესტიჟულ ადგილზე მდებარე მიწის ფართს ბინათმშენებლობისთვის. იმედი მაქვს, რომ პროცესები გაგრძელდება. ბინათმშენებლობისთვის მიწას არ დავიშურებთ, რადგან ქალაქში საცხოვრებელ ფართზე დიდი მოთხოვნილებაა. თურქულ ფირმას, რომელიც რუსთავში ერთ-ერთი პირველი დაიწყებს ბინათმშენებლობის პროცესს, თანამედროვე ტიპის ბინები და ობიექტები ბაქოსა და სტამბულში აქვს აშენებული," - განაცხადა "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას დავით ნადაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## მთავრობა ეროვნული ბანკის მიმართ არსებულ დავალიანებას 2025 წლამდე დაფარავს

საქართველოს მთავრობა ეროვნული ბანკის მიმართ არსებულ დავალიანებას 2025 წლამდე დაფარავს. როგორც გუშინ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, დავალიანების დაფარვის გრაფიკთან დაკავშირებით ეროვნულმა ბანკმა და ფინანსთა სამინისტრომ სპეციალური სქემა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ეტაპობრივად მოხდება როგორც ძირითადი თანხის, ასევე დარიცხული პროცენტების მომსახურება. ალექსიშვილის განცხადებით, 1996-2003 წლებში მთავრობას ეროვნული ბანკის მიმართ 832 მილიონი ლარის ოდენობის ვალი დაუგროვდა. ფინანსთა სამინისტრო შეთანხმების საფუძველზე აღნიშნულ ვალს ფასიანი ქაღალდების საშუალებით დაფარავს. მინისტრის თქმით, მოხდება ობლიგაციების გამოშვება და მიმოქცევაში ყოვლეწლიურად 50 მილიონი ლარის ობლიგაცია გავა. ალექსიშვილის განცხადებით, შეთანხმების საფუძველზე, ვალის მომსახურება 2025 წელს დასრულდება. **ინტერპრესნიუსი**

## მთავრობა ინფლაციის შესამცირებლად ყველაფერს გააკეთებს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ინფლაცია 1-ციფრა ნიშნულზე გაჩერდეს. ამის შესახებ ალექსიშვილმა დღეს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, ინფლაციის დონე 2006 წლის პირველ კვარტალში 5,6%-ით გაიზარდა და გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10%-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ივნისის თვე დეფლაციურობით გამოირჩევა და ამ თვეში 0,2%-ს მიაღწია. "მიუხედავად იმისა, რომ ამ თვეში დეფლაცია დაფიქსირდა, ინფლაცია მაინც პრობლემად რჩება და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა ინფლაცია შემცირდეს. გაგრძელდება მოქმედებები, რომ 1-ციფრა ნიშნულზე დაბალანსდეს," - განაცხადა ალექსიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ხვალ 10 ობიექტის გაყიდვას შეეცდება

იყიდება შპს "ალფა", რომელიც თბილისში ჩაჩავას ქუჩაზე მდებარეობს და მისი საქმიანობის სფერო მიკროელექტრონული ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოებაა. ობიექტი 3, 6 მილიონი აშშ. დოლარად არის შეფასებული. იყიდება შპს "ინდუსტრია" ქუთაისში, რომლის საწყისი ფასი 2 მილიონი აშშ დოლარია. აუქციონზე ბორჯომში, რობაქიძის ქუჩაზე მდებარე დაუმთავრებელი პოლიკლინიკის შენობასაც გამოიტანენ. მასზე დამაგრებული მიწის ფართის სიდიდე 13 348,09 კვ. მეტრია, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი - 5 მილიონი აშშ. დოლარი გაიყიდება რუსთაველის გამზირი-კვალის ქ. 31/13 მდებარე შენობის III სართულზე განთავსებული სამი არასაცხოვრებელი ფართი, რომელთა საწყისი ფასი 330, 550 ათასი და 1 მილიონ 280 ათასი აშშ. დოლარია. ასევე "ამბროლაურგაზი" (50 ათასი აშშ. დოლარი), შპს "პოლიმედსერვისი" (120 ათასი აშშ. დოლარი), აუქციონზე წარმოდგენილი იქნება სოფელ ველისციხეში მდებარე "დამარჩინეს" ღვინის ქარხნის ძირითადი საშუალებები და მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი ფასი 150 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ხე-ტყის ჭრის ლიცენზიის მოპოვებაზე ტენდერი ცხადდება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მარტვილის სატყეო მეურნეობაში ხე-ტყის ჭრის ლიცენზიაზე ტენდერს აცხადებს. ლიცენზიის საწყისი ფასი 1 მილიონ 1 ათასი ლარია, ხოლო მისი მოქმედების ვადა - 20 წელი. ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ხე-ტყის მაქსიმალური წლიური მოცულობა 10 400 კუბური მეტრია. აღსანიშნავია, რომ ლიცენზიანტმა არ უნდა შეზღუდოს მოსახლეობის მიერ პირადი მოხმარებისთვის მერქნული და არამერქნული რესურსების, მათ შორის, მცენარეთა ნაყოფით, კენკრით, ფიჩხითა და ნეკერით, ასევე სოკოებით და სამკურნალო ბალახებით მომარაგება. აუქციონი სამინისტროში 4 აგვისტოს ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# მეღვინეებმა ჩინეთის, საბერძნეთისა და თურქეთის ბაზრის ათვისება დაიწყეს

პირველი გვერდიდან



შპს "თელავის მარანის" დირექტორი **პაატა ცისკარიშვილი.**

**- რა მდგომარეობაა თქვენს კომპანიაში რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ?**

-ჩვენ რუსეთის ბაზრის დიდი წილი გვეჭირა. ბაზრის დაკარგვის შემდეგ ახალი ბაზრის ათვისებაზე ზრუნვა დავიწყეთ. ცოტა ხანში ღვინოს ჩინეთში, საბერძნეთში, თურქეთში გავყიდით.

**-რა რეაქცია აქვთ უცხოეთის ქვეყნებში რუსეთში მიღებულ გადაწყვეტილებაზე?**

-ყველანაირად ცდილობენ, ხელი შეგვიწყონ როგორც პროდუქციის გაყიდვების მიმართულებით, ასევე პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ რუსეთში მიღებული გადაწყვეტილება უსამართლო იყო და ქართული ღვინო ნამდვილად ხარისხიანია.

**-სულ ახლახან ბიუჯეტში ჩაიდო 700 000 ლარი მეღვინეების დასახმარებლად. როგორ ფიქრობთ, ეს თანხა რაში უნდა დაიხარჯოს?**

-კვლავ ქართული ღვინის უცხოეთში პოპულარიზაციის საქმეში. ეს ისეთი თანხა არ არის, რომ ქვეყანაში დაიხარჯოს და ამით რაიმე მნიშვნელოვანი გაკეთდეს.

**-ქვეყნების შერჩევა როგორ უნდა მოხდეს? თქვენ ახლა ახალი ბაზრების ათვისება ახსენეთ.**

-თუნდაც არსებულ ბაზრებზე (რუსეთი უკვევე დაკარგულია), სადაც ქართული ნაწარმი იყიდება.

**-ალბათ, ორიენტირი მაინც უნდა იყოს გამოკვეთილი.**

-ბოლო პერიოდში ჩვენი გაყიდვების მოცულბა გაიზარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში. ამ ქვეყნებში რუსეთში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ გაყიდვების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა.

**-თქვენი პროგნოზით, შემოდგომაზე ყურძნის ფასი მოიმატებს?**

-არა მგონია. შემცირებული წარმოების პირობებში ყურძენზე იმდენი მოთხოვნა არ იქნება, რომ ფასი გაიზარდოს.

**- გასულ წელს, ერთ-ერთ შეხვედრაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ყურძნის წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაყალბებისთვის რამდენიმე სახელმწიფო მოხელე დააკავეს. კვლავ დგას ქვეყანაში ფალსიფიკაციის პრობლემა?**

-დადგენილი წესით, მე ღვინოს ვერ გავყიდი, თუ ყურძნის წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მექნება.

**-ვინ გასცემს ამ საბუთს?**

-მოსახლეობაში "სამტრესტმა" დაარიგა დოკუმენტები, ვის რა ჯიშის ყურძენი აქვს, დაახლოებით რა რაოდენობის მოსავალს მიიღებს და რამდენს გაყიდის. არსებული დოკუმენტებით მეღვინეები ვაფორმებთ გლეხებთან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ხდება გარიგება. ვფიქრობ, არსებული გამოცდილებით, ღვინის ფალსიფიცირება ქვეყანაში არ უნდა მოხდეს.

ს.ს "თბილღვინოს" პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი.**

**- ბიუჯეტიდან მეღვინეებისთვის გამოყოფილი თანხის შესახებ თუ გაგიგიათ და როგორ ფიქრობთ, რაში უნდა დაიხარჯოს.**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი და კონკრეტული რეცეპტი არ მაქვს. ვვარაუდობ, რომ მთავრობა მეწარმეებთან კონსულტაციებს გაივლის და ურთიერთსასარგებლო ფორმატზე შევთანხმდებით. მაგრამ ეს საკითხი მაინც მთავრობის გადასაწყვეტია.

**- უკვე ამდენი პრობლემა შეგხვდათ. საინტერესოა თქვენი კონკრეტული მოსაზრება.**

- კარგი იქნება, თუ რთველის დაფინანსებაში დახარჯავენ - ყურძნის ღვინოდ გადამუშავებაზე და ღვინის ფულად გადაქცევაზე. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იმ კომპანიებს, რომლებმაც ბაზრის დაკარგვის მიუხედავად, ღვინის გაყიდვების მოცულობა გარკვეულწილად შეინარჩუნეს. უკეთესი იქნება, თუ ეს თანხა იმ კომპანიებზე დაიხარჯება, რომლებიც 100 პროცენტით რუსეთის ბაზარზე იყვნენ ორიენტირებულები, რადგან უახლოეს პერიოდში მათ ახალი ბაზრების ათვისება გაუჭირდებათ - ეს გრძელვადიანი მენეჯმენტის საქმეა.

**- წარმოებული პროდუქციის რა მოცულობას ყიდდით დაკარგულ ბაზარზე?**

- კომპანიამ შემოსავლების დაახლოებით 30 პროცენტი დაკარგა, მაშინ, როცა საწარმოს შემოსავლები ყოველწლიურად იზრდებოდა.

**- ამ ეტაპზე რომელ ქვეყანაში გაიზარდა გაყიდვების მოცულობა და ახალი ბაზარი სად აითვისეთ?**

- ჩვენ ღვინოს დაახლოებით 15 ქვეყნის სხვადასხვა ბაზარზე ვყიდით. გასაღების ძირითადი ბაზრებია ყაზახეთი, უკრაინა, ბელორუსი, ბალტიისპირეთი, აშშ, ევროპის რამდენიმე ქვეყანა. უცხოეთში ყველამ იცის, რომ რუსეთმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და ქართული ღვინის ხარისხი არაფერ შუაში იყო.

**- თქვენი პროგნოზით, ყურძნის ფასი მოიმატებს?**

- ვფიქრობ, არ უნდა მოიმატოს.

# BP-ს 10 წლისთავი საქართველოში

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას გუშინ დილით ეწვია. საღამოს პრემიერი პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა. ამ შეხვედრაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, სხვა საკითხებთან ერთად, ნოღაიდელმა და ალიევმა "შაჰ-დენიზის" პროექტიდან საქართველოს წილი ბუნებრივი აირის მოცულობის გაზრდაზეც ისაუბრეს. შეხვედრა კვლავაც კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მიღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს საქართველოს მთავრობა "შაჰ-დენიზის" კონსორციუმთან და აზერბაიჯანის მთავრობასთან ბოლო ერთი წელია ინტენსიურად აწარმოებს. გარკვეული შეთანხმება მხარეებს შორის უკვე მიღწეულია და მთავრობა იმედოვნებს, რომ ახალი წლიდან საქართველო განსაზღვრულზე მეტი გაზის მიღებას შეძლებს.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტის მონაწილე ქვეყნებს შორის გაფორმებული თავდაპირველი კონტრაქტის თანახმად, საქართველო წელიწადში გატარებული ბუნებრივი აირის 5 პროცენტს უფასოდ მიიღებს. ამავე ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ დამატებით 5 პროცენტს საქართველო შეღავათიან ფასად - 1000 კუბურ მეტრს 55 აშშ დოლარად მიიღებს. საწყის ეტაპზე ანუ 2007-2008 წლებში საქართველოს ამ მილსადენიდან წელიწადში სულ 200-250 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის მიღება შეუძლია, ხოლო 2011 წლიდან კი - 800 მილიონი კუბური მეტრის.

ენერგეტიკის სამინისტროს უკანასკნელი მონაცემებით, ქვეყნის გაზის მოხმარება წელიწადში 1 მილიარდ 200 მილიონ კუბურ მეტრს აღწევს. თუმცა, როგორც ეკონომიკური ექსპერტები და ენერგეტიკის მინისტრი ვარაუდობენ, უახლოეს მომავალში ბუნებრივი აირის მოხმარება ჩვენს ქვეყანაში 2-3 მილიარდამდე გაიზრდება. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც საქართველოს მთავრობა ასე დაჟინებით ითხოვს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან დამატებითი მოცულობის აირის მიღებას. ხელისუფლება ცდილობს, დაითანხმოს კონსორციუმი, რომ 2007-2012 წლებში საქართველოს წილი ყოველწლიურად 1 მილიარდ 500 მილიონი კუბურ მეტრ აირს შეადგენდეს.

საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პრეზიდენტები ამ საკითხზე კიდევ ერთხელ 13 ივლისს, ჯეიჰანში იმსჯელებენ. სექტემბერში საქართველო ტექნიკურად მზად იქნება, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენიდან ბუნებრივია აირი მიიღოს, თუმცა მილსადენის სრული ექსპლუატაცია წლის ბოლოს, დეკემბერში არის მოსალოდნელი. ამ მიზნით ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის საქართველოს გაზის ქსელთან დაკავშირებისათვის სამუშაოებს რუსთავი-გარდაბნის მონაკვეთზე აწარმოებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტის მონაწილე ორ სახელმწიფოს - აზერბაიჯანსა და თურქეთს გაზის საკუთარი მარაგები არასაკმარისი აქვს და ერთიც და მეორეც ბუნებრივ აირს რუსეთიდან ყიდულობს, რაც გაცილებით ძვირი ჯდება, ხოლო ერზერუმის რესურსი ბევრად იაფია, ძნელად სავარაუდოა, რომ საქართველოს მთავრობის ზემოთ ხსენებულ მოთხოვნას პროექტის მონაწილე ქვეყნები დათანხმდებიან. ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე მაინც ეს თითქმის გამორიცხულია.

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის რესურსის ხელახალი გადანაწილებისას, სამი ქვეყნის პრეზიდენტებს ეროვნული და რეგიონული ინტერესების გათვალისწინებას ურჩევს BP-ის ახალი გენერალური მენეჯერი ჰიუ მაკდაუელი, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. **"BP ამ პროექტში ტექნიკური ოპერატორია და არა კომერციული. ვინაიდან პროექტის მონაწილე ქვეყნებს შორის უკვე დადებულია ხელშეკრულება ბუნებრივი აირის განაწილების შესახებ, თუკი მასში რაიმე ცვლილებაა საჭირო, ეს ამ ქვეყნებმა ერთობლივად, საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღონ, ისე, რომ არც ერთი მათგანი არ დაზარალდეს. იმ ფონზე, როდესაც გაზის საბაზრო ფასი მატულობს და არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა ბუნებრივი აირის ტარიფი საქართველოს და აზერბაიჯანს კიდევ უფრო გაუზარდოს, ერზერუმის იაფი რესურსი მეტად მნიშვნელოვანია. თუ ქვეყნები შეთანხმდებიან და წავლენ დათმობაზე, რომ საქართველომ დამატებითი აირი მიიღოს, ჩვენ მზად ვართ, ტექნიკური რეკომენდაციები წარმოვადგინოთ,"** - განუცხადა ჰიუ მაკდაუელმა ჟურნალისტებს გუშინ სასტუმრო "თბილისი-მერიოტში".

ეს მედიასთან მისი პირველი შეხვედრა იყო. BP-ს ახალი გენერალური მენეჯერი საქართველოში ჰიუ მაკდაუელი სულ ცოტა ხნის წინ დაინიშნა. მას ენერგოპროექტებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება გააჩნია. წლების განმავლობაში მაკდაუელი სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკის და კავკასიის ქვეყნებში მუშაობდა.

"24 საათის" შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს ბრიტანული ნავთობკომპანია საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობას და თუ როგორი პარტნიორია BP-სთვის ახალი ხელისუფლება, ჰიუ მაკდაუელი დიპლომატისთვის დამახასიათებელ პასუხს სცემს: **"თქვენი ქვეყნის მთავრობასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა. მართალია, რევოლუციის შემდეგ ამ ურთიერთობებში გარკვეული კორექტივები შევიდა, თუმცა ჩვენ მაინც კმაყოფილნი ვართ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით. დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველოს მთავრობაც ჩვენზე იგივეს იტყვის. თუმცა არის გარკვეული მომენტები, რომელიც თქვენი ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს."**

გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი მიზეზი BP-ს საქართველოში მოღვაწეობის 10 წლისთავს უკავშირდებოდა. ზუსტად ათი წლის წინ BP ერთ-ერთი პირველი უცხოელი ინვესტორი იყო, რომელიც საქართველოში შემოვიდა და არცთუ სახარბიელო ბიზნესგარემოში დაიწყო თავისი საქმიანობა. ბრიტანული ნავთობკომპანიის საქართველოში მოღვაწეობის გასულ 10 წელს ახალი გენერალური მენეჯერი ნაყოფიერს და წარმატებულს უწოდებს და მზად არის, საქმიანობის გაფართოების მიზნით ახალი პროექტებიც განახორციელოს.

**"უახლოესი 5 ათეული წელი BP საქართველოს დატოვებას არ აპირებს,"** - ამ შინაარსის განცხადება ჰიუ მაკდაუელმა გააკეთა. მისი თქმით, ბრიტანული ნავთობკომპანია საქართველოში მხოლოდ მილსადენების პროექტებით არ შემოიფარგლება და ის სხვა სფეროებსაც მოიცავს. ტოგორც მაკდაუელი ამბობს, BP მომავალში სოციალურ პროექტებზე იქნება ორიენტირებული.

მისივე განცხადებით, 2006 წელი BP-სთვის და მისი პარტნიორებისთვის, საქართველოსთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია. **"ჩვენს მიერ უკვე განხორციელებულ პროექტებს მილიონობით შემოსავალი მოაქვს. მხოლოდ ბაქო-სუფსის ტერმინალი, 1998 წლიდან, საქართველოს წლიწადში 10 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალს აძლევს. "შაჰდენიზის" გაზსადენიდან კი თქვენი ქვეყანა საწყის ეტაპზე 8-9 მილიონ დოლარს მიიღებს. თუმცა შემდგომ წლებში ეს ციფრი 25-26 მილიონამდე გაიზრდება,"** - დასძინა მან.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანული ნავთობკომპანიის მიერ საქართველოში განხორციელებული ორი ყველაზე მსხვილი პროექტის ღირებულება, საერთო ჯამში, 4 მილიარდ აშშ დოლარამდე აღწევს, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის - 2 მილიარდ 950 მილიონი, ხოლო ბაქო-თბილისის-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის - 1 მილიარდი აშშ დოლარი.

## ავიაბილეთები, შესაძლოა, გაძვირდეს

ევროპარლამენტი განიხილავს მოხსენებას, რომლის თანახმად, ავიაკომპანიებს შეღავათები მოეხსნებათ და საწვავზე დამატებითი გადასახადი დაწესდება. მოხსენების ავტორის, ევროპარლამენტის წევრისა და ბრიტანეთის მწვანეთა პარტიის წარმომადგენლის, კეროლაინ ლუკასის თქმით, ავიაინდუსტრიამ თამაშის იმ წესებით უნდა ითამაშოს, რომლითაც ტრანსპორტის სხვა სახეობებმა და გადაიხადოს იმ ზარალის გამო, რომელსაც გარემოს აყენებს. დღეს მოქმედი შეთანხმების მიხედვით, საერთაშორისო საავიაციო გადაზიდვები მსოფლიო მასშტაბით ნულოვანი განაკვეთით იბეგრება. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, ახალი კანონმდებლობა ავიაბილეთებზე ფასის ზრდას გამოიწვევს. BBC-ს ინფორმაციით, ავიაცია ერთ-ერთ ყველაზე სწრაფგანვითარებადი სექტორია. ვარაუდობენ, რომ შემდგომი 30 წლის განმავლობაში ავიაგადაზიდვების მოცულობა თითქმის სამჯერ გაიზრდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნავთობის ფასი დაეცა

საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, მკვეთრად შემცირდა. ერთი ტონა ბენზინი "პრემიუმის" ფასი 744.75 დოლარით განისაზღვრა, რაც 3.25 დოლარით ნაკლებია წინა დღეს დაფიქსირებულ ფასებზე. 16 დოლარით დაიკლო დიზელის ფასმა და 617 დოლარი შეადგინა. ხოლო ნავთის ღირებულება 682 აშშ დოლარით განისაზღვრა (9.75 დოლარით ნაკლები). ფასების ცვლილება დაფიქსირდა მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ლონდონის სანავთობო ბირჟაზე 1 ბარელი IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ღირებულება 72,51 დოლარით განისაზღვრა, რაც 88 ცენტით ნაკლებია წინა კვირას დაფიქსირებულ მაჩვენებელზე. შავი ოქროს ფასის შემცირება ჯეიჰანის ნავსადგურის ტერმინალებში ერაყის ჩრდილოეთ რაიონებიდან ნავთობის მიწოდების განახლების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა. თურქეთის ჩრდილო ნავთობსადენით ექსპორტი მას შემდეგ განახლდა, რაც ერაყის ენერგეტიკის სამინისტრომ ქალაქ კირკუკის რაიონში მდებარე მაგისტრალების უმეტესი ნაწილი აღადგინა. აღსანიშნავია, რომ ერაყული ნავთობის ექპორტმა 4 ივლისს ქვეყანაში ამერიკული ჯარების შეყვანის შემდეგ მაქსიმალურ ოდენობას მიაღწია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "გაერთიანებული ქართული ბანკი" სახელწოდებას იცვლის

"გაერთიანებული ქართული ბანკი" სახელწოდებას იცვლის, ამ საკითხთან დაკავშირებით 21 ივლისს აქციონერთა საერთო კრება შედგება. როგორც ბანკში განაცხადეს, გადაწყვეტილება რუსეთის ბანკის "ვნეშტორგბანკის" ხელმძღვანელობამ მიიღო, რომელიც "გქბ-ის" აქციათა საკონტროლი პაკეტის მფლობელია. ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა სახელწოდებით "მონათლავენ" ბანკს. ახალი ბრენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, თუმცა ყველა მათგანში სიტყვა "ვნეშტორგბანკი" ფიგურირებს. "გაერთიანებული ქართული ბანკი" 1995 წლის 7 აპრილს სამი ყოფილი სახელმწიფო ბანკის - "ინდუსტრიაბანკის", "საქექსიმბანკის" "შემნახველი ბანკის" - გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა. 2005 წლის იანვარში "გაერთიანებულ ქართული ბანკის" ახალი პარტნიორი რუსეთის უმსხვილესი ბანკი "ვნეშტორგბანკი" გახდა, მან "გქბ"-ს აქციების 51 პროცენტი შეისყიდა. რაც შეეხება ახალ მფლობელს, "ვნეშტორგბანკი" ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკია რუსეთში, რომლის სააქციო კაპიტალის 99,9 პროცენტი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას ეკუთვნის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ირანში ბენზინს ბარათებით იყიდიან

RCCnews-ის ინფორმაციით, 2006 წლის 23 სექტემბრიდან ირანი ბენზინის იმპორტს შეწყვეტს. ირანის ნავთობის მრეწველობის მინისტრის კაზემ ვაზირი ჰამანეს განცხადებით, ირანში ბენზინი, სავარაუდოდ, ბარათებით გაიცემა და, შესაბამისად, საწვავის გაყიდვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეიზღუდება.

აღსანიშნავია, რომ ირანი მსოფლიოში ნედლი ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია, თუმცა, მას საკმარისი ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეები არ გააჩნია. ამის გამო ქვეყანაში საწვავი უცხოეთიდან, მათ შორის, აზერბაიჯანიდან, შედის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ფრანგული ბიზნესის "რვაფეხა"

პირველი გვერდიდან

## საიდუმლოდ გამდიდრებული

ფრანსუა პინო დაიბადა საფრანგეთის პროვინცია ბრეტანში 1936 წელს. მამამისი მეტყევე იყო და ოჯახს გაჭირვებით არჩენდა. პატარა ფრანსუა კი მეტად თავისნათქვამა, თანაც ეგოისტი ბავშვი გახლდათ და მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მოსწონდა და ხეირს მოუტანდა. როგორც ჩანს, სწავლა ამგვარი არ იყო და სკოლის გაჭირვებით დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებაზე არც უფიქრია.

პინოს არც მუშაობა უყვარდა. რამდენიმე წლის განმავლობაში მან ბრეტანსა და პარიზში უამრავი სხვადასხვა სახის დროებითი სამუშაო გამოიცვალა და ყველა უფროსთან ჩხუბი მოასწრო. ფრანსუა არც ნათესავებს ემადლიერებოდა, რომლებიც გამუდმებით ჭკუას არიგებდნენ და ურჩევდნენ, ცხოვრება უკეთ მოეწყო. ერთადერთი, რაც მან მათი ქადაგებებიდან შეიგნო, ის გახლდათ, რომ ნებისმიერ საქმეში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა.

მოგვიანებით, უკვე გამდიდრებული პინო ტრაბახობდა, ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ჩემს კვალიფიკაციას ადასტურებს, ავტომობილის მართვის უფლებააო. თუმცა მაშინ სიცილის ხასიათზე ნაკლებად იყო და თავის ქვეყანაში რომ ვერაფერს გახდა, ფულის საშოვნელად იმ დროს ჯერ კიდევ საფრანგეთის კოლონია ალჟირში გაემგზავრა.

რას აკეთებდა სამი წლის განმავლობაში მომავალი მილიარდერი სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლმოდებულ ქვეყანაში, არავინ იცის. მისი არაკეთილმოსურნეები ამბობენ, რომ არაბულ ქვეყანაში პინო იარაღის და ნარკოტიკების კონტრაბანდას ეწეოდა, თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთები არ არსებობს. ასე იყო თუ ისე, 27 წლის პინო ალჟირიდან გამდიდრებული და საკუთარ თავში დარწმუნებული დაბრუნდა. მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, საიდუმლოდ ნაშოვნი ფული როგორ უნდა გამოეყენებინა - კომპანია Pinault Group-ი დააარსა და ხის მასალითა და ნაკეთობებით ვაჭრობას შეუდგა.

## შირაკის მხსნელი

კარგა ხნის განმავლობაში პინო ამ საქმიანობას ეწეოდა და თან საჭირო კავშირებს ამყარებდა. მაგალითად, ჟაკ შირაკს დაუმეგობრდა. 1973 წელს პინომ საოცარი ინტუიცია გამოავლინა: საფონდო ბირჟის ჩავარდნამდე ცოტა ხნით ადრე მან Pinault Group-ი ბრიტანელ ინვესტორებს 30 მილიონ დოლარად მიჰყიდა და ერთი წლის შემდეგ 5 მილიონ დოლარად უკან გამოისყიდა. ასე რომ, მან მეტი იშოვნა, ვიდრე წინა 5 წლის განმავლობაში. პინოს ამგვარი თამაში ძალიან მოეწონა, თუმცა, გადაწყვიტა, მეტად აღარ გაერისკა.

1976 წელს პინომ შირაკს ურჩია, მატარებლით, რომელშიც შემდეგ ტერორისტებმა ყუმბარა ააფეთქეს, არ ემგზავრა. ამიტომაც, საფრანგეთის რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტი პინოს თავის მხსნელად მიიჩნევს. როგორც ამბობენ, სწორედ წარმატებული ჩინოვნიკის ხელშეწყობით გაიფურჩქნა Pinault Group-ის ბიზნესი.

ამგვარად, 1988 წლისათვის თავგადასავლების ახალგაზრდა მაძიებელი პატივცემულ, საშუალო ბიზნესმენად იქცა. 52 წლის პინოს საქმე მშვენივრად მისდიოდა, ერთგული მეუღლე და 4 შვილის მზრუნველი მამა იყო. სწორედ ამ დროს გადაწყვიტა მან, რესპექტაბელურობისათვის ზურგი ექცია და ძალიან მდიდარი ადამიანი გამხდარიყო.







## მტრული შთანთქმები

1989 წლის ბოლოს ფრანგულ-აფრიკული სავაჭრო კავშირის CFAO-ს თავმჯდომარემ პოლ პაოლიმ პინოს აქციების 20 პროცენტის შეძენა შესთავაზა. ისიც დათანხმდა, მაგრამ მადა გაეხსნა და რამდენიმე თვეში CFAO თავის ჯგუფს შეუერთა. ძველი დირექტორები, პაოლის ჩათვლით, გააძევა და Pinault Group-მა სავაჭრო კავშირის საქმე - აფრიკაში ელექტროხელსაწყოების შეტანა მშვიდად გააგრძელა.

ამგვარი მტრული შთანთქმა პინოს ძალიან ემა და ამ სტილში გაგრძელება და, თანაც, ჩინოვნიკებთან კავშირების გამოყენება გადაწყვიტა. 1991 წელს საფრანგეთის სახელმწიფო ბანკმა Credit Lyonnais-მა გადაწყვიტა, ამერიკული სადაზღვევო კომპანია Execetive Life ეყიდა. მაგრამ ამერიკული კანონები ბანკებს სადაზღვევო კომპანიების 25 პროცენტზე მეტის შეძენას უკრძალავდა. ჰოდა, Credit Lyonnais-მა გადაწყვიტა, საქმეში რამდენიმე ფრანგული ფირმა, მათ შორის - პინოს კუთვნილი Artemis, შუამავლის სახით ჩაერთო და Executive Life მათი მეშვეობით შეეძინა. ამგვარად პინომ 2 მილიარდი დოლარით იხეირა და სწორედ ეს ფული იქცა მისი მომავალი იმპერიის საფუძვლად. აქვე უნდა ითქვას, რომ აშშ-ს მთავრობამ დარღვევის შესახებ მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გაიგო. ამერიკელებს კიდევ ხუთი წელი დასჭირდათ, რომ პინოსათვის სასამართლოს მეშვეობით მხოლოდ 185 მილიონი დოლარი გადაეხდევინებინათ. ამ კონფლიქტში შირაკი მეგობარს ბოლომდე იცავდა.

ნაშოვნი ფულით პინომ 1991 წელს სავაჭრო ქსელი Conforama, ერთი წლის შემდეგ კი პარიზის უმსხვილესი უნივერმაღი Printemps-ი შეიძინა. ცხადია, მაშინვე ორივეს ხელმძღვანელობა თავისი ხალხით შეცვალა. 1994 წელს პინომ ხელში ჩაიგდო კიდევ ერთი სავაჭრო ქსელი La Redoute და წიგნის მაღაზიების ქსელი Fnac-ი. ამ დროისათვის მის კომპანიას უკვე Pinault-Printemps-Redoute (PPR) ერქვა და, 16 მილიარდი დოლარის კაპიტალიზაციით, საფრანგეთში უმსხვილესი სავაჭრო ორგანიზაცია იყო.

ამასობაში კი პინო ყიდვას აგრძელებდა. იგი თითქოს 25 წლის განმავლობაში ხით ვაჭრობისათვის რევანშის აღებას ლამობდა და ყველაფერს ნთქავდა: ტრიკოტაჟის ფაბრიკა Prcanta, ფარმაცევტული კომპანია SCOA, სკანდინავიური სავაჭრო კომპანია Ellos-ი, საოფისე ნივთებით მოვაჭრე კომპანიები Guilbert-ი და Niceday. აგრესიული მეთოდების გამო მას "რვაფეხა" შეარქვეს.

## ფუფუნების სამყაროს მასპინძელი

ახალი ფრანგი ნუვორიში თანდათანობით არისტოკრატული გასართობებით, მოდით და ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერობით დაინტერესდა. ეს უკანასკნელი მის ჰობად იქცა. პინო რეგულარულად ესწრებოდა გამოფენებს, ცნობილ კოლექციონერებს და ექსპერტებს ხვდებოდა.

1998 წელს მან ხელოვნების ბაზრის დაცემით ისარგებლა და Christi's-ს აუქციონი იყიდა, რომელიც ამ სფეროში კიდევ ერთი ბრიტანული აუქციონის Sotheby's-ის შემდეგ სიდიდით მეორეა და მასთან ერთად ხელოვნების ნიმუშთა ბაზრის 90 პროცენტს აკონტროლებს. 222 წლის განმავლობაში უცხოელი პირველად შეიჭრა ამ წმინდა ბრიტანულ ბიზნესში. თუმცა, ამის გამო პინოს თავისი სტილი არ შეუცვლია. მან აუქციონის შტაბ-ბინა ბუტიკებიან სასტუმროდ აქცია და მმართველობის სხდომების ფრანგულ ენაზე ჩატარება დააწესა.

ფრანგი ასევე უხეშად და არაჯენტლმენურად მოექცა თავისი ახალი ბიზნესის "შიდა სამზარეულოს". საქმის გადაცემისას მან შეიტყო, რომ 1992 წლიდან Sotheby's-ის და Christi's-ის კლიენტების საკომისიოს რაოდენობა შეთანხმებული ჰქონდათ, კონკურენტის ჩაძირვა გადაწყვიტა და ყველაფერი პოლიციას უამბო. შედეგად, დიდი სკანდალი მოხდა, Sotheby's-ი 45 მილიონი დოლარით დააჯარიმეს და მისი ხელმძღვანელები დააპატიმრეს. Christi's-ი კი "მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობის გამო" დაუსჯელი დარჩა. შედეგად, პინოს ბიზნესი გაიფურჩქნა და, მართალია, კონკურენტს ვერ გაუსწრო, მაგრამ წამოეწია.

კიდევ უფრო უხეშად მოიქცა იგი მაღალი მოდის სამყაროში. 1999 წელს პინომ უმდიდრეს ფრანგს ბერნარ არნოს ცხვირწინ ააცალა Gucci Group-ი, რომლის თავკაცები ჯერ დაპირებებით მოხიბლა, ხოლო როცა კომპანია ხელში ჩაიგდო, უმალ გააპანღურა. ამის შემდეგ არნო და პინო დაუძინებელ მტრებად იქცნენ.

გარდა ამისა, პინომ ხელში ჩაიგდო განთქმული სავაჭრო მარკა Yves Saint Laurent-ი და საიუველირო კომპანია Boucheron-ი, რომლებშიც, ცხადია, ასევე თავისი წესრიგი დაამყარა.

## ვაზის, ფეხბურთის და ხელოვნების მოყვარული

შარშანწინ პინომ თანდათანობით საქმეებისაგან ჩამოშორება გადაწყვიტა. თავისი იმპერია მან ოთხ შვილს გაუნაწილა, PPR-ის ხელმძღვანელობა კი უფროს ვაჟს ფრანსუა-ანრის გადაულოცა. როგორც ამბობენ, იგი მამის მეთოდებს მშვენივრად ფლობს და მისი საქმის კარგი გამგრძელებელია.

თავად პინო მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ვაზის ზვრებს "შატო ლატურს", "მარინის" თეატრს და საფეხბურთო კლუბ "რენს" პატრონობს, თავისუფალ დროს კი მისი კუთვნილი ოთხი უძველესი ციხე-კოშკიდან ერთ-ერთში ატარებს.

გარდა ამისა, ფრანსუა პინო კვლავინდებურად აქტიურ კოლექციონერად რჩება, განსაკუთრებით, აბსტრაქცია იზიდავს და უამრავ ნახატს ფლობს. მის კოლექციაში შედის ივ კლეინის, ედგარ დეგას და პოლ სეზანის უიშვიათესი ნაწარმოებები. მონფორ-ლამორის ციხე-კოშკის ეზო კი მან ამერიკელი რიშარ სერას მიერ შექმნილი რკინის ქანდაკებებით მორთო.

ასე, ვაზის, ფეხბურთის და ხელოვნების სამყაროში ტკბილად ატარებს სიბერეს ფარულად და სკანდალებით გამდიდრებული ფრანსუა პინო.

# Bank of China შანხაის ბირჟაზე წარმატებებს აღწევს

ჩინური ბანკის Bank of China-ს აქციები შანხაის საფონდო ბირჟაზე გასვლის შემდეგ 30 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად Bank of China-ს აქციების ასეთმა ზრდამ ჩინეთის ამ უმსხვილეს კრედიტორს 2,5 მილიარდ დოლარიანი მოგება მოუტანა.

ჩინელი და უცხოელი ინვესტორები ძველებურად დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას, განსაკუთრებით კი - ბანკებს და მსხვილ კომპანიებს.

Bank of China-მ ჰონკონგის საფონდო ბირჟაზე აქციები 2006 წლის მაისში განათავსა, რამაც ბანკს ამ მცირე პერიოდში 9.7 მილიარდი დოლარი მოუტანა.

შანხაის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის დაწყებისთანავე Bank of China-ს აქციების ფასი 3,99 იენამდე ავიდა, რაც, ადრინდელ მოგებებთან შედარებით, 30 პროცენტით მეტია.

შანხაის საფონდო ბირჟის წყალობით Bank of China-ს საბაზრო ღირებულებამ 710 მილიარდ იენს (88,8 მილიარდ დოლარს) მიაღწია. კაპიტალიზაციის თვალსაზრისით, ჩინეთის ბანკმა შანხაის ბირჟაზე უმსხვილესი კომპანიის სტატუსი მიიღო. ბაზარზე, დანარჩენ კომპანიებთან მიმართებაში, Bank of China-ს წილი 18,5 პროცენტია. ბანკის პოზიციების გამყარებას ხელი ჩინეთის ეკონომიკის სწრაფმა ზრდამაც შეუწყო. 2005 წლის ბოლოს ჩინეთის ბანკის აქტივების ზრდამ 593 დოლარს მიაღწია.

მოსალოდნელია, რომ 2006 წლის ბოლოსთვის Bank of China-ს მოგება კიდევ 25 პროცენტით გაიზრდება და 32,2 მილარდ იენს გაუტოლდება.

## ამერიკის ეკონომიკა წინ ნელი ტემპით მიიწევს

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკის შემაფერხებელი ახალი ფაქტორები გაჩნდა. ექსპერტები ივნისის თვეში სამრეწველო წარმოების შენელებული ტემპით სვლაზე ოფიციალურად საუბრობენ. ქვეყნის სამრეწველო ორგანიზაციების აქტივების ინდექსები გასულ თვეში 53,9 პუნქტით შემცირდა. თუმცა ექსპერტების ნაწილი ვარაუდობდა, რომ აქტივები 55 პუნქტამდე გაიზრდებოდა.

ეკონომიკის ზრდის შენელებასთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამშენებლო სფეროებში გასავლის კლებაც მოსალოდნელია. მაისის თვეში ეს მაჩვენებელი, წინა თვეებთან შედარებით, 0,4%-ით შემცირდა.

ადმინისტრაციის შეფასებების თანახმად, 2006 წლის პირველ კვარტალში ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალი იყო, კონკრეტულად კი, ეს მაჩვენებელი 5,6%-ს შეადგენდა. ექსპერტთა ნაწილი იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამ პროცესის შენარჩუნება, ფაქტობრივად, გამორიცხულია. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ქვეყანაში უძრავ ქონებაზე ფასების შეფერხების პროცესი უკვე დაწყებულია.

უკანასკნელი წლების მანძილზე, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ბუმი ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური ჯანმრთელობის მთავარი ელემენტი იყო. ექსპერტები აღნიშნულ პრობლემაში ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკას ადანაშაულებენ. მათ იპოთეკურ კრედიტებზე საპროცენტო დანამატები საგრძნობლად გაზარდეს, რამაც უძრავი ქონების ბაზარზე სიტუაცია სერიოზულად დაამძიმა.

## ევროკავშირს რუსეთთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა სურს

რუსეთი და ევროკავშირი უახლოეს მომავალში თავისუფალ სავაჭრო ზონას შექმნის. შეთანხმება, რომელსაც ისინი გააფორმებენ, პირველ რიგში, მოქმედ შიდასავაჭრო რეჟიმს გააუქმებს. თავისუფალი სავაჭრო ზონა იმპორტზე ტარიფების გაუქმებას ითვალისწინებს. ეკონომისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპელი პოლიტიკოსები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა კიდევ უფრო გაზარდონ რუსეთის დაინტერესება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით. აქ კი გადამწყვეტ როლს ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებს. ევროკავშირსა და რუსეთს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ ევროკავშირის ჩინოვნიკები უკვე ღიად საუბრობენ. ევროკომისია მომავალი ექვსი თვის განმავლობაში რუსეთის მხრიდან თანხმობის მოლოდინშია.

ინგლისური გაზეთის Financial Times-ის ინფორმაციით, ევროკომისიის წარმომადგენელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ აღნიშნული საკითხის გარშემო მოლაპარაკებები ფინეთის მაღალჩინოსნებთან 2006 წლის 1 ივლისს დაასრულა.

ბრიუსელში ვარაუდობენ, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროცესი 2006 წლის ბოლოსთვის დასრულდება. ევროკომისიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ძირითადი საკითხების განხილვა ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი. "ევროკომისია-რუსეთის" სამიტზე მონაწილეობას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების უმაღლესი პირები მიიღებენ. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის მთავარი მიზანი სავაჭრო პირობების ლიბერალიზაციაში მდგომარეობს. მისი შექმნა, პირველ რიგში, პარტნიორ ქვეყნებში საიმპორტო ტარიფებს გააუქმებს.

ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ერთიანი სავაჭრო ზონის შექმნის გზაზე გარკვეული პრობლემები გამორიცხული არ არის, მაგრამ მათ იმედი აქვთ, რომ შეთანხმებას უახლოეს მომავალში მიაღწევენ.

ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობა აფერხებს. ასე რომ, მანამ, სანამ რუსეთი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას არ მიიღებს, ერთიანი სავაჭრო ზონის შექმნაზე ფიქრი ნაადრევი იქნება. მათივე აზრით, ევროპელი პოლიტიკოსები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა რუსეთი ამერიკასთან შეთანხმების საკითხზე კიდევ უფრო დააინტერესოს. ექსპერტები ევროპელი მაღალჩინოსნების ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ერთიანი სავაჭრო ზონის შექმნა 2006 წლის ბოლოსთვის დასრულდება, აბსურდულს უწოდებენ.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. საბირჟო მოედნებზე არსებულ განწყობაზე მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გაშვებამ. ირანის ბირთვულ პროგრამასთან ერთად დაძაბულობის კიდევ ერთი კერის წარმოშობა მსოფლიო ეკონომიკას ნამდვილად არ წაადგება. გარდა ამისა, ინვესტორთა განწყობა გააუარესა ნავთობის გაძვირებამ და კორპორაციულმა სიახლეებმაც. ცნობილი გახდა, რომ ივნისში ამერიკული ავტომშენებელი კომპანიების გაყიდვების მოცულობა მცირდება. კერძოდ, Ford-ის გაყიდვის მოცულობამ 7 პროცენტით იკლო, General Motors-ისამ - 26 პროცენტით, Dimlerchrysler-ის გაყიდვების მოცულობა კი 13 პროცენტით შემცირდა. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,61 პროცენტით, 11.158,48 პუნქტამდე შემცირდა. 0,96 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.169,45 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,61 პროცენტით, 1.272,37 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასმა ისევ მოიმატა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brenტ-ის მარკის ნავთობი 73,74 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,98 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა. ნავთობის გაძვირების მიზეზი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ბალისტიკური რაკეტების გაშვება და მსოფლიოში დაძაბულობის ახალი კერის წარმოშობის საშიშროება გახლდათ. გარდა ამისა, ნავთობის ბაზარზე კვლავინდებურად გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთსა და ნიგერიაში არსებული არასტაბილური ვითარება.

## კორეულმა რაკეტებმა ძვირფასი ლითონები გააძვირა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლო ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, ოქრო 2,7 პროცენტით გაძვირდა და 1 უნციის ფასმა 632,5 დოლარი შეადგინა, ვერცხლის ფასმა კი 3,8 პროცენტით მოიმატა და 11,335 დოლარი/უნციას მიაღწია. ძვირფას ლითონებზე ფასების მატების მიზეზი ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გაშვება გახდა. მოგეხსენებათ, გეოპოლიტიკური დაძაბულობის ზრდისას ოქრო საიმედო კაპიტალდაბანდებად განიხილება. გარდა ამისა, მის ფასზე გავლენას ახდენს ნავთობის გაძვირებაც. ამავე მიზეზით მოიმატა ვერცხლის ფასმაც, რომელიც ოქროსა და ნავთობის ბაზარზე მიმდინარე მოვლენებზეა დამოკიდებული.

## GM-მა ჩინეთში ავტომობილების გაყიდვა გაზარდა

ამერიკული ავტომშენებელი კომპანია General Motors-ი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაყიდული ავტომობილების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა. მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში კომპანიამ ჩინეთში 453822 ავტომობილი გაყიდა, რაც 47 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემები. ამგვარად, ამერიკულმა კომპანიამ შარშან მოპოვებული პოზიციების გამყარება შეძლო, როცა უკან ჩამოიტოვა ჩინეთში ავტომობილების გაყიდვის მიხედვით ლიდერი, გერმანული კონცერნი Wolksvagen AG-ი. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანიამ ჩინეთში შექმნა ერთობლივი საწარმო Shangai Automotive Industry Corp (SAIC). General Motors-ი ჩინეთში მსუბუქ ავტომობილებს, ძირითადად, Chevrolet-ის მარკით უშვებს, ავტობუსებს და სატვირთო ავტომობილებს კი - Wuling-ის მარკით. Volsvagen Group China კი ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად Volksvagen-ის და Audi-ის სხვადასხვა მოდელებს უშვებს. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ძალიან გაიზარდა ჩინეთში ავტომობილების გაყიდვის მოცულობა. მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ამ ქვეყანაში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 44 პროცენტით მეტი ავტომობილი გაიყიდა.

## Airbus-ის აქციონერი კომპანიის შემოწმებას ჩაატარებს

ბრიტანულმა საიარაღო ჰოლდინგმა BAE Systems-მა ევროპის უმსხვილესი თვითმფრინავმშენებელი კომპანიის Airbus-ის ფინანსური მდგომარეობის დამატებით შემოწმება გადაწყვიტა. აღნიშნული აუდიტის ჩატარების მიზეზი ის გახლავთ, რომ BAE Systems-ი მის მფლობელობაში არსებული Airbus-ის აქციების 20 პროცენტის ავიაგიგანტის უმსხვილესი აქციონერისათვის EADS-ისათვის მიყიდვას აპირებს. ახალი შემოწმება, რომელიც აგვისტოს ბოლომდე ჩატარდება, აუცილებელი Airbys-ში შექმნილი კრიზისის ფონზე გახდა, რომელიც A380-ის მარკის ლაინერის წარმოების პროცესის ჩავარდნამ განაპირობა. 2 ივლისს BAE Systems-ის მფლობელობაში არსებული აქციები ბანკმა Rothschild-მა 2,75 მილიარდ ევროდ (3,5 მილიარდი დოლარი) შეაფასა, თუმცა, მას შემდეგ Airbus-ის აქციები დაეცა.

## ციფრული კამერები გაიაფდება

კომპანია Nikon-ის წარმომადგენლების ინფორმაციით, ციფრული კამერების გაყიდვა 35 პროცენტით გაიზარდა. კომპანიის ფინანსური დირექტორის მაკოტო კიმურას აზრით, DSLR-კამერების პოპულარობა იმდენად დიდია, რომ მსგავსი ფოტოაპარატების ღირებულება უახლოეს მომავალში საგრძნობლად დაიკლებს. მაკოტოს პროგნოზებზე დაყრდნობით, უახლოესი ორი წლის მანძილზე ციფრული ფოტოკამერების საშუალო ღირებულება ჯერ 500 დოლარამდე, ხოლო შემდგომ 300 დოლარამდე ჩამოვა. შეგახსენებთ, რომ როცა ბაზარზე DSLR-ის კამერები პირველად გამოჩნდა, მათი ღირებულება 1000 დოლარს აღემატებოდა. დღეს კი ასეთი ფოტოკამერები 700 დოლარი ღირს. ციფრული ფოტოგრაფიისადმი გაზრდილი ინტერესისა და ბაზრიდან ფირებიანი აპარატურის გაძევების ფონზე, კომპანია Nikon-ის ფინანსური დირექტორის პროგნოზი რეალურ საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ უნდა იყოს. 2005 წლიდან მოყოლებული, ციფრული ფოტოაპარატების ბაზარზე ლიდერულ პოზიციებზე კომპანია Canon-ი მყარად დგას. ამ კომპანიის წილი ბაზარზე 28,3 პროცენტს შეადგენს. მის კონკურენტ კომპანიებად თამამად შეგვიძლია დავასახელოთ Panasonic-ი, Sony და მისი სულ ახლახან დაარსებული ქვეკომპანია Alpha.




## "საირმეს" მინერალური წყლის ჩამოსხმის 25-წლიანი ლიცენზია გაიყიდა

*საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამართული აუქციონის შედეგად "საირმეს" მინერალური წყლის ჩამოსხმის 25-წლიანი ლიცენზია შპს "საირმეს მინერალურმა წყლებმა" მოიპოვა. ამის გამო კურორტ საირმის მოსახლეობა და დამსვენებლები პროტესტს გამოთქვამენ. თუმცა უკმაყოფილების მიზეზს ვერ ხედავენ რაიონის გამგეობაში.*

შპს "საირმეს მინერალურმა წყლებმა" აღნიშნულ ლიცენზიაში სამინისტროს 480 ათასი ლარი შესთავაზა. განაცხადების მიღება 15 მაისიდან 15 ივნისამდე მიმდინარეობდა. ლიცენზიის საწყისი ფასი 400 ათას ლარს შეადგენდა.

"საირმეს მინერალური წყლების" გარდა აუქციონში მონაწილეობისთვის განაცხადი ფარმაცევტულ კომპანიას "ჯი-პი-სი" ჰქონდა შეტანილი, რომელმაც საწყის ფასზე 10 პროცენტით მეტი - 440 ათასი ლარი შესთავაზა სამინისტროს.

როგორც "საირმეს მინერალური წყლების" დირექტორმა ვახტანგ კოპალეიშვილმა "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" განუცხადა, "საირმეს" მინერალური წყლები უახლოეს წლებში დაიმკვიდრებენ თავის ადგილს ქართული მინერალური წყლების ბაზარზე. მისივე განცხადებით, "საირმეს" ბაზრის 10 პროცენტის დაკავება შეუძლია.

ლიცენზია საირმის წყლის მთლიან მარაგზე ერთი კომპანიის მფლობელობაში გადავა. აქამდე მინერალურ წყალზე 3 ლიცენზია იყო გაცემული, აქედან ერთ მფლობელს ლიცენზია ვადამდე ჩამოერთვა, ხოლო ორს მოქმედების ვადა იანვარში ამოეწურა.

"ამ გადაწყვეტილებით დამსვენებლები დაზარალდებიან. მოიმატებს საგზურის ფასი და მოკვდება კურორტი," - განუცხადა "ინტერპრესნიუსს" ბაღდათის რაიონის მოსახლეობამ.

უკმაყოფილების მიზეზს ვერ ხედავენ რაიონის გამგეობაში. ადგილობრივ მთავრობას მიაჩნია, რომ მინერალური წყლის გაყიდვის შემთხვევაში, ბაღდათის ბიუჯეტი დამატებითი თანხებით შეივსება. ახალი მეპატრონე კი სასმელ წყაროებს მოაწესრიგებს და დამსვენებლებს უფასო წყალს მიაწვდიან.

*24 საათი*

## საქართველოში ყაზახური "ალიანს ბანკის" ფილიალი გაიხსნება

უახლოეს მომავალში საქართველოში ყაზახური "ალიანს ბანკის" ფილიალი გაიხსნება. სააქციო საზოგადოება "ალიანს ბანკმა" უკვე შეიტანა განცხადება საქართველოს ეროვნულ ბანკში ფილიალის გახსნისთვის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის თქმით, "ალიანს ბანკი" ყაზახეთის იმ ხუთ ყველაზე მსხვილ ბანკს შორისაა მოხვედრილი, რომლებიც ყველაზე კარგი რეპუტაციით სარგებლობენ საერთაშორისო რეიტინგებში. "მას საინტერესო გეგმები აქვს საქართველოსთან დაკავშირებით. აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ, კერძოდ, ყაზახეთის ბანკებზე ზედამხედველობის სახელმწიფო სტრუქტურასთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, ეროვნული ბანკი, ცხადია, ლიცენზიას გასცემს," - აცხადებს რომან გოცირიძე.

ს/ს "ალიანს ბანკის" აქტივები 2006 წლის 1 მაისისთვის 448,7 მილიარდ ტენგეს (3,7 მილიარდი აშშ დოლარი) შეადგენს. მისი საკუთარი კაპიტალი 31,8 მილიარდი ტენგეა (256 მილიონი აშშ დოლარი), ვალდებულება - 416,9 მილიარდი ტენგე (3,4 მილიარდი აშშ დოლარი).

2006 წლის დასაწყისთან შედარებით ბანკის აქტივები 1,35-ჯერ გაიზარდა. ბანკს რეგიონული ქსელში 18 ფილიალი და 81 განყოფილება ყაზახეთის 27 ქალაქში აქვს. "ალიანს ბანკის" აქციონერები არიან "სეიმარ ინვესთმენთ გრუფ" (71,5 პროცენტი), "ცენტრალნი დეპოზიტარი" (7,4 პროცენტი) ს/ს "რახატი" (5,53 პროცენტი), ბანკის მენეჯმენტი (4,5 პროცენტი) და სხვა აქციონერები (10,97 პროცენტი).

2005 წელს ჟურნალმა "ბანკერმა" "ალიანს ბანკი" გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ყველაზე სწრაფად მზარდ ბანკად აღიარა. ამავე ჟურნალმა "ალიანს ბანკი" 200 უმსხვილეს აზიურ ბანკს შორის დაასახელა.

*მედიანიუსი*

## ამინდი

| | 6/07 | 7/07 | 8/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 30 | 30 | 29 |
| რიგა | 29 | 32 | 32 |
| ვილნიუსი | 29 | 31 | 31 |
| მოსკოვი | 23 | 23 | 29 |
| მინსკი | 32 | 32 | 33 |
| პარიზი | 26 | 26 | 26 |
| რომი | 32 | 28 | 28 |
| ლონდონი | 25 | 22 | 23 |
| მადრიდი | 30 | 31 | 33 |
| ბონი | 31 | 27 | 27 |
| ვარშავა | 31 | 31 | 33 |
| ათენა | 27 | 28 | 32 |
| ბერნი | 25 | 21 | 25 |
| ამსტერდამი | 26 | 24 | 23 |
| ოსლო | 26 | 24 | 23 |
| ანკარა | 28 | 27 | 28 |
| ვარნა | 28 | 31 | 31 |
| დელი | 51 | 50 | 45 |
| ტოკიო | 30 | 29 | 33 |
| კოპენჰაგენი | 28 | 26 | 25 |
| ბაქო | 29 | 29 | 32 |
| ერევანი | 35 | 36 | 36 |
| ასტანა | 20 | 21 | 18 |
| ჰელსინკი | 22 | 26 | 28 |
| დუბლინი | 19 | 18 | 17 |
| ლისაბონი | 25 | 26 | 25 |
| პრაღა | 27 | 28 | 27 |
| სოფია | 27 | 28 | 27 |
| ბუდაპეშტი | 32 | 33 | 33 |
| ბუხარესტი | 32 | 31 | 33 |

# აზერბაიჯანი საქართველოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს

*აზერბაიჯანი საქართველოს რეგიონში და მსოფლიოს მასშტაბით ყოველთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევდა და მიიჩნევს. ამის შესახებ აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა არტურ რასიზადემ თავის კოლეგასთან ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრაზე განაცხადა.*



საქართველო და აზერბაიჯანი სუამის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, უკვე წლებია, მჭიდროდ თანამშრომლობენ. "აზერბაიჯანმა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია, ქვეყნის მშპ 2006 წელს 40 პროცენტით გაიზარდა 2005 წელთან შედარებით, შარშან კი 26 პროცენტი შეადგინა," - განაცხადა აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა არტურ რასიზადემ. მანვე აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე აზერბაიჯანის ყველა რაიონის გაზიფიცირება განხორციელდება.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობის დასრულება და მისი ექსპლუატაციაში შესვლა საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობას ახალ სიბრტყეზე გაიყვანს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გუშინდელ შეხვედრაზე ისაუბრა. როგორც ზურაბ ნოღაიდელმა აღნიშნა, რეგიონის ეკონომიკური განვითარება და ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელს გახდის ბაქო-თბილისი-ერზერუმის პროექტისადმი ყაზახეთის მიერთებას.

საქართველოს პრემიერმა კმაყოფილება გამოხატა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ტვირთბრუნვის გაზრდის გამო და იმედი გამოთქვა, რომ ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება. კერძოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდამ 2005 წელს 72 პროცენტი შეადგინა.

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, აზერბაიჯანის განვითარება, თავის მხრივ, დადებით გავლენას ახდენს ქართული ეკონომიკის, განსაკუთრებით კი, ტრანსპორტის სფეროს განვითარებაზე.

ზურაბ ნოღაიდელმა არტურ რასიზადესთან შეხვედრაზე კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის პროექტი განიხილა. ნოღაიდელის თქმით, საქართველო ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზისთვის საჭიროების შემთხვევაში ყველა სამუშაოს შეასრულებს და პროექტისთვის თანხასაც გამოყოფს.

დაბოლოს, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა აგვისტოში ბათუმში ჩატარდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ბაქოში მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განუცხადა. მისი განცხადებით, სხდომაზე ეკონომიკურ, სავაჭრო და სატრანსპორტო სფეროებში ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხები განიხილება. გუშინდელი ვიზიტი ბაქოში სწორედ აღნიშნული სხდომის მოსამზადებელი ეტაპი იყო.

*24 საათი*

# გორში მეწარმეთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა დაიწყეს

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

შიდა ქართლის რეგიონში მუშაობა დაიწყო "ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების დარგების მუშაკთა, მეწარმეთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაციამ".

შიდა ქართლის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნუგზარ მაზანაშვილი აცხადებს, რომ ასოციაცია, მომხმარებელთა უფლებებთან ერთად, მეწარმეთა უფლებების დაცვაზე იზრუნებს. კავშირში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს, რომელიც კავშირის მიზნებს იზიარებს.

"კავშირი "საქართველოს ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკთა, მეწარმეთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ასოციაცია" შექმნილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ არასამეწარმეო იურიდიულ პირს, ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. კავშირის საწარმოებსა და ორგანიზაციებს ენიჭებათ სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება, არ დაიშვება მათ საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კავშირის მთავარი მიზანია, მეწარმე იყოს დაცული. ჩვენ ვიცავთ მათ უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე, მთავარია, მომხმარებელმა მიიღოს ხარისხიანი პროდუქცია."

ის საწარმოები, რომლებიც ასოციაციაში გაერთიანდებიან, ვალდებული არიან დაემორჩილონ მათ მიერ განსაზღვრულ პირობებს. ასოციაცია, ძირითადად, მაღაზიებს და მცირე საწარმოებს აერთიანებს. იმ შემთხვევაში, თუ სუპერმარკეტებში ასოციაცია ვადაგასულ პროდუქტებს აღმოაჩენს, დავას ქონების დაბრუნებასა და ზარალის ანაზღაურებაზე წყვეტს სასამართლო. ხოლო თუკი მეწარმეებს კანონდარღვევით "შეაწუხებს" სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა, ასოციაცია საკუთარი წევრებს იურიდიულ დახმარებას სთავაზობს. კავშირი ასევე ახორციელებს სამართლებრივ, საინფორმაციო, საკონსულტაციო, სამეცნიერო-მეთოდურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა სახის საქმიანობას, რაც მოქმედი კანონმდებლობითაა ნებადართული.

"ხელს შევუწყობთ მეწარმეებს, ორგანიზაციებს, საწარმოებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ხარისხიანი სასურსათო, სამრეწველო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელების და სხვა საქონლის წარმოების რეალიზაციის საქმეში, უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მიზნით ვამყარებთ საერთაშორისო კავშირებს. ვატარებთ საზოგადოებრივ საქმიანობებს და სპეციალისტებისაგან ვქმნით ექსპერტთა და კონსულტანტთა ჯგუფებს," - აცხადებს ნუგზარ მაზანაშვილი.

ექსპერტები შეისწავლიან საქართველოში დამზადებულ, შემოტანილ, სათავსოში შენახულ და რეალიზაციისათვის განკუთვნილ ყველა სახის პროდუქციას, სამომხმარებლო ბაზრებსა და სავაჭრო ობიექტზე სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ფქვილის, სასურსათო-სამრეწველო ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელების, ლუდის და სხვა ნებისმიერი პროდუქციის ხარისხს, დარღვევების შემთხვევაში მოუწევთ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

# მომხმარებლები კომუნიკაციის სფეროში რამდენიმე პრობლემის გადაჭრას ითხოვენ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის მონაცემებით, ამ წელს მომხმარებლების მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით ხუთი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა. ის თავად მომხმარებლებისგან შესული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლით გამოვლინდა.

ძირითად პრობლემებს შორის ორ პირს შორის სატელეფონო საუბრების დროს მესამე პირის არასანქცირებული ჩართვა, უხარისხო სატელეფონო მომსახურება, დაუსაბუთებელი ანგარიშების გამოწერა და ტელეფონების გათიშვა, მომხმარებელთა ინფორმირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებია.

მომხმარებლები უჩივიან იმასაც, რომ ინტერნეტით ნებართვის გარეშე, ე.წ. ვირუსული პროგრამების მეშვეობით ხდება საერთაშორისო სატელეფონო კავშირების განხორციელება. მომხმარებლები ასევე ითხოვენ მაუწყებლობის დარგში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის შესაბამისი ზომების მიღებას.

მომხმარებელთა განცხადებებისა და საჩივრების საჯარო განხილვის, ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე გამოიკვეთა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად გადასაწყვეტი საკითხების ნუსხა, დაისახა პრობლემების მოგვარების გზები.

არსებული პრობლემების მოსაგვარებელი ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას კომუნიკაციების ეროვნული კომისია 2006 წელსაც განაგრძობს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში რევაზ საყევარიშვილი მიიჩნევს, რომ ელექტროენერგიის საფასურის გაზრდის გამო, სხვა პროდუქციის მსგავსად, სატელეფონო მომსახურებაც გაძვირდება.

**"გაიზრდება ყველა იმ პროდუქციის ფასი, რომლის წარმოებაშიც ელექტროენერგიას რაღაც წილი აქვს. შესაბამისად, ეს საფასურიც ელექტროენერგიის წილის მიხედვით გაიზრდება. რთულია იმის თქმა, რამდენ ხანში გაძვირდება უშუალოდ სატელეფონო მომსახურება, რადგან ეს გარკვეულ პროცედურებს მოითხოვს. კერძოდ, ფასის გაზრდა სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა უნდა მოითხოვონ. შემდეგ მათი მოთხოვნა შესაბამისმა უწყებამ უნდა განიხილოს. ჯერჯერობით, ამის თაობაზე განაცხადი არ გაკეთებულა. ამიტომ კონკრეტულ თარიღზე ლაპარაკი ძალიან რთულია. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ სატელეფონო მომსახურების გაძვირება გარდაუვალია,"** - განაცხადა რეზო საყევარიშვილმა. მისივე თქმით, შესაძლოა, სატელეფონო მომსახურების საფასურმა მნიშვნელოვნად არც მოიმატოს. თუმცა ელექტროენერგიის ფასის მატება სატელეკომუნიკაციო სეგმენტზე რაღაც ფორმით მაინც აისახება.

*მედიანიუსი*

## ლატვიის დელეგაცია სოფლის მეურნეობის მინისტრს შეხვდება

ლატვიის ექსპერტები სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სპეციალისტებს სამუშაო შეხვედრაზე საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. საუბარი იქნება სურსათის მონიტორინგის, ზედამხედველობისა და კონტროლის პროცედურებზე, ინსპექტირების წესებზე, მიკვლევადობის სისტემებზე, რისკის ანალიზსა და მართვაზე, მავნებელი სურსათის განადგურების წესებსა და უფლებამოსილი მოხელის მოვალეობებზე. 7 ივლისს ასეთივე სამუშაო შეხვედრა შედგება აჭარის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისა და რაიონული სამმართველოების წარმომადგენლებთან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადასვლის ფინანსურ გათვლებს ითხოვენ

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მთავრობას საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადასვლის ფინანსურ გათვლებს სთხოვს. გუშინ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე პრეზიდენტის საკანონმდებლო მდივანმა ზურაბ დეკანოიძემ წარმოადგინა კანონპროექტი "საკონსტიტუციო სასამართლოს ბათუმში გადასვლასთან დაკავშირებით". დეკანოიძის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში განთავსდება, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და აპარატურით. "თუ ამასთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებები იქნება საჭირო, გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებს," - განაცხადა ზურაბ დეკანოიძემ. კომიტეტმა დეკანოიძეს უფრო დეტალური ანგარიშის წარმოდგენა მოსთხოვა. "წარმოგვიდგინეთ, საიდან მოხდება ამ ღონისძიებისთვის თანხების გამოყოფა და რა ოდენობის თანხა გამოიყოფა ამისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ამ საკითხის განხილვა," - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ. **ინტერპრესნიუსი**

## რომან გოცირიძე USAID-ის წარმომადგენლებს შეხვდა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ პროგრამის "აგრარული პოლიტიკის, საკანონმდებლო ბაზისა და მმართველობითი რეფორმის პროექტის" წარმომადგენლები მიიღო. აღნიშნულ პროექტს უკრაინაში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ახორციელებს. პროექტის წარმომადგენლები შეხვედრებს მართვენ საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურების ხელმძღვანელებთან. ვიზიტის მიზანია საქართველოში გატარებული ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგად მიღებული გამოცდილების შესწავლა. როგორც ეროვნულ ბანკში განაცხადეს, სებ-ის პრეზიდენტთან შეხვედრისას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა საკვანძო საკითხებთან ერთად, სტუმრები საქართველოს საბანკო სექტორში არსებული მდგომარეობით, მათ შორის, საბანკო სივრცეში უცხოური კაპიტალის წილითა და ქვეყნის მონეტარული და საბანკო სისტემის საფინანსო მაჩვენებლებით დაინტერესდნენ. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს აგრობიზნესის განვითარებას, საწარმოთა პრივატიზაციის პროცესს, რესტრუქტურიზაციას, სავაჭრო პოლიტიკას და რეგულირების ფორმებს, ასევე რეფორმების პროცესის გამჭვირვალობას, უკრაინისადმი მხარდაჭერას მსოფლიო ბაზარზე ინტეგრაციაში. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ზურაბ ნოღაიდელი იმერეთს ეწვევა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 6 ივლისს იმერეთს ეწვევა. როგორც საქართველოს მთავრობის პრესცენტრში განაცხადეს, პრემიერ-მინისტრი ქუთაისს, ზესტაფონს, სამტრედიას და წყალტუბოს მოინახულებს. ვიზიტი ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის საშუალო სკოლის მშენებლობის დათვალიერებით დაიწყება. დაგეგმილია სამტრედიაში ახლადდამთავრებული ნაპირსამაგრი სამუშაოების, ქალაქში მშენებარე ტაძრისა და მე-11 საშუალო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერება. წყალტუბოში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გაეცნობა №1 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას. რეგიონში სტუმრობისას პრემიერ-მინისტრი ასევე გაეცნობა ქალაქ ქუთაისში გზების კაპიტალური შეკეთების, გარე განათების, 32-ე სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციისა და ახალგაზრდობის პროსპექტზე სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიმდინარეობას. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ბედნიერი ალექსი



C2

ცრემლებისა და ზეიმის ღამე



C3

სპაგეტი იტალიურად



C4

## კაპელო რეალს შეუთანხმდა

გუშინ ფაბიო კაპელომ თანხმობა განაცხადა სათავეში ჩაუდგეს მადრიდის „რეალს“. ამის თაობაზე ინფორმაცია მადრიდული კლუბის ახალმა პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა გააკეთა.

„იგი დათანხმდა კონტრაქტის ყველა პირობას და დღესვე ჩაუდგება სათავეში გუნდს. გაფორმდება სამწლიანი კონტრაქტი. კმაყოფილი ვარ, რომ კაპელო ჩვენთან ერთად „რეალის“ კეთილდღეობისთვის იმუშავებს“, - აცხადებს რამონ კალდერონი.

ამრიგად, კალდერონმა წინასაარჩევნო პირველი დაპირება შეასრულა. ახლა მას კიდევ ორი პრობა აქვს შესასრულებელი: გუნდში კაპელოსთან ერთად კაკა და არიენ რობენიც უნდა მოიყვანოს.

კაკას განცხადებით, იგი „მილანში“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ კლუბი სერია A-ში თამაშის უფლებას შეინარჩუნებს. რაც შეეხება რობენს, „ჩელსი“ მზადაა გაყიდოს ჰოლანდიელი ფეხბურთელი.

ამავე დროს კალდერონი აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეელევა დევიდ ბექჰემს: „ჩვენთვის დევიდი ძალიან საჭირო ფეხბურთელია. ის უყვართ გულშემატკივრებს და, ცხადია, მისი შენარჩუნება კომერციული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია“.

## 100 ათასი პრემიალური

გერმანიის ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა ნახევარფინალში გასვლისთვის 100 000 ევრო მიიღო. იტალიელებთან განცდილი მარცხის შემდეგ გერმანიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსთან ერთად დაკარგა 300 000 ევრო თითოეულ ფეხბურთელზე, რომელსაც ტიტულის მოგების შემთხვევაში მიიღებდა.

## მცირე ფინალი ისევ ჩატარდება

ხშირად ამბობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის გასამართ მატჩს აზრი არა აქვს, თუმცა ფიფას მესვეურები ჯიუტად არ ცვლიან მსოფლიო ჩემპიოანტის ფინალური ეტაპის რეგლამენტს და მესამე ადგილისთვის მატჩი ანუ მცირე ფინალი კვლავაც იმართება.

გუშინ ფიფას პრესსამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს მატჩი მომავალშიც აუცილებლად ჩატარდება. „მიმაჩნია, რომ მატჩი მესამე ადგილისთვის საკმაოდ პრესტიჟულია. ბრინჯაოს მედლების მოპოვება ნებისმიერი გუნდისთვის დიდი წარმატებაა“.

## ზიკო "ფენერბახჩეს" მწვრთნელია

იაპონიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო თურქული „ფენერბახჩეს“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ზიკო გერმანელ კრისტოფ დაუმს შეცვლის, რომელმაც ჯაანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა თურქული კლუბი.

## "არსენალი" სავიოლათი დაინტერესდა

უახლოეს მომავალში უნდა გადაწყდეს ხავიერ სავიოლას მომავალი. ფეხბურთელმა გასული სეზონი „სევილიაში“ გაატარა, თუმცა კვლავაც ეკუთვნის „ბარსელონას“. სავიოლას აგენტის ალფრედო კამპერის თქმით, ხავიერის შეძენით ლონდონის „არსენალია“ დაინტერესებული. არსებობს კიდევ ორი კლუბი, რომელიც სავიოლას ყიდვაზე უარს არ იტყოდა.

„ჩვენ უკვე მივიღეთ შემოთავაზება ბერძნული „პანათინაიკოსიდან“ და ორი ინგლისური კლუბიდან. კერძოდ, საუბარია „არსენალსა“ და „ბოლტონზე“. სავიოლას უმაღლეს დონეზე სურს თამაში და, სავარაუდოდ, ბრიტანულ ვარიანტს ავირჩევთ“, - ამბობს ფეხბურთელის აგენტი.

## ლავოლპემ ევროპისკენ აიღო გეზი

მექსიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ დატოვა თავისი პოსტი და კარიერას ევროპაში გააგრძელებს. არგენტინელი სპეციალისტი მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებთან მუნდიალის შემდეგ რაღაცაზე ვერ შეთანხმდა და ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა.

## ჩინური მსხვერპლი

11 ჩინელი გულშემატკივარი გარდაიცვალა საფეხბურთო განცდების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არ თამაშობდა, ამ ქვეყანაში მაინც აქტიურად ადევნებდენ თვალყურს მუნდიალს და ისე განიცდიდნენ, თითქოს მინდორზე ჩინელი ფეხბურთელები თამაშობდნენ. 11 ადამიანი სწორედ საფეხბურთო მატჩების ყურებისას გარდაიცვალა.

## კლინსმანი უნდა დარჩეს

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფრანც ბეკენბაუერი მკაცრად აკრიტიკებდა იურგენ კლინსმანს. მას შემდეგ, რაც გერმანიის ნაკრებმა იტალიელებთან ნახევარფინალური მატჩი დათმო, კაიზერ ფრანცმა განაცხადა, რომ კლინსმანი აუცილებლად უნდა დარჩეს ბუნდესნაკრებში.

„იმედია, იურგენ კლინსმანი ნაკრებში დარჩება. მან ჩვენი გუნდის თამაშის სტილი საუკეთესო მხარეს შეცვალა, თანაც ფეხბურთელები მას ბოლომდე ენდობიან. მერე რა, რომ ნახევარფინალი წავაგეთ. ახლა კლინსმანის გაშვება დიდი შეცდომა იქნება“, - აცხადებს ბეკენბაუერი.

ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ იურგენ კლინსმანს აშშ-ს ნაკრების მწვრთნელობასაც სთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ კლინსმანი სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კალიფორნიაში ცხოვრობს.

# დაუვიწყარი ფინალის მოლოდინში



პორტუგალიის დრო ჯერ არ დამდგარა.

საინტერესო ამბავია, საფრანგეთის ნაკრები ორჯერ გადაეყარა პორტუგალიას ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში და ორივეჯერ დაამარცხა მეტოქე. თუმცა ამისთვის ორივე შემთხვევაში დამატებითი დრო დასჭირდათ „მამლებს“. ერთხელ 1984 წელს - 3:2 მოიგეს ფრანგებმა და მეორედ 2000 წელს - 2:1.

ისიც საინტერესოა, რომ ამის შემდეგ ფრანგებმა ორივეჯერ მოიგეს ევროპის ჩემპიონატი. ანუ დიდი ტურნირის ნახევარფინალში პორტუგალიის დამარცხების შემდეგ ფრანგები ამ ტურნირის ჩემპიონები ხდებოდნენ. არ ვიცი ტრადიცია ახლაც გაგრძელდება თუ არა, მაგრამ ტრადიცია რჯულზე უმტკიცესიაო - ესეც ნათქვამია, თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ სამფეროვნები მსოფლიო ჩემპიონები უნდა გახდნენ. ერთი ტრადიცია კი ნამდვილად დაირღვა. ფრანგებმა პორტუგალია მანამდე ორივეჯერ დამატებით დროში დაამარცხეს. ახლა კი ამისთვის ძირითადი დროც იკმარეს. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ის არის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრების ორი მეტოქე გავიდა და, შესაბამისად, ჩვენს ბიჭებს მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან ექნებათ საქმე. ჯერ ფრანგებთან 2 სექტემბერს და შემდეგ იტალიასთან. უკეთესს ვერც ინატრებო, ამაზეა ნათქვამი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ იმავე 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე, როცა ფრანგებმა ნახევარფინალში პორტუგალია დაამარცხეს, საფრანგეთმა ფინალში მოუგო იტალიას. იმავე ანგარიშით - 2:1 და დამატებით დროში. ვერ გეტყვით კვირას ბერლინში დაინიშნება თუ არა დამატებითი ტაიმები, მაგრამ სტატისტიკის მიხედვით ფრანგები აქაც მომგებიან მდგომარეობაში იმყოფებიან.

რაც შეეხება პორტუგალიას, ამ გუნდმა ძალიან შთამბეჭდავად წარმოადგინა თავი მუნდიალზე, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ აფერისტობითაც დაამახსოვრა თავი ფეხბურთის მოყვარულებს. ფრანგებთან მატჩშიც პაულეტა, კრიშტიანუ რონალდუ, შეეცადნენ მსაჯზე გავლენა მოეხდინათ და მისთვის თავის სასარგებლოდ ჯარიმები გამოეტყუებინათ, მაგრამ უაღრესად მაღალ დონეზე განსაჯა თამაში ურუგვაელმა არბიტრმა ხორხე ლარიონდამ. საკმარისია ითქვას, რომ დაძაბულობის მიუხედავად, მსაჯმა ფეხბურთელები მხოლოდ ორჯერ გააფრთხილა და წამითაც არ დაუკარგავს თამაშზე კონტროლი. განსხვავებით ვალენტინ ივანოვისგან, რომელმაც პორტუგალია - ჰოლანდიია მატჩის მიმდინარეობისას წითელყვითელი ბარათების ფეიერვერკი შემოგვთავაზა და ფეხბურთის ქომაგებს სანახაობით გამოწვეული სიამოვნება წაართვა.

თვითონ თამაშზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ფრანგებმა ნაცად ხერხს მიმართეს. ორი ძლიერი საყრდენითა და შესანიშნავი გამთამაშებლით მეტოქეს მოქმედების არეალი შეუზღუდეს და ფიგუს, რონალდუსა და დეკუს არ მისცეს თავის გამოჩენის საშუალება.

9 ივლისს ბერლინში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს იტალიისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები შეხვდებიან.

### პორტუგალია - საფრანგეთი 0:1

**პორტუგალია:** რიკარდუ, მიგელი (ფერეირა, 62`), მეირა, კოშტინია (პოშტიგა, 75`), ფიგუ, პაულეტა (საბროსა, 68`), ვალენტე, კარვალიო, რონალდუ, მანიშე, დეკუ.
**საფრანგეთი:** ბარტეზი, აბიდალი, ვიეირა, გალასი, მაკელელე, მალუდა (გოვუ, 69`), ზიდანი, (ვილტორდი, 72`), ანრი (საა, 85`), ტიურამი, სანიოლი.
**გოლები:** 0:1 - ზიდანი (33`)
**გაფრთხილება:** კარვალიო, საა.
**მსაჯი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
**12 კარში დარტყმა 5**
**5 კარისკენ დარტყმა 4**
**18 ჯარიმა 11**
**8 კუთხური 3**
**4 თამაშგარე 0**
**59 ბურთის ფლობა 41**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ლილიან ტიურამი

## ხოაკინი "ლივერპულში"

„ლივერპულის“ მესვეურებმა საინტერესო წინადადებით მიმართეს სევილიურ „ბეტისის“. მერსისაიდული კლუბი მზადაა 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღოს „ბეტისისა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველ ხოაკინში. აღსანიშნავია, რომ „ლივერპულს“ აქამდე ამდენი ფული არც ერთ ფეხბურთელში არ გადაუხდია.

ამავე დროს „ლივერპული“ მზადაა ამ თანხასთან ერთად ესპანურ კლუბს სამი ფეხბურთელიც მისცეს - იეჟი დუდეკი, ბუდევეი ზენდენი და ანტონიო ბარაგანა.

## ჟიულიმ კონტრაქტი გააგრძელა

რეიმონ დომენეკის მიერ დაწუნებულმა ლუდოვიკ ჟიულიმ 2008 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი „ბარსელონასთან“. ძველი კონტრაქტი 2007 წლამდე იყო ძალაში. ახალი კონტრაქტის თანახმად, კლუბი, რომელსაც ჟიულის შეძენა მოუნდება, ვალდებული იქნება გადაიხადოს 60 მილიონი ევრო.

## ჟილბერტო სილვა „ლიონში"?

ლონდონის „არსენალისა“ და ბრაზილიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველს ჟილბერტო სილვას ფრანგული „ლიონი“ იწვევს. ფრანგული მედიის ცნობით, „ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა გერმანიაში შეხვდა ბრაზილიელ ფეხბურთელს და ტრანსფერზე დაელაპარაკა.

## შაოლინის ბერი ფინალს ნახავს

შაოლინის მონასტრის წინამძღვარი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს დაესწრება. ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა შაოლინის მონასტრის წინამძღვარს ში ინგსინას ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა, რითიც ის აუცილებლად ისარგებლებს.

## მორიენტესი „ღამურაა"

ფერნანდო მორიენტესმა უკვე ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი ესპანურ „ვალენსიასთან“. „ღამურებმა“ ფორვარდში მერსისაიდულ „ლივერპულს“ 6,4 მილიონი დოლარი გადაუხადეს. თავად მორიენტესის თქმით, ის სწრაფად იპოვის საერთო ენას ახალ თანაგუნდელებთან.

## ტოტი წასვლას აპირებს

იტალიის ნაკრებისა და „რომას“ თავდამსხმელის ფრანჩესკო ტოტის თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი მის სანაკრებო კარიერაში უკანასკნელი იქნება.

„პირველ რიგში, მარჩელო ლიპის მადლიერი ვარ, რადგან შანსი მომცა და, მიუხედავად იმისა, რომ ახალი გამოჯანმრთელებული ვიყავი, ნაკრებში ადგილი შემინარჩუნა. თუმცა, თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, რომ ტურნირის შემდეგ სანაკრებო კარიერას დავასრულებ. იმედი მაქვს, ფეხბურთს მსოფლიო ჩემპიონის რანგში გამოვეთხოვები“, - განაცხადა ტოტიმ.

„მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, რადგან შეიძლება ფრანჩესკომ გადაიფიქროს კიდეც“, - განაცხადა „სკუადრა აძურას“ თავკაცმა გერმანელებთან მოგებული ნახევარფინალური მატჩის შემდეგ.

## „ჰამბურგი" ბაროშით დაინტერესდა

გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „ჰამბურგის“ ხელმძღვანელობა ჩეხეთის ნაკრებისა და ინგლისური „ასტონ ვილას“ თავდამსხმელით მილან ბაროშით დაინტერესდა.

„ჰამბურგის“ ხელმძღვანელობას მხოლოდ ერთხელ შევხვდით და კონკრეტულად არაფერზე შევთანხმებულვართ. ბაროშს ჩვენთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს. ვფიქრობთ, ის კარგად გრძნობს თავს „ასტონ ვილაში“ და არსად წასვლას არ აპირებს“, - განაცხადა ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობამ.

24 წლის ჩეხი თავდამსხმელი „ასტონ ვილაში“ 2005 წელს გადავიდა „ლივერპულიდან“ და გასულ სეზონში გატანილი 12 გოლით ბირმინგემული კლუბის საუკეთესო თავდამსხმელი გახდა. რაც შეეხება „ჰამბურგს“, კლუბმა ბუნდესლიგაში მესამე ადგილი დაიკავა და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

## ფრანგებმა ბრაზილიელი სასიკვდილოდ გაიმეტეს

საფრანგეთისა და ბრაზილიის მეოთხედფინალური მატჩი ტრაგიკული აღმოჩნდა კენიის მცხორებლებისთვის. აფრიკელმა გულშემატკივრებმა, რომლებიც საფრანგეთს ქომაგობდნენ, მატჩის შემდეგ ბრაზილიის მხარდამჭერს ცემით ამოხადეს სული. მიუხედავად იმისა, რომ კენიას საკუთარი საფეხბურთო ნაკრები არ ჰყავს, ამ ქვეყნის მცხოვრებლები ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგები არიან. ამ თემაზე ხელჩართული ჩხუბიც კენიელებისთვის უცხო არაა.

საფრანგეთის ნაკრების ორი კენიელი ფანი, რომელთაც 21 წლის ქომაგის სიკვდილი ბრალდებათ, ამჟამად იმალებიან.

## „ლივერპული" "არგენტინელით" გაძლიერდა

პრემიერლიგის „ლივერპულმა“ არგენტინელი მცველი გაბრიელ პალეტა დაიმატა. „ბენფილდიდან“ გადმოსულმა ფეხბურთელმა მერსისაიდულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი პალეტას არგენტინელი რობერტო აიალას მემკვიდრედ მიიჩნევს: „პალეტა სწორედ იმ ტიპის ფეხბურთელია, რომელიც ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება. იმედი გვაქვს, სწრაფად გაუშინაურდება პრემიერლიგას“.

მანამდე რობერტო პალეტათი არგენტინული გრანდები „რივერ პლეიტი“ და „ბოკა ხუნიორსი“ იყვნენ დაინტერესებული.

# ბედნიერი ალექსი

იყო დრო, როდესაც ეს ფეხბურთელი იტალიის ნაკრების სიმბოლოდ ითვლებოდა. მის გარეშე „სკუადრა აძურა“, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. ბოლო ხანს მისი საქმეები ეროვნულ ნაკრებში, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე კარგად მიდის, ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და გერმანიაშიც ფრანჩესკო ტოტის დუბლიორის როლში გაემგზავრა, მაგრამ ნიჭი თავის გზას ყოველთვის პოულობს და გერმანია-იტალიის ნახევარფიანლური მატჩის გადამწყვეტ მომენტში იტალიელმა ტიფოზებმა კიდევ ერთხელ იხილეს ძველი ალექს დელ პიერო.



დელ პიერო დაბრუნდა.

- ასეთ მატჩში თამაში საოცრებაა. მოუგო გერმანიას საკუთარ მინდორზე... სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რასაც ახლა ვგრძნობ. ვიცი, ბევრს მაკრიტიკებენ, მაგრამ დღეს დავამტკიცე, რომ თამაშის სურვილიც მაქვს და შესაძლებლობაც.

**- რის ხარჯზე შეძლო იტალიის ნაკრებმა გამარჯვება?**

- ეს მატჩი ჩვენთვის ამ ტურნირზე ყველაზე რთული გამოდგა. გამარჯვება კი ფანტასტიკური გუნდური თამაშის ხარჯზე მოვიპოვეთ. მინდორზე ერთი მთლიანი ორგანიზმი ვიყავით და სწორედ ეს დაგვეხმარა.

**- როგორი საყურებელი იყო მატჩი სათადარიგოთა სკამიდან?**

- ძალიან მინდოდა მინდორზე გასვლა და ბიჭების დახმარება. როდესაც სათადარიგოთა სკამზე ზიხარ და იცი, თანაგუნდელებს ვერაფრით დაეხმარები, ეს ნამდვილი საშინელებაა. საბედნიეროდ, მომეცა საშუალება, რომ ჩემი პატარა წვლილი შემეტანა ამ ისტორიულ გამარჯვებაში. მადლობელი ვარ მწვრთნელის, რომ კვლავაც სჯერა ჩემი.

**- ლიპიმ იცოდა, რომ გოლს გაიტანდით. მატჩის შემდეგ ეს თავად თქვა...**

- ეს იმ დროს მითხრა, როდესაც მინდორზე გასასვლელად ვემზადებოდი. წარმოიდგინეთ, როგორ გამიხარდა, როდესაც მწვრთნელის დავალება შევასრულე.

**- ესე იგი, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- თანაც ძალიან. ბოლო ხანს ჩემს შესახებ არაერთი უსიამოვნო რამ მომისმენია. ამ გოლით მე ჩემს კრიტიკოსებს ვუპასუხე. მადლობა ალბერტო ჯილარდინოს. მისი პასი რომ არა, ეს გოლი არ გავიდოდა.

**- წინ ფინალია. გაქვთ თუ არა იმედი, რომ ძირითადში ითამაშებთ?**

- ვფიქრობ, ჩემი თამაშით ეს დავიმსახურე. წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ჩემთვის უკანასკნელი იქნება. ამიტომ გავალ მინდორზე და გავაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია.

# ოპერაცია შეიხი, ანუ როგორ გაება მახეში ერიქსონი

წლეულს, იანვარში, საფეხბურთო ინგლისი სკანდალმა შეძრა. ბრიტანულ ტაბლოიდ News of the World-ის ჟურნალისტმა, რომელიც არაბ შეიხად იყო გადაცმული, ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი დუბაიში მიიწვია, სადაც შვედ სპეციალისტს ექვსვარსკვლავიან სასტუმროში შეხვდა. გულახდილ საუბარში ერიქსონმა ბევრი სისულელე თქვა. ცხადია, ცრუ შეიხს დიქტოფონი ჰქონდა ჩართული. ერიქსონის სიტყვები დაიბეჭდა. ცრუ შეიხისა და ერიქსონის საუბარი ერთ-ერთი ინგლისური კლუბის ყიდვას შეეხებოდა. შეიხი კლუბს იყიდდა, ერიქსონი ამ გუნდის მწვრთნელი უნდა გამხდარიყო და ინგლისის ნაკრების რამდენიმე ლიდერიც გადაებირებინა.

ამ ამბიდან რამდენიმე კვირაში ერიქსონმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებდა ინგლისის ნაკრებს, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის ვადა მხოლოდ 2008 წელს იწურებოდა. ყველა მშვენივრად მიხვდა, რომ ერიქსონის წასვლის მიზეზი სწორედ „ოპერაცია შეიხი“ იყო.



სვენ გორან ერიქსონი - მწვრთნელი, რომელიც ჟურნალისტებმა შეიწირეს.

ინგლის-პორტუგალიის მეოთხედფინალურ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გელზენკირხენის სტადიონის პრესლოჟაში გაზეთ „სპორტ ექსპრესის“ ჟურნალისტმა News of the World-ის რეპორტიორი გაიცნო. ინგლისელმა რუს ჟურნალისტს ზემოხსენებული სკანდალის დეტალები გაუმხილა, ოღონდ სთხოვა, რომ მისი ვინაობა არ გაემხილა.

**- როგორ გაჩნდა ამ მისტიფიკაციის იდეა?**

- ცრუ შეიხი ინგლისში საკმაოდ პოპულარული ჟურნალისტი მაზერ მაჰმუდია. მუშაობს ჟანრში, რომელსაც ჩვენთან „სტინგს“ უწოდებენ. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, რეპორტიორი ფარულად აღწევს რომელიმე საიდუმლო სფეროში, რომელზეც ოფიციალურად ხელი არ მიგვიწვდება. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ობიექტს მახეს დაუგებ - უნდა გაეცნო, როგორც ვინმე სხვა პიროვნება, რომელსაც ის ენდობა და საიდუმლოს გაუმხელს. ამჯერადაც ასე მოხდა. ჟურნალისტმა ერიქსონი დუბაიში დაპატიჟა კონსულტანტის რანგში, რათა მისგან ახალი სპორტული პროექტის შექმნაში რჩევები მიეღო. რა თქმა უნდა, ეს წინასწარ დაწერილი სცენარი იყო, რათა ერიქსონი მახეში გაბმულიყო. შეხვედრისას, თითქოს სრულიად შემთხვევით, საუბარი ინგლისურ საფეხბურთო კლუბებს შეეხო. აი, აქ კი ერიქსონი შეცდა. მან თქვა: „მაგალითად, თუ რომელიმე ინგლისური კლუბის ყიდვა გსურთ, ეს სრულიად რეალურია. შემიძლია „ასტონ ვილას“ ყიდვაში დაგეხმაროთ, სადაც დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი მწვრთნელად“.

**- ანკესზე წამოეგო, არა?**

- დიახ. შემდეგ კი თავისი მცდელობა განაგრძო. თქვა, რომ მწვრთნელად გახდომის შემთხვევაში გუნდში დევიდ ბექჰემის მოყვანასაც შეძლებდა, რომელიც მისი ახლო მეგობარია. ბექჰემის გარდა სხვა ვარსკვლავების გადაბირების პირობაც დადო. ამის შემდეგ კი საერთოდ დაივიწყა სიფრთხილე. რიო ფერდინანდს ზარმაცი უწოდა, მაიკლ ოუენზე თქვა, რომ „რეალიდან“ „ნიუკასლში“ გადასვლის ერთადერით მიზეზი ფული იყო. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაც გააკრიტიკა. მთლიანობაში ერიქსონის ამ აღსარებამ, ისევე როგორც მთლიანად ამ სკანდალურმა ისტორიამ, დაამტკიცა, რომ ინგლისის ნაკრებში მუშაობისას შვედს ფულის გარდა არაფერი აინტერესებდა.

**- რა იყო გაზეთის მიზანი, როდესაც ცრუ შეიხის იდეას მწვანე შუქი აუნთო?**

- გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ ადამიანისთვის, რომელიც მუნდიალზე ინგლისის ნაკრების სათავეში იქნებოდა, მთავარი მისი მომავალი სამუშაო ადგილი და ანაზღაურებაა და არა ინგლისის ნაკრების წარმატებული გამოსვლა. ერიქსონის საქციელი გასაგები იქნებოდა, თუ მასა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას შორის არსებული კონტრაქტის ვადა მუნდიალის შემდეგ ამოიწურებოდა, მაგრამ, კონტრაქტის თანახმად, ერიქსონს ნაკრებში 2008 წლამდე უნდა ემუშავა. ის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ასტრონომიულ ჰონორარს იღებდა და, ამავე დროს, როგორ ნახეთ, სხვა შემოსავალს ეძებდა. ჩვენ ეს ვიცოდი, მაგრამ საჭირო იყო ისეთი ვითარების შექმნა, რომ ამის თაობაზე თავად სვენს ეთქვა. ამიტომაც გაჩნდა ცრუ შეიხის იდეა. ინგლისის ნაკრებში ხუთწლიანი მუშაობის პერიოდში შვედი არაერთხელ იყო შემჩნეული სხვადასხვა კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებისას. მარტო ორჯერ „ჩელსის“ ხელმძღვანელებს შეხვდა. ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, სანამ ლონდონურ კლუბში მოურინიოს მოიწვევდნენ.

**- ეს ფანდი პირადად მაზერ მაჰმუდის იდეა იყო?**

- არა, გაზეთის რედაქტორმა მოიფიქრა. მაზერმა კი იდეალურად განახორციელა.

**- ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მაჰმუდმა ერიქსონს დაურეკა?**

- არა. ჯერ ერიქსონის აგენტს და დაარწმუნა, რომ სერიოზული ბიზნესმენი იყო. სამწუხაროდ, საქმის სხვა დეტალები კარგად არ ვიცი.

**- რამდენ ხანს მზადდებოდა ოპერაცია?**

- ცხადია, მე და ჩემმა კოლეგებმა საქმის ყველა დეტალი არ ვიცით. ყველაზე გასაიდუმლოებულ დეტალებზე, რა თქმა უნდა, გაზეთის რიგით თანამშრომლებს არაფერი გვითხრეს. როგორც გავიგე, დუბაიში გაიხსნა არარსებული კომპანია, რომელიც თითქოს რალაც სპორტული პროექტების განხორციელებაზე მუშაობდა. ლეგენდა იდეალური იყო, მათ შორის, იურიდიული თვალსაზრისითაც. ხომ შეიძლებოდა შვედს ამ კომპანიის შემოწმება მოენდომებინა. რა თქმა უნდა, ყველაფრის დამუშავება დროს მოითხოვდა. საბოლოოდ ამ მაქინაციას კარგი ნიადაგი მოუმზადეს და შედეგიც აშკარაა. ერიქსონი მახეში გაება.

**- ეს ოპერაცია არ განხორციელდებოდა, თქვენს ჟურნალისტს მსახიობის ნიჭი რომ არ ჰქონოდა...**

- მართალია. ცრუ შეიხი ბრწყინვალე მსახიობია, თუმცა თეატრალური განათლება არ მიუღია. პროფესიონალი ჟურნალისტია და ამავე დროს გარდასახვის საოცარი ნიჭი აქვს. არაერთი როლი ჰქონია, მათ შორის, ძალიან სარისკოებიც. იყო შემთხვევა, როდესაც მისი გამჟღავნების შემთხვევაში შეიძლებოდა მოეკლათ კიდეც. სინამდვილეში „სტინგი“ ძალიან სახიფათო სამუშაოა. მაზერ მაჰმუდს არაერთი ადამიანი გაუბამს მახეში. ვიცი, რომ რამდენიმემ მის მოსაკლავად ქილერიც კი დაიქირავა. ამას წინათ ძალიან ცუდი ამბავი შეემთხვა. მისი მორიგი მსხვერპლი პარლამენტის ერთ-ერთი სკანდალური წევრი იყო. მახესაც უგებდა, მაგრამ პარლამენტარმა როგორლაც გაიგო ამის თაობაზე, შემდეგ მაზერის ფოტოები იშოვა და ინტერნეტში გამოაქვეყნა. მაზერი იძულებული გახდა გარკვეული დროით გაუჩინარებულიყო.

**- პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას არ აპირებს?**

- არა მგონია ასეთი რადიკალური ზომების მიღება გახდეს საჭირო. გავა დრო და მაჰმუდს აუცილებლად დაივიწყებენ. მას თავისუფლად მუშაობის საშუალება მიეცემა.

**- თუ საიდუმლო არ არის, რამდენი გადაუხადა გაზეთმა მაჰმუდს ამ ისტორიაში?**

- ზუსტად არ ვიცი. ჩემი აზრით, წელიწადში 200-250 ათას გირვანქა სტერლინგს იღებს.

**- რა დაჯდა მთლიანად ოპერაცია - ექვსვარსკვლავიანი სასტუმრო დუბაიში, იახტა...**

- კიდევ შამპანური, თითო ბოთლი 1000 გირვანქა სტერლინგად. სასტუმროს ნომერი ღამეში 1000 დოლარი ღირდა. ასეთი ღამე სამი თუ ოთხი იყო. ზუსტად არ ვიცი, რა დაჯდა მთლიანად ეს პროექტი, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ დახარჯული თანხა ამოღებულია. პროექტმა გაამართლა.

**- ნუთუ ერთი წამითაც არ გიფიქრიათ, რომ ყველაფერმა ამან შესაძლოა ინგლისის ნაკრებსაც ავნოს?**

- ამ ისტორიის შემდეგ მკითხველმაც დაგვადანაშაულა. სიმართლე გუნდს ვერ აწყენდა. სვენი კი ინგლისის ნაკრების ნაცვლად თავის მომავალ სამუშაოსა და ფულზე ფიქრობდა. ამაზე უფრო ადრე უნდა აგვეტეხა განგაში.

**- 2006 წლის მუნდიალს როგორ აშუქებთ?**

- ობიექტურად. ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე დავამტკიცეთ, რომ ნაკრებს გვერდში ვუდგავართ.

**- რატომ თქვეს უარი ინგლისის ნაკრებში მუშაობაზე ჰიდინკმა და სკოლარიმ?**

- სკოლარიმ ორი მიზეზი დაასახელა. პირველი: მას არ სურდა კონტრაქტზე საუბარი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე და მეორე: ინგლისური მედია. რაც შეეხება ჰიდინკს, აქ უდიდესი როლი ითამაშა რომან აბრამოვიჩმა.

**- ჰიდინკი რუსეთის ნაკრებში წელიწადში ორ მილიონ დოლარს მიიღებს...**

- ეს დიდი ფულია, თუმცა ჰიდინკის დონის მწვრთნელი ასეთ ანაზღაურებას ნამდვილად იმსახურებს. იცით რამდენს უხდიდნენ ერიქსონს ინგლისის ნაკრებში? ექვსნახევარ მილიონ დოლარს წელიწადში. ასე გრძელდებოდა ხუთი წლის განმავლობაში. როგორც ვიცი, სკოლარი პორტუგალიის ნაკრებში 2 მილიონ დოლარსაც არ იღებს. პარეირას ბრაზილიის ნაკრებში ოთხჯერ ნაკლებს უხდიან, ვიდრე ერიქსონს ინგლისში. აბსურდულია შვედისთვის ამდენი ფულის გადახდა. ეს თავად საფეხბურთო ასოციაციის დანაშაულია.

**- სტივ მაკლარენს რამდენს გადაუხდიან?**

- ორ მილიონს და არც ესაა პატარა თანხა.

**- მასალა შეიხზე გაზეთში დაიბეჭდა. როგორი იყო პირველი რეაქცია?**

- სკანდალი „ასტონ ვილასთან“ დაკავშირებულ თემას არ გამოუწვევია. ხმაური ერიქსონის იმ სიტყვებს მოჰყვა, რომლებიც მან ფეხბურთელებზე თქვა.

**- ფეხბურთელთა რეაქციაზე თუ იცით რამე?**

- სვენმა იმავე დილას დაურეკა ფერდინანდს და ოუენს ბოდიშის მოსახდელად.

**- თავად ერიქსონის რეაქცია როგორი იყო?**

- მან სასამართლოში გვიჩივლა. გაზეთს პირად ცხოვრებაში ჩარევაში ადანაშაულებენ და არა ყალბი ინფორმაციის გავრცელებაში. ახლა პროცესი შეწყვეტილია. მხარეების შეთანხმებით, მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში პროცესი არ გაიმართება.

**P.S.** რუსი და ბრიტანელი ჟურნალისტები პორტუგალია-ინგლისის მატჩის შემდეგაც შეხვდნენ ერთმანეთს. ბრიტანელმა რუნის გაძევება სამართლიანად ჩათვალა, შემდეგ კი დაამატა: „კანონზომიერია, რომ შვედის ხუთწლიანი ინგლისური კარიერა სწორედ ასე დასრულდა“.

# ცრემლებისა და ზეიმის ღამე

ნინო პირველი
გერმანიიდან

2006 წლის პირველი ნახევარფინალის დაწყებამდე მთელი გერმანია ერთ საჭირბოროტო საკითხზე იმტვრევდა თავს: რომელი სტატისტიკა დაემხობა ამა წლის 4 ივლისს? მასპინძელთათვის დადებითი თუ უარყოფითი? ერთი მხრივ, დორტმუნდში ჩატარებული მატჩების არაჩვეულებრივი ბალანსი - ამ ქალაქში გერმანიის ნაკრებს 14 შეხვედრიდან 13 აქვს მოგებული და, მეორე მხრივ, ფრიად არასახარბიელო მაჩვენებელი იტალიელების წინააღმდეგ. რაც შეეხება თამაშს: გერმანიის ეროვნულ გუნდს არასოდეს მოუგია იტალიელებისთვის მსოფლიო ჩემპიონატზე. 4 ივლისის მშვენიერ საღამოს ამ ორი სტატისტიკური მონაცემიდან ერთ-ერთი უნდა შეცვლილიყო და შეიცვალა კიდეც, მაგრამ არა ისე, როგორც მთელი გერმანია ისურვებდა. იტალია ისევ გადაულახავ ბარიერად რჩება გერმანელებისთვის.

1970 წლის მუნდიალის დრამატულ ნახევარფინალსა და 1982 წლის ბოლო, უნუგეშოდ წაგებულ ფინალს კიდევ ერთი სევდიანი მატჩი შეემატა: 2006 წლის ნახევარფინალი, როცა იტალიის ნაკრებმა პენალტების სერიამდე დარჩენილ ორ წუთში ორჯერ მოახერხა მეტოქის კარის აღება.

მარჩელო ლიპის არაფრით არ უნდოდა ფინალის ბედი პენალტების სერიაში გადაწყვეტილიყო. ყველაფერი, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირობითია, მაგრამ ისტორია ზოგჯერ მართლაც მეორდება: იტალიის ნაკრებმა აქამდე თითქმის ყველა ის მატჩი წააგო, რომელშიც გამარჯვებული პენალტების სერიაში უნდა გამოვლინილიყო. გერმანელებს კი, პირიქით, თერთმეტმეტრიანები არაჩვეულებრივად აქვთ დაცდილი. სწორედ ამიტომ იტალიელთა მთავარმა დირიჟორმა ყველა ღონე იხმარა მატჩის 120 წუთში დასამთავრებლად. სადღა იყო ფრთხილი და თავდაჭერილი მარჩელო ლიპი, დელ პიეროს და ტოტის ერთად შემოყვანას რომ ვერ ბედავდა. იაკინტა, ჯილარდინო, ტოტი და დელ პიერო - ამდენი თავდასხმითი ენერგია, ალბათ, არასოდეს ყოფილა ერთად იტალიელთა წინა ხაზზე.

მატჩის ბოლო წუთებზე გერმანელებს თითქოს დაღლა დაეტყოთ.



*გერმანელების ოცნება დასრულდა.*

ფსიქოლოგიურად ყველა მზად იყო თერთმეტმეტრიანებისთვის და სწორედ მაშინ, როცა უკვე აღარავინ ელოდა გოლს, იტალიელებმა ანგარიში გახსნეს. 117-ე წუთზე! ეს ისეთი ძლიერი შოკი იყო გერმანელი ფეხბურთელებისთვის, რომ დარჩენილ ორ წუთში ველარც მოასწრეს აზრზე მოსვლა. უკანასკნელი შეტევის განხორციელების უმწეო ცდა, იტალიელთა კონტრიერიში და დელ პიეროს გოლი! სიხარულისგან გადარეული იტალიელები ერთმანეთს ეხვევიან და მექსიკელი მსაჯი მატჩის დასრულების ნიშანს აძლევს.

იტალია ფინალშია! პირველად 1994 წლის შემდეგ! გერმანელი ფანები ვერაფრით ვერ იჯერებენ, რომ ეს მშვენიერი ვარდისფერი ოცნება საპნის ბუშტივით გასკდა, რომ 9 ივლისს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე იურგენ კლინსმანის გუნდის ნაცვლად იტალიელები იბრძოლებენ მეოთხე ტიტულის მოსაპოვებლად. ბალაკი და კომპანია ცრემლებს ვერ მალავს, მაგრამ მაინც თავაწეული ემშვიდობება მაყურებელს. მუნდიალის დაწყებამდე ხომ ვერავინ იფიქრებდა, რომ ნახევარფინალამდე მიაღწევდა ეს არეულ-დარეული და დაბნეული გუნდი, სულ რაღაც სამი თვის წინ - 1:4 რომ წააგო იტალიელებთან ფლორენციაში გამართულ ამხანაგურ მატჩში. მუნდიალის დაწყებამდე ზოგიერთი პესიმისტი ჯგუფში ჩარჩენასაც კი უწინასწარმეტყველებდა კლინსმანს და მის გუნდს. და აი, ამ უცნაურმა ნაკრებმა ნახევარფინალამდე მიაღწია. სამი კვირის განმავლობაში მთელი ქვეყანა აალაპარაკა საოცრად კარგი თამაშით. უკვე ყველა ჩემპიონის ტიტულზე ოცნებობდა, მაგრამ... ოპერაცია „გერმანია მსოფლიო ჩემპიონი" ოთხი წლით გადაიდო. კიდევ ერთი მარცხი, როცა ოქროს თასი სულ ახლოს იყო, თითქმის ხელის გაწვდენაზე... როცა ფანთა პროსპექტებზე თუ კაფე-ბარებში გერმანელი გულშემატკივრები ცხარე ცრემლებით ტიროდნენ, ZDF-ის პირდაპირ ეთერში ფრანც ბეკენბაუერი სასოწარკვეთილი თანამემამულეების დამშვიდებას ცდილობდა: „დავმარცხდით, მაგრამ ეს სულაც არ არის ქვეყნის დასასრული. ახლა ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ მესამე ადგილისთვის გამართული მატჩის მოსაგებად. მესამე ადგილი მეოთხეს ხომ მაინც ჯობს. იურგენ კლინსმანი და მისი ნაკრები ქების ღირსია, ამდენი სიხარული რომ გვაჩუქეს ამ ბოლო დღეებში".

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ასეთი მოჩვენებითი ოპტიმიზმით იყვნენ გაჟღენთილები მატჩის მონაწილე ფეხბურთელებიც.

მიროსლავ კლოზემ სინანული გამოთქვა წაგებული ნახევარფინალის გამო, მაგრამ ფანებს შეჰპირდა, მატჩს მესამე ადგილისთვის აუცილებლად მოვიგებთო. იენს ლემანიც ამავე გზით ცდილობდა გულშემატკივრებისა და საკუთარი თავის გამხნევებას. მატჩი მესამე ადგილისთვის! რა გაეწყობა, სულ არარაობას მესამე ადგილი ნამდვილად ჯობს.

გამარჯვებულთა ბანაკში კი, რა თქმა უნდა, უდიდესი სიხარული სუფევდა. იტალიის ყველა დიდ ქალაქში მთელი ღამე ზეიმობდნენ ბედნიერი ტიფოზები. რომის „ცირკუს მაქსიმუს" სავსე იყო მოზეიმე გულშემატკივრებით, თანამედროვე გლადიატორების ბრწყინვალე გამარჯვებით რომ ტკბებოდნენ. მილანის „პიაზა დი დუომო" ველარ იტევდა უზომო სიხარულით გადარეულ ფანობას. რომში იმ საღამოს ტაქსის მძღოლთა გაფიცვა იყო დაგეგმილი, მაგრამ ამ სახალხო ზეიმის ფონზე ყოფითი პრობლემები აღარავის გახსენებია. გაფიცვა თავად მონაწილეებმა შეწყვიტეს. რომის ტრევის შადრევნებში ლამის ყველა ფანმა მიიღო ღამის აბაზანა. მოკლედ, იტალიის ნაკრების წარმატებამ ყველა ისე გადარია, რომ აღარავის უნდოდა შინ წასვლა და დაძინება.

მარჩელო ლიპის ბედნიერი გუნდი გულუხვად არიგებდა ინტერვიუებს მატჩის შემდეგ: „რაც უფრო რთულია მატჩი, მით უფრო ძვირფასია გამარჯვება. ჩვენ დამსახურებულად გავედით ფინალში. მეამაყება, რომ ასეთი დიდებული გუნდი გვყავს. ახლა მხოლოდ ჩემპიონის ტიტული გვაკლია", - ტრიუმფატორის როლზე ოცნებობდა მარჩელო ლიპი. „ბავშვობაში, როცა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ვადევნებდი თვალს, ძალიან მინდოდა, მეც მოედანზე ვყოფილიყავი და ფინალში მეთამაშა. როგორც იქნა, ამიხდა ოცნება", - სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდა ანდრეა პირლო. ჯან ლუიჯი ბუფონი უფრო თავშეკავებული იყო: „თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ პენალტების სერიაში გაირკვეოდა ფინალისტის ვინაობა. პირველ ტაიმში ჩვენ ვიყავით უკეთესი გუნდი, მეორეში - გერმანელები. დამატებითი 30 წუთი მთლიანად ჩვენ გვეკუთვნოდა და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ჩემპიონის ტიტულის მოგების შანსი 50 პროცენტია. წინასწარ არ უნდა იზეიმო."

ეს მომავალი მსოფლიო ჩემპიონის ბრძნული სიტყვებია თუ დამარცხებული ვიცე-მაისტერის წინასწარმეტყველური გაფრთხილება? ამას დრო გვიჩვენებს. 9 ივლისს იტალიას კიდევ ერთი რთული მატჩი ელის ბერლინში და თუ ყველაფერი კარგად იქნება, ზეიმი მერე ნახეთ რომისა თუ მილანის ქუჩებში...

## თემურ მახარაძე: „იტალია ღირსეული ფინალისტია"

გერმანია-იტალიის მატჩი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალს ეკადრება. დაძაბული, დრამატული და სანახაობრივი თამაში, რომელშიც, ჩემი აზრით, ღირსეულმა მოიპოვა გამარჯვება. წინა კომენტარში გაგაცანით ცნობილი იტალიელი სპეციალისტის, იტალიის უმაღლესი სამწვრთნელო სკოლის, „კოვერჩიანოს" საუკეთესო ლექტორის ფრანკო ფერარის სიტყვები. მან იტალიის ნაკრები მეძავს შეადარა და თქვა, რომ ეს გუნდი, მეძავივით, ხან ისეთ სიამოვნებას მოგანიჭებს, რომ ჭკუიდან გადაგიყვანს, ხანაც ისე საშინლად იქცევა, რომ გულს აგირევსო. ამ ჩემპიონატზე იტალიელთა შესრულებით ერთიც ვნახეთ და მეორეც. ამერიკასთან იტალიამ გულისამრევად ითამაშა, გუშინ - ფანტასტიკურად. ისიც უნდა ითქვას, რომ „სკუადრა აძურა" მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს, რაც ნამდვილად არ არის მოულოდნელი. გუნდს ეტყობა, რომ გერმანიაში უმაღლესი მიზნისთვის არის ჩასული და ამაში თვით მასპინძელმა გერმანიამაც ვერ შეუშალა ხელი. რაც შეეხება კონკრეტულად თამაშს, უნდა ითქვას, რომ მარჩელო ლიპიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რაოდენ მაღალი კლასის სპეციალისტია. მან ძირითადი შემადგენლობაც ოპტიმალური დააყენა და, საბოლოოდ, ზუსტი შეცვლებით გადაწყვიტა მატჩის ბედი. არ შედგა გუნდების ლიდერების - პირლოსა და ბალაკის დუელი. უფრო სწორად, დუელი შედგა, მაგრამ ბალაკი პირწმინდად დამარცხდა. პირლომ ბრწყინვალედ ჩაატარა თამაში, ბურთს საუკეთესოდ იჭერდა, ყველა შეტევას იწყებდა და არც მოწინააღმდეგის იერიშების ჩაშლაზე მუშაობას თაკილობდა. სიჩქარე, რომლითაც იტალიამ მთელი 90 წუთი და დამატებითი ტაიმები ითამაშა, განსაცვიფრებელია.

გერმანელებს კი, როგორც აღმოჩნდა, მეტი არ შეეძლოთ და ამ შემადგენლობით მაქსიმუმს მიაღწიეს. ეს არც გამკვირვებია. როცა ჩემპიონატი იწყებოდა, ვთქვი კიდეც, რომ ეს ბუნდესნაკრები უფრო მომავლის გუნდია, ვიდრე აწმყოსი. კლინსმანსაც არ უნდა დავუკარგოთ გაწეული უდიდესი შრომა. დამწყებმა მწვრთნელმა უმოკლეს დროში შეძლო ბრძოლისუნარიანი, ანგარიშგასაწევი გუნდის ჩამოყალიბება, შემადგენლობაც დააბალანსა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რაც სულაც არ არის გასაკვირი. ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ტორსტენ ფრინგსი დღევანდელ გერმანიის ნაკრებში შეუცვლელი ფეხბურთელია. მის გარეშე კლინსმანის გუნდმა გაცილებით სუსტად იასპარეზა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ფრინგსის ყოფნა მატჩის შედეგზე რადიკალურად იმოქმედებდა, მაგრამ გერმანიის ნაკრები რომ საგრძნობლად უკეთ ითამაშებდა, ამაში დარწმუნებული ვარ. კონკრეტულ ფეხბურთელებზე კიდევ ის შეიძლება ითქვას, რომ გერმანელი გარემარბები იტალიელებთან შედარებით უფრო ცუდად გამოიყურებოდნენ, ვიდრე წინა მატჩებში. ნაკლებად ეფექტური იყო ლამი, თავის თავს არ ჰგავდა შნაიდერი. სწორედ აქ გამოჩნდა, რომ იტალიას უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს. ყველა იტალიელი ფეხბურთელი საჭირო დროს საჭირო ადგილზე იყო და წამითაც არავინ დაუეჭვებიათ თავის საბოლოო წარმატებაში. ისიც იგრძნობოდა, რომ გერმანელ ფეხბურთელებს ერთი სული ჰქონდათ, როგორმე პენალტების სერიამდე მიეღწიათ, იტალიელები კი ყველაფერს აკეთებდნენ ამ საფეხბურთო ლატარიის თავიდან ასაცილებლად. საბოლოოდ ღირსეულმა გაიმარჯვა. თუ იტალიამ იგივე შემართებით, იგივე სისწრაფით და ჭკუით ითამაშა, ჩემპიონობის უდიდესი შანსი აქვს.

## კარომ ერთ თვეში დატოვა „რასინგი"

ესპანური „მარკას" ცნობით, მადრიდის „რეალის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ხუან რამონ ლოპეს კარომ „რასინგი" დატოვა. ესპანელი მწვრთნელი ცოტა ხნის წინ მივიდა „რასინგში" სამუშაოდ, თუმცა, კონტრაქტის გაფორმებიდან ერთ თვეში კლუბი დატოვა, რადგან ხელმძღვანელობასთან სატრანსფერო პოლიტიკაზე ვერ შეთანხმდა. როგორც „მარკა" იტყობინება, ახალი სეზონიდან ლოპეს კარო სეგუნდადივიზიონიდან პრიმერაში აღზევებულ „ლევანტეს" ჩაუდგება სათავეში. ვალენსიურ კლუბთან კარომ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ინგლისელი ფანები პორტუგალიაში არასოდეს ჩავლენ

ინგლისელმა ფანებმა პორტუგალიური ტურისტული ბიზნესისთვის გაფიცვის მოწყობა გადაწყვიტეს. მსოფლიო ჩემპიონის მეოთხედფინალში პორტუგალიის ნაკრების მიერ პენალტების სერიაში ინგლისელთა დამარცხების შემდეგ ინგლისელი ფანები ქვეყნის ტურისტულ სააგენტოებში მიდიან და პორტუგალიაში დაჯავშნილ საგზურებს აუქმებენ.

„ჯერ კიდევ გასულ კვირას ინგლისელი ტურისტების რეიტინგში პორტუგალია მეოთხე ადგილზე იყო, ახლა კი მეთხუთმეტეზე გადაინაცვლა", - იტყობინება ერთ-ერთი ტურისტული სააგენტო.

## პესოტო გახარებულია

მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალიელთა მიერ გერმანელების დამარცხება კლინიკაში მყოფმა ტურინის „იუვენტუსის" მენეჯერმა ჯანლუკა პესოტომაც აღნიშნა. „სკუადრა აძურას" გამარჯვება პესოტოს ანტონიო კონტემ ამცნო: „როდესაც ვუთხარი, რომ მოვიგეთ, სიხარულისგან მუშტი შეკრა", - განაცხადა კონტემ. ალესანდრო დელ პიერომ გერმანელთა კარში გატანილი თავისი გოლი სწორედ ჯანლუკა პესოტოს მიუძღვნა. იმ მაისურს კი, რომლითაც დელ პიერო მოგვიანებით წარდგა ჟურნალისტების წინაშე, ეწერა: „ფორცა, პესოტინო. არ დანებდე". ექიმების თქმით, ჯანლუკა პესოტოს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია.

## 800 გერმანელს გულის შეტევა დაემართა

გერმანელები ყველანაირი ხერხით ცდილობენ ნახევარფინალში განცდილი მარცხი დაივიწყონ. ამიტომ ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ დღის ოთხ საათამდე ქვეყნის არც ერთ კაფესა და რესტორანში ტელევიზორს არ ჩართავენ. იმ ღამით კი, როცა გერმანია იტალიასთან დამარცხდა, ადგილობრივი საავადმყოფოები ფორსმაჟორულ რეჟიმში მუშაობდნენ - მატჩის ფინალური სასტვენის შემდეგ ექიმების დახმარება 800-მდე გერმანელს დასჭირდა. მათ უმეტესობას გულის შეტევა ჰქონდა. ყველაზე მეტად დაზარალებული აღმოჩნდა ავტობუსის მძღოლი, რომელმაც გაბედა და მატჩის შემდეგ საკუთარი ქვეყნის პირველი გუნდი სახალხოდ გააკრიტიკა. ბუნდესნაკრების ქომაგებმა გადაწყვიტეს, კრიტიკოსი გერმანელი მძღოლი თავში ბოთლის ჩარტყმით გაეჩუმებინათ.

# აიალა: „ეს კოშმარი არასოდეს დამავიწყდება"

მარი ჭავახიშვილი

ფეხბურთის გულშემატკივარს, ალბათ, კარგა ხანს არ დაავიწყდება გერმანელებთან მეოთხედფინალურ მატჩში გადამწყვეტი პენალტის აცილების შემდეგ არგენტინელთა კაპიტნის რობერტო აიალას სახეზე აღბეჭდილი ტკივილი. შეხვედრის დასაწყისში არგენტინელთა მიერ გატანილი ერთადერთი გოლის ავტორმა პენალტების სერიაში გუნდი დაალალატა.

- სიტყვები არ მყოფნის ჩემი ტკივილის გამოსახატად. იგივეს განიცდის არგენტინის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი, რადგან ერთ გუნდად შეკრული ჩვენი ნაკრები, რომლის დევიზია ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის, უტიტულოდ დარჩა.

**- ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავის დადანაშაულება ყველაზე ნაკლებად შეგიძლიათ. წინა ტურნირისგან განსხვავებით, რომელიც ტრავმის გამო გამოტოვეთ, თქვენს თამაშში აშკარა პროგრესია. დაცვის ხაზიდან გოლიც კი გაიტანეთ...**

- ჩემს თამაშზე საუბარი ყოველგვარ აზრს კარგავს მაშინ, როდესაც გუნდი გადამწყვეტ მომენტში დავალალატე. დანაშაულის შეგრძნება ჩემში ყველაფერს კლავს. პენალტის გაფუჭების შემდეგ იმის თქმა, რომ აიალა საუკეთესოდ თამაშობდა ნაკრების შემადგენლობაში, ცუდ ანეკდოტს მაგონებს.

**- დრო მაინც ყველაფერს კურნავს...**

- ამას ვერასოდეს განკურნავს. ეს ტკივილი ცხოვრების ბოლომდე გამყვება...

**- მაინც რამ შეგიშალათ ხელი გერმანიასთან გამარჯვებაში?**

- გერმანელებმა იმ მომენტში გაიტანეს გოლი, როცა ამას ყველაზე ნაკლებად იმსახურებდნენ. ჩვენი თამაშის ტაქტიკა მარტივი იყო:



ბურთის გაკონტროლება და მეტოქისთვის მისი დამალვა. სანამ ეს კარგად გამოგვდიოდა, გერმანელებს აშკარად ყველა კომპონენტში ვჯობდით. მეორე ტაიმის შუაში კლინსმანის გუნდმა კარგი ზეწოლა განახორციელა და ჩვენც ცოტა გაგვიძნელდა თამაში. თუმცა, ბოლოს, როცა ინიციატივა ისევ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა, კლოზეს ალოგიკური გოლი სწორედ მაშინ გავიდა.

**- თქვენმა ნაკრებმა მხოლოდ ორი სასტარტო მატჩი მოიგო, სამ შეხვედრაში კი ფრეს მიაღწია. ცოტა ხომ არ არის ფავორიტი გუნდისთვის?**

- ჰოლანდიელებთან მატჩში, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სათადარიგო ფეხბურთელით ვთამაშობდით, უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო. მექსიკასთან და გერმანიასთან კი ვცდილობდით ნაკლები შეცდომა დაგვეშვა. პლეიოფების სტადიაში ხომ ერთი ჩავარდნა და ბასტა! - სახლში ხარ. ერთი სიტყვით, წვრილმანებზე გადავიტანეთ ყურადღება, რის გამოც დავისაჯეთ კიდეც.

**- როგორ ფიქრობთ, არგენტინის ამ ნაკრებს უფრო მეტი შანსი ჰქონდა ჩემპიონობის, თუ იმას, რომელიც 1998 წლის მეოთხედფინალში ჰოლანდიელებთან დამარცხდა, ან იმას, რომელმაც 2002 წელს ჯგუფური ეტაპიდან ვერ გააღწია...**

- სამივე ამ ნაკრებს თავისი პლუსი და მინუსი ჰქონდა. სათამაშო კლასის თვალსაზრისით, ეს ნაკრებები თითქმის თანაბარძალოვანნი არიან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინა ორ ტურნირზე ჩვენგან მხოლოდ ოქროს ითხოვდნენ და გამარჯვების უპირობო ფავორიტებად გვთვლიდნენ. ამჯერად მსგავსი აჟიოტაჟი არ ამტყდარა, რამაც გუნდში უკეთესი ფსიქოლოგიური კლიმატი შექმნა. ჩემპიონატისთვის მშვიდად ვემზადებოდით, მატჩიდან მატჩამდე ვუმატებდით და ფინალში თამაშისთვის ვემზადებოდით. თუმცა...

**- გერმანელებთან გამარჯვების შემთხვევაში, თუ ნახევარფინალში ითამაშებდით, ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობით დიეგო სიმეონეს რეკორდს გაიმეორებდით...**

- სტატისტიკაზე არ ვფიქრობ. სერბებთან მატჩის შემდეგ ისიც მითხრეს, რომ დავეწიე მეორე ადგილზე მყოფ ხავიერ ძანეტის, რომელსაც ნაკრებში 102 შეხვედრა აქვს გამართული. ამ ფაქტს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე. იმან უფრო იმოქმედა, რომ ხავიერმა გერმანიაში ვერ ითამაშა.

**- უკვე 33 წლის ხართ. რას აპირებთ - კარიერის დასრულებას თუ რეკორდების დამხობას?**

- მომავალზე ჯერ არ მიფიქრია. ერთი რამ კი ცხადია: მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე სხვა ფეხბურთელები ითამაშებენ, ტევესისა და მესის თაობა. ეს ახალგაზრდები მართლაც მაღალი კლასის მოთამაშეები არიან, მაგრამ ორი რამ აკლიათ: გამოცდილება და თვითკრიტიკის უნარი. თუ ამას მოაგვარებენ, ოთხი წლის შემდეგ ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული.

## მხოლოდ ციფრები

გთავაზობთ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირად და გუნდურ სტატისტიკას მეოთხედფინალური მატჩების ჩათვლით.

### პირადი სტატისტიკა

#### შეტევა

**ბომბარდირები**
1.მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 5
2.დავიდ ვილია (ესპანეთი) - 3
2.რონალდო (ბრაზილია) - 3
2.ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) - 3
2.ერნან კრესპო (არგენტინა) - 3
2.მაქსი როდრიგესი (არგენტინა) - 3
2.ფერნანდო ტორესი (ესპანეთი) - 3

**კარში დარტყმა**
1.ფრენკ ლამპარდი (ინგლისი) - 24
2.მიხაელ ბალაკი (გერმანია) - 22
3.ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) - 21
4.მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 19
5.ლუკა ტონი (იტალია) - 15
5.რონალდო (ბრაზილია) - 15
5.მანიშე (პორტუგალია) - 15
5.ალექსანდრ ფრაი (შვეიცარია) - 15
9.ფრანჩესკო ტოტი (იტალია) - 14
9.კრიშტიანუ რონალდუ (პორტ.) - 14
11.ფერნანდო ტორესი (ესპანეთი) - 13

**კარისკენ დარტყმა**
1.მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 12
2.ფრანჩესკო ტოტი (იტალია) - 11
2.ფრენკ ლამპარდი (ინგლისი) - 11
4.ლუკა ტონი (იტალია) - 9
4.ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) - 9
4.ტიერი ანრი (საფრანგეთი) - 9
7.რონალდო (ბრაზილია) - 8
7.კრიშტიანუ რონალდუ (პორტ.) - 8
7.ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) - 8
7.მიხაელ ბალაკი (გერმანია) - 8
11.მანიშე (პორტუგალია) - 7
11.დავიდ ვილია (ესპანეთი) - 7
11.ასამოა გიანი (განა) - 7
11.ალექსანდრ ფრაი (შვეიცარია) - 7
11.მარკ ვიდუკა (ავსტრალია) - 7

**გატანილი პენალტები**
1.დავიდ ვილია (ესპანეთი) - 2
2.ფრანჩესკო ტოტი (იტალია) - 1
2.ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) - 1
2.კრიშტიანუ რონალდუ (პორტ.) - 1
2.სიმაო საბროზა (პორტუგალია) - 1
2.არუნა დინდანი (კოტ-დ'ივუარი) - 1
2.ბუნავენტურა კალუ (კოტ-დ'ივუარი) - 1
2.სტივენ აპია (განა) - 1
2.კრეიგ მური (ავსტრალია) - 1
2.ფერნანდო ტორესი (ესპანეთი) - 1

**საგოლე გადაცემები**
1.ხუან რომან რიკელმე (არგენტინა) - 4
2.ფრანჩესკო ტოტი (იტალია) - 3
3.ანდრეა პირლო (იტალია) - 2
3.პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი) - 2
3.კაფუ (ბრაზილია) - 2
3.მარიო მენდეში (მექსიკა) - 2
3.ჯონ ალოიზი (ავსტრალია) - 2
3.მაქსიმ კალინიჩენკო (უკრაინა) - 2
3.დევიდ ბექჰემი (ინგლისი) - 2
3.ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) - 2
3.ხავიერ სავიოლა (არგენტინა) - 2
3.ედისონ მენდესი (ეკვადორი) - 2
3.ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია) - 2

**თამაშგარე**
1.ტიერი ანრი (საფრანგეთი) - 17
2.რონალდო (ბრაზილია) - 10
3.მარკ ვიდუკა (ავსტრალია) - 9
4.ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) - 8
4.ლუკა ტონი (იტალია) - 8
4.კარლოს ტევესი (არგენტინა) - 8
4.ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) - 8
8.აკვა (ანგოლა) - 7
8.პაულეტა (პორტუგალია) - 7

**საჯარიმო დარტყმა კარში**
1.ფრანჩესკო ტოტი (იტალია) - 5
2.ედისონ მენდესი (ეკვადორი) - 4
3.ხუან რომან რიკელმე (არგენტინა) - 3
3.ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) - 3
3.დევიდ ბექჰემი (ინგლისი) - 3
3.ნავაფ ალ-ტემიატი (ს. არაბეთი) - 3
3.შუნსუკე ნაკამურა (იაპონია) - 3
3.რობინ ვან პერსი (ჰოლანდია) - 3
3.პაველ პარდო (მექსიკა) - 3
3.დეიან სტანკოვიჩი (სერბეთი) - 3
3.კრიშტიანუ რონალდუ (პორტ.) - 3

#### დაცვა

**ბურთის ართმევა**
1.ანატოლი ტიმოშჩუკი (უკრაინა) - 32
2.ჯენარო გატუზო (იტალია) - 31
3.ხავიერ მასკერანო (არგენტინა) - 26
4.ოუენ ჰარგრივზი (ინგლისი) - 25
4.პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი) - 25
6.ფაბიო კანავარო (იტალია) - 24
7.ფილიპ ლამი (გერმანია) - 23
8.არნე ფრიდრიხი (გერმანია) - 22
8.ჟუანი (ბრაზილია) - 22
8.ნუნუ ვალენტე (პორტუგალია) - 22
8.ხუან პაბლო სორინი (არგენტინა) - 22
8.ტრანკვილიო ბარნეტა (შვეიცარია) - 22

**ბურთის დაკარგვა**
1.ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) - 32
2.კაკა (ბრაზილია) - 26
2.კრიშტიანუ რონალდუ (პორტ.) - 26
2.კარლოს ტევესი (არგენტინა) - 26
5.მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 25
5.მარკ ვიდუკა (ავსტრალია) - 25
7.ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) - 24
7.ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) - 24
9.ფერნანდო ტორესი (ესპანეთი) - 23
9.ნელსონ ვალდესი (პარაგვაი) - 23
11.ები სმოლიარეკი (პოლონეთი) - 22
12.ულისეს დე ლა კრუსი (ეკვადორი) - 21

**ჯარიმა**
1.მარკ ვიდუკა (ავსტრალია) - 16
2.მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 15
2.ლუის ვალენსია (ეკვადორი) - 15
4.ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) - 14
4.ტიერი ანრი (საფრანგეთი) - 14
4.ოუენ ჰარგრივზი (ინგლისი) - 14
4.ტიმ კეჰილი (ავსტრალია) - 14
8.ჯანლუკა ძამბროტა (იტალია) - 13
8.პიტერ კრაუჩი (ინგლისი) - 13
8.ვიაჩესლავ სვიდერსკი (უკრაინა) - 13
8.გაბრიელ ჰაინცე (არგენტინა) - 13
8.რობინ ვან პერსი (ჰოლანდია) - 13

**მათ წინააღმდეგ მიღებული ჯარიმა**
1.ფრანჩესკო ტოტი (იტალია) - 23
2.ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) - 21
3.ჯო კოული (ინგლისი) - 20
4.მიხაელ ბალაკი (გერმანია) - 18
4.კრიშტიანუ რონალდუ (პორტ.) - 18
4.კაკა (ბრაზილია) - 18
7.ჯენარო გატუზო (იტალია) - 17
7.ანდრეი ნესმაჩნი (უკრაინა) - 17
7.ფრედერიკ ლიუნგბერგი (შვედეთი) - 17
10.მიროსლავ კლოზე (გერმანია) - 16
10.მაქსი როდრიგესი (არგენტინა) - 16
10.კარლოს ტენორიო (ეკვადორი) - 16
10.რაფაელ მარკესი (მექსიკა) - 16

**ყვითელი ბარათი**
1.ასამოა გიანი (განა) - 4
2-13.ვიაჩესლავ სვიდერსკი (უკრაინა), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), სულეი მუნტარი (განა), ხალიდ ბულაჰრუზი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ორივე ჰოლანდია), დეკუ, კოშტინია (ორივე პორტუგალია), ფრედი ლუჩიჩი (შვედეთი), ჟაიდ ჟაზირი (ტუნისი), ბრეტ ემერტონი (ავსტრალია), ალბერტ ნადი (სერბეთი), ანდრე მაკანგა (ანგოლა) - 3

**წითელი ბარათი**
1-27.უეინ რუნი (ინგლისი), ლეანდრო კუფრე (არგენტინა), ასამოა გიანი (განა), მარკო მატერაცი, დანიელე დე როსი (ორივე იტალია), ჰალიდ ბულაჰრუზი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ორივე ჰოლანდია), დეკუ, კოშტინია (ორივე პორტუგალია), ტედი ლუჩიჩი (შვედეთი), ჟაიჟ ჟაზირი (ტუნისი), დარიო შიმიჩი, იოსიპ შიმუნიჩი (ორივე ხორვატია), ბრეტ ემერტონი (ავსტრალია), იან პოლაკი, ტომაშ უიფალუში (ორივე ჩეხეთი), სირილ დომორო (კოტ-დ'ივუარი), ლუის პერესი (მექსიკა), ალბერ ნადი, მატეია კეჟმანი (ორივე სერბეთი), ედი პოუპი, პაბლო მასტროიენი (ორივე აშშ), ანდრე მაკანგა (ანგოლა), რადოსლავ სობოლევსკი (პოლონეთი), ვლადისლავ ვაშჩუკი (უკრაინა), ჟან-პოლ აბალო (ტოგო), ჯონ ავერი (ტრინიდადი) - 1

#### მეკარეები

**გაშვებული გოლები**
1.დრაგოსლავ იევრიჩი (სერბეთი) - 10
2.ხოსე პორასი (კოსტა რიკა) - 9
3.ალექსანდრ შოვკოვსკი (უკრაინა) - 7
3.მარბუკ ზაიდი (საუდის არაბეთი) - 7
3.იოშიკაცუ კავაგუჩი (იაპონია) - 7
6.რიჩარდ კინგსტონი (განა) - 6
6.კოსი აგასა (ტოგო) - 6
6.ალი ბუმნიჟელი (ტუნისი) - 6
6.კეისი კელერი (აშშ) - 6
6.ებრაჰიმ მირზაპური (ირანი) - 6
11.იენს ლემანი (გერმანია) - 5
11.ოსვალდო სანჩესი (მექსიკა) - 5

**მოგერიებული ბურთები**
1.ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია) - 23
2.რიჩარდ კინგსტონი (განა) - 22
3.იოშიკაცუ კავაგუჩი (იაპონია) - 21
3.ჟოაო რიკარდო (ანგოლა) - 21
5.რიკარდუ (პორტუგალია) - 20
6.დიდა (ბრაზილია) - 19
7.ალექსანდრ შოვკოვსკი (უკრაინა) - 18
7.პასკალ ცუბერბიულერი (შვეიცარია) - 18
7.ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია) - 18
10.კოსი აგასა (ტოგო) - 17
11.პოლ რობინსონი (ინგლისი) - 16

### გუნდური სტატისტიკა

#### შეტევა

**გოლები**
1-3.იტალია, გერმანია, არგენტინა - 11
4.ბრაზილია - 10
5.ესპანეთი - 9
6.საფრანგეთი - 7
7.პორტუგალია - 6
8-13.ინგლისი, მექსიკა, უკრაინა, ავსტრალია, კოტ-დ'ივუარი, ეკვადორი - 5
14-15.შვეიცარია, განა - 4
16-21.კოსტა-რიკა, შვედეთი, ტუნისი, ს. კორეა, ჰოლანდია, ჩეხეთი - 3
22-27.იაპონია, ხორვატია, სერბეთი, ირანი, პოლონეთი, საუდის არაბეთი - 2
28-31.აშშ, ანგოლა, პარაგვაი, ტოგო - 1
32-34.ავტოგოლები: ტრინიდადი და ტობაგო, იტალია, პარაგვაი - 1

**კარში დარტყმა**
1-2. იტალია, გერმანია - 45
3.პორტუგალია - 38
4.ბრაზილია - 37
5.ესპანეთი - 35
6.ინგლისი - 29
7.ავსტრალია - 27
8-11.საფრანგეთი, უკრაინა, არგენტინა, ჰოლანდია - 25

**კარისკენ დარტყმა**
1.გერმანია - 101
2.იტალია - 78
3.პორტუგალია - 75
4.ესპანეთი - 69
5.ბრაზილია - 68
6.ინგლისი - 67
7.განა - 61
8.საფრანგეთი - 59
9.უკრაინა - 56
10.ავსტრალია - 54
11.არგენტინა - 53
12.ჰოლანდია - 50

**კუთხურები**
1.იტალია - 39
2.ესპანეთი - 37
3-5.გერმანია, ბრაზილია, საფრანგეთი - 31
6-7.ინგლისი, შვედეთი 30
8.პორტუგალია - 29
9.არგენტინა - 28
10-11.კოტ-დ'ივუარი, პოლონეთი - 23

**თამაშგარე**
1.იტალია - 30
2.საფრანგეთი - 27
3.განა - 25
4.არგენტინა - 24
5.გერმანია - 20
6.ბრაზილია - 15
7-8.ჩეხეთი, ანგოლა - 14
9-10.უკრაინა, ტოგო - 13

**სწრაფი კონტრშეტევები**
1.იტალია - 39
2.გერმანია - 34
3-4.განა, კოტ-დ'ივუარი
5.პოლონეთი - 26
6-7.ბრაზილია - პორტუგალია - 25
8.ესპანეთი - 23
9-10.საფრანგეთი, ხორვატია - 20
11-12.ანგოლა, შვეიცარია - 19

# სპაგეტი იტალიურად

ბიბა ბურასაშვილი

*იტალიაში მოედანი არ დარჩა, სადაც მარჩელო ლიპისა და იტალიური ფეხბურთის რჩეულ ბიჭებს დითირამბები არ უძღვნეს. გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ იტალიელი ტიფოზები ხმის ჩახლეჩამდე გაყვიროდნენ: „Forza Italia"! სკვერები თუ მოედნები ბოთლების გროვაში ჩაიხრჩო. უძლიერესი იტალიური კლუბების სასამართლო გარჩევების ფონზე იტალია გერმანიასთან გამარჯვებაზე ოცნებობდა. და აი, მოხდა საოცრება, რომლის ავტორებიც არიან გროსო და დელ პიერო. „სკუადრა აძურა" ფინალშია.*

ნახევარფინალური მარათონი დამატებითი დროის 27-ე წუთზე შეწყდა, როდესაც გროსომ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს გოლი გაუტანა, ხოლო ბობოლათა ლოჟაში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან მოკალათებულმა იტალიის პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ ემოციები ვერ მოთოკა და სავარძლიდან წამოხტა. პროდის ემოციები მას შემდეგ უფრო თვალშისაცემი იყო, როდესაც დელ პიერომ გამარჯვებას წერტილი დაუსვა. ამ შემთხვევაში იტალიის პრემიერ-მინისტრი გაცილებით უფრო გულითადი იყო.



ანგელა მერკელი რომანო პროდისთან დამარცხდა.

მაშინ, როდესაც დორტმუნდში ურთიერთობას არკვევდნენ იტალიისა და გერმანიის ნაკრებები, ტრიბუნებზე ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ ლიდერებს შორის უჩვეულო პარტია თამაშდებოდა. ორივე მათგანმა რთულ გამარჯვებას მიაღწია არჩევნებზე (მერკელი 2005 წლის 22 ნოემბრიდანაა კანცლერის თანამდებობაზე, ხოლო პროდი წლეულს, 17 მაისიდან შეუდგა პრემიერ-მინისტრობას.-რედ.). მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში კი ერთი მათგანი დამარცხდა.

თვეების განმავლობაში მერკელისა და პროდის პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა.

„მსგავსი შეხედულებები გვაქვს კრიზისიდან გამოსვლის თაობაზე. უკეთესი სურათის შექმნა წარმოუდგენელია ეკონომიკური ზრდის გარეშე", - ივნისის შუა რიცხვებში პროდის ბერლინში ვიზიტის შემდეგ აცხადებდა გერმანიის კანცლერი.

ქათინაურები არც პროდის დაუკლია. გუშინ გულითადად აღნიშნა კიდეც: „გერმანია ის ქვეყანაა, რომელზე სწორებაც დროის მოთხოვნააო".

საფეხბურთო დაპირისპირებისას საქმე დამატებით დრომდე მივიდა. გამარჯვების შემდეგ იტალიის პრემიერ-მინისტრი გასახდელისკენ გაეშურა, სადაც იტალიის ნაკრების ფეხბურთელები ერთხმად მღეროდნენ „O sole mio". „მწვრთნელს კომპლიმენტები ვუთხარი. მომწონს მისი შეუპოვრება".

...მატჩამდე აჟღერებული იტალიის ჰიმნს პროდი ჩუმად აყოლებდა ხმას: „Fra-te-elli, d'I-ta-a-lia". მერკელი კი, იტალიელი კოლეგისგან განსხვავებით, უფრო „ხმაურობდა": „Deutschland, Deutschland Uber alles".

ორივე მათგანს გამარჯვება სურდა, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ ერთ-ერთს უნდა წაეგო. და კიდევ: საპატიო სტუმართა ლოჟაში მყოფი პროდი-მერკელის წყვილი რაღაცით ჰგავდა 1982 წელს პერტინი-შმიდტის წყვილს (ალესანდრო პერტინი იმხანად იტალიის პრემიერ-მინისტრი გახლდათ, ხოლო ჰელმუტ შმიდტი - გერმანიის კანცლერი.-რედ.).

# საქართველოს პირველი ჩემპიონატი ქალ ფეხბურთელთა შორის

მიხეილ აბაიშვილი

6-14 ივლისს ქობულეთი ქალ ფეხბურთელთა შორის საქართველოს პირველ ჩემპიონატს უმასპინძლებს. პირველობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით იმართება.

ჩემპიონატში 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: აჭარის, სამეგრელოს, იმერეთის, შიდა ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, კახეთის და თბილისის ნაკრებები. ტურნირის მთავარი მიზანია საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრებისთვის საუკეთესო მოთამაშეების შერჩევა. ჩემპიონატის შემდეგ ჩამოყალიბდება საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც 18 და 20 ივლისს ქობულეთში ამხანაგურ მატჩებს გამართავს აზერბაიჯანის ნაკრებთან.

8 მონაწილე ორ ოთხგუნდიან ჯგუფადაა დაყოფილი: ა ჯგუფი: იმერეთი, გურია, თბილისი, სამეგრელო. ბ ჯგუფი: შიდა ქართლი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი.

ჯგუფების გამარჯვებულები და მეორე ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს: ა ჯგუფის გამარჯვებული ბ ჯგუფში მეორე ადგილზე გასულს შეხვდება და პირიქით.

ჯგუფებში მესამე ადგილზე გასული გუნდები ურთიერთშეხვედრით ჩემპიონატის მეხუთე გუნდს გამოავლენენ, ხოლო ჯგუფებში ბოლო ადგილზე გასული გუნდები მე-7 ადგილისთვის იბრძოლებენ.

პირველი ტურის მატჩები 6, მეორე 8, ხოლო მესამე ტურის შეხვედრები 10 ივლისს შედგება. 12 ივლისს ნახევარფინალები, ხოლო 14 ივლისს გადამწყვეტი მატჩი გაიმართება.

ჩემპიონატის რეგლამენტით, თითოეული მატჩის ხანგრძლივობაა 70 წუთი (ტაიმი 35 წუთი). ქულების დაერიცხებათ ტრადიციული სისტემით: მოგება - 3 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება: ა - მეტ მოგებას; ბ - ურთიერთშეხვედრის ანგარიშს; გ - ბურთების სხვაობას; დ - მეტ გატანილ გოლს.

საქართველოს 2006 წლის ჩემპიონატს ქალთა შორის მოემსახურებიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯები: პაატა და გიორგი დოგრაშვილები. თანამსაჯები იქნებიან: ბექა მჟავანაძე, გულადი წითლიძე, მინდია მახარაძე, ჯამბულ მახარაძე (ოთხივე აჭარა).

ჩემპიონატს თანამსაჯის რანგში ქალებიც მოემსახურებიან: ნინო ნებიერიძე, ხათუნა მაისურაძე, ნინო გიგლემიანი და ლალი გახოკია თბილისიდან, მეგი ცნობილაძე და მაია ცინაძე ქუთაისიდან და ქეთი გაიპარაშვილი კახეთიდან.

თამაშების დელეგატები იქნებიან: ნოდარ შავიშვილი, ამირან კაჭახიძე და ავთანდილ შალამბერიძე.

ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი დღეს გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გრიგოლ ცაავა, იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი ვალერი მანაგაძე, მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების თავმჯდომარე ამირან კაჭახიძე და ვეტერანი ფეხბურთელი სერგო კოტრიკაძე.

დღეს დილით გაიმართება ა ჯგუფის მატჩები: იმერეთი - გურია, თბილისი - სამეგრელო. საღამოს ბ ჯგუფის გუნდები ითამაშებენ: შიდა ქართლი - კახეთი, აჭარა - რაჭა-ლეჩხუმი.

# პეკინის ესკულაპები

*პეკინი 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ემზადება. ემზადებიან ოლიმპიური ნაკრებებიც. მათ შორის საქართველოც. ჯერჯერობით ნაკრების დაკომპლექტებაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ საზრუნავი და სამუშაო იქამდეც საკმარისია. ახლახან 2008 წლის თამაშების მასპინძელ პეკინში ჩატარდა მსოფლიო სპორტული მედიცინის 29-ე კონგრესი, რომელშიც მიწვეულნი იყვნენ სპორტული მედიცინის ხელმძღვანელები, ანტიდოპინგურ სააგენტოთა წარმომადგენლები და ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმები. მათ შორის იყო საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილიც, რომლისგანაც შევიტყვეთ პეკინის მზადებაზეც და ისიც, თუ რა სიახლეებია სპორტულ მედიცინაში.*

ბიბა ბურასაშვილი

- კონგრესზე პირველი საკითხი მსოფლიოს სპორტული მედიცინის პრეზიდენტის არჩევნები იყო, - ამბობს ზურაბ კახაბრიშვილი, - კონგრესის მონაწილეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სპორტულ მედიცინას პუერტორიკოელი ვილჰემ ფრონტერა უხელმძღვანელებს. კონგრესის პარალელურად ჩატარდა სემინარები და კონფერენციები. ასეთ შესაძლებლობაზე უარი არ მითქვამს და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს დავესწარი. მოგვიანებით საერთაშორისო სერტიფიკატიც გადმომცეს.

**- დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა დღითიდღე მძაფრდება. რა სიახლეა ამ სფეროში?**

- სტატისტიკურად დოპინგის მოხმარებაში „ჩემპიონები" სწორედ მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძლები არიან. კონგრესზე ყველაზე მეტი პრეტენზია სწორედ მათ მიმართ გაისმა. თუმცა, მსოფლიოს ყველა ნაკრების წევრები საგანგებოდ გააფრთილეს. გამკაცრდა სადამსჯელო ღონისძიებები. თუ აქამდე მარტო სპორტსმენი ისჯებოდა, დღეის შემდეგ დიდი ყურადღება მართებთ ექიმებსაც. დოპინგის აღმოჩენის შემთხვევაში ექიმიც სპორტსმენის ბედს გაიზიარებს - მასაც დისკვალიფიკაცია ემუქრება.

**- საქართველოში სპორტული რეაბილიტაციის ცენტრთან დაკავშირებით როგორაა საქმე?**

- მქონდა შესაძლებლობა დამეთვალიერებინა ჩინეთის სპორტული მედიცინის ცენტრები. ამ თვალსაზრისით მათთან შეჯიბრება ძალიან ძნელია. აქვთ უახლესი ტექნიკა, რაც ხელს შეუწყობს მათი სპორტსმენების მომზადებას. ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვდგამთ პირველ ნაბიჯებს. უფრო სწორად, სპორტული მედიცინისთვის ჯერჯერობით თანხა ვერ მოინახა. იმედია, პრობლემას მოვაგვარებთ, რა თქმა უნდა, სხვათა დახმარებით. ისევე როგორც ეს გააკეთა ფირმა „ავერსმა" და მისმა ხელმძღვანელმა პაატა კურტანიძემ, რომელმაც ითავა კონგრესზე ჩემი გამგზავრება.

**- სპორტსმენთა მოსამზადებლი კონკრეტული პროგრამა თუ შეიმუშავეთ?**

- ჩამოვიტანე სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც ვიმუშავებ სპორტსმენებთან. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ჩინეთის კლიმატური პირობების გათვალისწინებაც. კონგრესზე ამასაც არაერთხელ გაესვა ხაზი. მივედით დასკვნამდე, რომ ასპარეზობებამდე აკლიმატიზაციისთვის 7-8 დღეა საჭირო.

**- ოლიმპიურ თამაშებამდე კიდევ ორი წელიწადია. უცხო თვალისთვის დღეს რა სურათია?**

- დღედაღამ მუშაობენ. ყველგან მშენებლობაა. თუმცა, სპორტული ბაზები უკვე მზადაა. ფაქტობრივად, ყველანაირად მზად არიან. მხოლოდ სასტუმროების მშენებლობაღაა დასამთავრებელი. იგება გზები, იქმნება კომუნიკაციები...

## სტატისტიკა

#### დაცვა

**გაშვებული გოლები**
1.სერბეთი - 10
2.კოსტა-რიკა 9
3-5.უკრაინა, საუდის არაბეთი, იაპონია - 7
6-12.განა, ავსტრალია, ტუნისი, ტოგო, აშშ, კოტ-დ'ივუარი, ირანი - 6
13-14.გერმანია, მექსიკა - 5
15-20.ეკვადორი, შვედეთი, ს. კორეა, ჩეხეთი, პოლონეთი, ტრინიდადი და ტობაგო - 4
21-22.არგენტინა, ხორვატია - 3
23-28.ბრაზილია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ანგოლა, ინგლისი, პარაგვაი - 2
29-31.პორტუგალია, ესპანეთი, იტალია - 1

**ჯარიმა**
1.გერმანია - 188
2.უკრაინა - 170
3.იტალია - 147
4.არგენტინა - 140
5.ბრაზილია - 127
6.პორტუგალია - 122
7.ინგლისი - 120
8.მექსიკა - 117
9.შვეიცარია - 109
10.საფრანგეთი - 100

**გაფრთხილება**
1.პორტუგალია - 20
2.განა - 18
3.ჰოლანდია - 16
4.ტუნისი - 14
5-10.საფრანგეთი, უკრაინა, არგენტინა, შვეიცარია, მექსიკა, სერბეთი - 12
11-14.ბრაზილია, ავსტრალია, ხორვატია, ანგოლა - 11

**გაძევება**
1-7.იტალია, ჰოლანდია, პორტუგალია, ხორვატია, ჩეხეთი, სერბეთი, აშშ - 2
8-20.ინგლისი, არგენტინა, განა, შვედეთი, ტუნისი, ავსტრალია, კოტ-დ'ივუარი, მექსიკა, ანგოლა, პოლონეთი, უკრაინა, ტოგო, ტრინიდადი და ტობაგო - 1

## ინფოთეკა

### ბილარდოს დაბრუნება უნდა

არგენტინის ნაკრების ყოფილი თავკაცის კარლოს ბილარდოს თქმით, დიდი სიამოვნებით დაბრუნება არგენტინის ნაკრების თავკაცის პოსტზე. ბილარდო, რომლის მწვრთნელობის დროსაც არგენტინელებმა 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს, 1990-ში კი ფინალში ითამაშეს, მზად არის ქვეყნის პირველი გუნდი ყოფილ შეგირდთან დიეგო მარადონასთან ერთად ჩაიბაროს.

თუმცა, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა ჯერჯერობით გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. მისი თქმით, დიდი სურვილი აქვს გუნდში ხოსე პეკერმანი დარჩეს. თუმცა, თუ ეს უკანასკნელი მაინც წავა, მისთვის ნაკრებში მაინც მოიძებნება ადგილი.

### ბექჰემმა ინგლისური ფეხბურთი დაალალატა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელები საგონებელში ჩავარდნენ. ამის მიზეზი დევიდ ბექჰემია, რომელმაც ნაკრების კაპიტნობაზე უარი თქვა. თითქოს ამაში განსაკუთრებული არაფერია - არ იქნება კაპიტანი ბექჰემი და ამ ფუნქციას სხვა ფეხბურთელი შეასრულებს. მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა საქმე.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ დევიდ ბექჰემის ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ შესაძლოა რამდენიმე სარფიანი სარეკლამო კონტრაქტი დაკარგოს. სანამ დევიდი ნაკრების კაპიტანი იყო, ის ამ გუნდის სიმბოლოს წარმოადგენდა. შესაბამისად, ინგლისის ნაკრებს სარეკლამო კონტრაქტებიც გარანტირებული ჰქონდა. მარტო გასულ სეზონში ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ სხვადასხვა სარეკლამო გარიგებებით 200 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო, ახლა კი ამ ოქროს საბადოს დახურვა ელის.

თავად ბექჰემმა ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბარში განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მას რაინდის ტიტულს მიანიჭებენ და იგი სერ დევიდ ბექჰემი გახდება.

GFF
ჩვენ ერთი გუნდი ვართ
საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია
სახელი:
გვარი:
დაბადების თარიღი:
ტელეფონი:
ელ-ფოსტა:
სარბიელი
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სპორტი
11x11
24 საათი